



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

ყოფილი პირველი სექცია
საქმე ხოდორკოვსკი რუსეთის წინააღმდეგ

CASE OF KHODORKOVSKIY v. RUSSIA

(განაცხადი №5829/04)

გადაწყვეტილება
სტრასბურგი
2011 წლის 31 მაისი

გადაწყვეტილება საბოლოო გახდება კონვენციის 44-ე მუხლის
მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებების შემთხვევაში.
შესაძლოა ის დაექვემდებაროს რედაქციული ხასიათის
გადასინჯვას.

საქმეზე **Khodorkovskiy v. Russia**,

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პალატამ (ყოფილი პირველი სექცია), შემდეგ მოსამართლეთა შემადგენლობით:

ბ-ნი ხრისტოს როზაკისი, *თავმჯდომარე*,
 ბ-ნი ნინა ვაჯიჩი,
 ბ-ნი ანატოლი კოვლერი,
 ბ-ნი ხანლარ ხაჯიევი,
 ბ-ნი დინ სპილმანი,
 ბ-ნი ჯორჯიო მალივერნი,
 ბ-ნი ჯორჯ ნიკოლაუ, *მოსამართლეები*,
 და ბ-ნი სორენ ნილსენი, *სექციის რეგისტრატორი*,

იმსჯელა განმარტებით 2011 წლის 10 მაისს,

და ამავე დღეს გამოიტანა წინამდებარე გადაწყვეტილება:

პროცედურა

1. საქმე მომდინარეობს რუსეთის მოქალაქე, ბ-ნი მიხაილ ბორისის ძე ხოდორკოვსკის (შემდგომში “განმცხადებელი”) მიერ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის (“კონვენცია”) 34-ე მუხლის თანახმად, 2004 წლის 9 თებერვალს რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ შეტანილი განაცხადიდან (№5829/04).

2. განმცხადებლის ინტერესებს წარმოადგენდნენ ქ-ნი კ. მოსკალენკო, მოსკოვში მოღვაწე ადვოკატი, ბ-ნი ვოლფგანგ პიკერტი, სტრასბურგში მოღვაწე ადვოკატი, ბ-ნი ნიკოლას ბლეიკი და ბ-ნი ჯონათან გლასსონი, ლონდონში მოღვაწე ადვოკატები. რუსეთის მთავრობის (“მთავრობა”) ინტერესებს თავდაპირველად წარმოადგენდნენ ბ-ნი პ. ლაპტევი და ქ-ნი ვ. მილინჩუკი, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში რუსეთის ფედერაციის ყოფილი წარმომადგენლები, ხოლო შემდგომში მთავრობის წარმომადგენელი ბ-ნი გ. მატეიუშკინი.

3. კერძოდ განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ წინასწარი პატიმრობის ციხეებში არსებული პირობები, რომელშიც იგი იმყოფებოდა პატიმრობაში და სასამართლო სამართალწარმოების განმავლობაში, ისევე როგორც, სასამართლო დარბაზში არსებული პირობები, წინამდემდეგობაში მოდიოდა კონვენციის მე-3 მუხლთან, ხოლო მისი დაკავება და შემდგომი პატიმრობა მიმდინარე გამოძიებისა და სასამართლო სამართალწარმოების განმავლობაში არღვევდა კონვენციის მე-5 მუხლს, მის წინააღმდეგ წარმოებული სისხლის სამართალწარმოება კი პოლიტიკურად იყო მოტივირებული და ამით არღვევდა კონვენციის მე-18 მუხლს.

4. 2009 წლის 7 მაისის გადაწყვეტილებით, სასამართლომ ნაწილობრივ მიიღო განაცხადი არსებითად განსახილველად

5. განმცხადებელმაც და მთავრობამაც წარადგინეს დამატებითი წერილობითი კომენტარები (სასამართლო რეგლამენტის 59§1 თანახმად) საქმის არსებით მხარესთან დაკავშირებით. პალატამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ საჭირო არ იყო ზეპირი მოსმენის გამართვა საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე (სასამართლო რეგლამენტის 59§3 ბოლო ნაწილი), და შესაბამისად მხარეებმა წერილობით გასცეს პასუხი ერთმანეთის კომენტარებს.

შაქტები

I. საქმის გარემოებები

6. განმცხადებელი დაიბადა 1963 წელს. იგი პატიმრობაში იმყოფებოდა ჩიტას რეგიონში, კრასნოკამენსკის სასჯელაღსრულების კოლონიაში, და ამჟამად პატიმრობაშია მოსკოვში, მის წინააღმდეგ მიმდინარე სხვა სისხლის სამართალწარმოებასთან დაკავშირებით.

ა. განმცხადებლის ბიზნეს და პოლიტიკური საქმიანობა

7. 2003 წელს მის დაკავებამდე, განმცხადებელი იყო ბიზნესმენი და ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ადამიანი რუსეთში. იგი იყო დიდი სანავთობო კომპანია იუკოსის (შემდგომში “კომპანია”, რომლის ლიკვიდაციაც განხორციელდა 2007 წ.) გამგეობის წევრი და საკონტროლო აქციათა მფლობელი. იგი ასევე აკონტროლებდა რამოდენიმე სხვა საბადოს დამამუშავებელ, ინდუსტრიულ და ფინანსურ კომპანიას, რომლებიც დაკავშირებული იყო იუკოსთან (შემდგომში “იუკოსის ჯგუფი”). ამ კომპანიების უმეტესობა ჩამოყალიბდა 1990-იანი წლების შუა პერიოდში სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი საწარმოების პრივატიზაციის შედეგად.

8. 2002-2003 წლების პერიოდში იუკოსის ჯგუფი რამოდენიმე დიდ ბიზნეს პროექტში იყო ჩაბმული. მაგალითად, იუკოსი ეწეოდა გაერთიანებასთან დაკავშირებულ მოლაპარაკებას მეორე დიდ რუსულ სანავთობო კომპანია “სიბნეფთთან” და ამერიკულ კომპანია “ექსონ მობილთან.” იუკოსი ასევე აპირებდა გახსადენის აშენებას არქტიკის ოკეანის გავლით, რათა მოეხდინა ბუნებრივი გაზის მიწოდება დასავლეთ ევროპისათვის. და ბოლოს, იუკოსი და სახელმწიფო კომპანია როსნეფთი ჩაბმულნი იყვნენ ურთიერთ პაექრობაში გარკვეულ ნავთობსაბადოებზე კონტროლის მოსაპოვებლად.

9. ამავე დროს განმცხადებელი ჩაება პოლიტიკაში. 2003 წლის დასაწყისში მან განაცხადა, რომ მხარდაჭერის მიზნით იგი მნიშვნელოვან დაფინანსებას გამოუყოფდა ოპოზიციურ პარტიებს იაბლოკოსა და სპს-ს (სოიუზ პრავის სილ). მან ასევე გააკეთა გარკვეული საჯარო განცხადებები, რომლითაც გააკრიტიკა რუსეთის შიდა პოლიტიკაში არსებული ანტიდემოკრატიული ტენდენციები. განმცხადებელი აფინანსებდა არასამეწარმეო არასამთავრობო ორგანიზაციას “რუსეთის ღია ფონდს” რათა მხარი დაეჭირა რუსეთის

ბ. “აპატივის” საქმე

10. იუკოსთან დაკავშირებული ერთ-ერთი კომპანია “აპატივი” იყო საბადოების დამამუშავებელი საწარმო, რომელიც აწარმოებდა აპატივის კონცენტრატს. იუკოსი აკონტროლებდა “აპატივის” აქციების 20%.

11. აპატივის პრივატიზება მოხდა 1994 წელს. შემდგომ წლებში ხელისუფლების ორგანოებმა განახორციელეს რამოდენიმე მცდელობა, რომ აპატივი დაებრუნებინათ სახელმწიფოსათვის იმ მოტივით, რომ პრივატიზაციის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა არ იყო გადახდილი შემძენების მიერ. 2002 წლის მარტში ბ-ნმა ლებედევმა, იუკოსის ჯგუფის ერთ-ერთმა უფროსმა მენეჯერმა და განმცხადებლის პირადმა მეგობარმა, აპატივის შემძენების სახელით შესთავაზა ხელისუფლებას დავასთან დაკავშირებით მეგობრული მორიგება. სახელმწიფო პრივატიზაციის სააგენტომ მიიღო შეთავაზება და 2002 წლის 19 ნოემბერს მხარეებმა მეგობრულ მორიგებას მიაღწიეს. ხსენებული მორიგება დაამტკიცა კომერციულმა სასამართლომ.

12. 2002 წლის ნოემბერში, სმოლენსკის, ტულას და ტამბოვის რეგიონის გუბერნატორებმა მიწერეს წერილი რუსეთის ფედერაციის მაშინდელ გენერალურ პროკურორ ბ-ნ უსტინოვს. ხსენებულ წერილში ისინი გამოთქამდნენ პრეტენზიას, რომ “აპატივი” ბოროტად იყენებდა აპატივის კონცენტრატის ბაზარზე მოპოვებულ დომინანტ პოზიციას და ხელოვნურად ზრდიდა ფოსფატების სასუქის ფასებს, რაც თავის მხრივ ზრდიდა საკვების ფასს. ისინი ასევე ამტკიცებდნენ, რომ აპატივი იყენებდა სხვადასხვა სქემას, რათა თავი აერიდებინა ან შეემცირებინა გადასახადები. ისინი დაუინებით სთხოვდნენ გენერალურ პროკურორ უსტინოვს დაებრუნებინა “აპატივი” სახელმწიფოსათვის და გამოეყენებინა ანტიტრესტული ღონისძიებები, რათა ეიძულებინა “აპატივი”, რომ შეემცირებინა ფასი.

13. 2002 წლის დეკემბერში, პსკოვის რეგიონის გუბერნატორმა მიწერა წერილი რუსეთის ფედერაციის მაშინდელ პრეზიდენტ ბ-ნ პუტინს. მან პრეზიდენტის ყურადღება გაამახვილა აპატივის აქციებთან დაკავშირებით მიღწეულ მეგობრულ მორიგებაზე და განაცხადა, რომ მორიგების პირობები ეწინააღმდეგებოდა სახელმწიფოს ინტერესებს, რადგანაც მორიგების თანახმად სახელმწიფოს მიერ მიღებული თანხა, გაცილებით დაბალი იყო აქციების საბაზრო ღირებულებაზე.

14. 2002 წლის 16 დეკემბერს, მაშინდელმა პრეზიდენტმა პუტინმა გამოსცა დირექტივა №პრ-2178, რომლითაც მოითხოვდა მოხსენების წარდგენას აპატივის აქციების შეძენის ფაქტთან დაკავშირებით. კერძოდ, პრეზიდენტს სურდა ინფორმაციის მიღება იმასთან დაკავშირებით ადგილი ჰქონდა თუ არა “არსებული კანონმდებლობის დარღვევას აპატივის აქციების გაყიდვისას” და განიცადა თუ არა სახელმწიფომ რაიმე ზიანი 2002 წელს მოსკოვის

კომერციული სასამართლოს მიერ დამტკიცებული მეგობრული მორიგების შედეგად.

15. ამის შემდგომ წარიმართა ფართე მასშტაბიანი გამოძიება, რომელშიც მონაწილეობდნენ პრემიერ მინისტრი, გენერალური პროკურორი, ფინანსთა სამინისტრო, ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, ინდუსტრიისა და მეცნიერების სამინისტრო, გადასახადების სამინისტრო. 2003 წლის იანვარში გენერალურმა პროკურორმა მიწერა პრეზიდენტს, რომ აპატივის პრივატიზება და აპატივის ბიზნეს საქმიანობა ეჭვს იწვევდა და საჭირო იყო შემდგომი მოკვლევა.

16. 2003 წლის 28 აპრილს გენერალურმა პროკურორმა მიწერა პრეზიდენტს და მოახსენა, რომ გენერალურმა პროკურატურამ დაასკვნა, რომ საჭირო აღარ იყო შემდგომი ქმედებების განხორციელება. მოკვლევამ ვერ დაადგინა, რომ აპატივი ბოროტად იყენებდა ბაზარზე არსებულ მის მდგომარეობას ან ის ფაქტი, რომ სახელმწიფო პრივატიზაციის სააგენტოსთან მიღწეული მეგობრული მორიგება არასამართლიანი იყო. მეგობრული მორიგების პირობები დამტკიცებულ იქნა პრემიერ მინისტრ ბ-ნ კასიანოვის მიერ. აპატივის მიერ გადახდილ გადასახადებს მუდმივად ამოწმებდა გადასახადების სამინისტრო; და მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ აპატივი და მისი ფილიალები წარსულში დაექვემდებარნენ სხვადასხვა ჯარიმას და ფინანსურ სანქციებს, ხოლო ახალი აუდიტი კი მიმდინარეობდა იმ ეტაპზე, გენერალურმა პროკურორმა ვერ დაინახა რაიმე მიზეზი, რომ სხენებულთან დაკავშირებით სისხლის სამართალწარმოება აღედგა.

17. მიუხედავად სხენებულისა, 2003 წლის 20 ივნისს სისხლის სამართალწარმოება აღიდგა აპატივის წინააღმდეგ; აპატივის აქციების შეძენასთან დაკავშირებული სიტუაცია, მოგვიანებით გახდა განმცხადებლის წინააღმდეგ წარდგენილი ბრალდების ერთ-ერთი მთავარი საფუძველი. შემდგომ თვეებში გამოძიების ფარგლები გაფართოვდა: საგამოძიებო ჯგუფმა აღმოაჩინა იუკოსთან დაკავშირებული კომპანიების მიერ გადასახადებისაგან თავის არიდებისა და ბიზნეს საქმიანობისას განხორციელებული თაღლითობის მტკიცებულებები.

18. 2003 წლის 2 ივლისს ბ-ნი ლებედევი დააპატიმრეს აპატივის საქმესთან დაკავშირებით.

19. 2003 წლის 4 ივლისს განმცხადებელი გამოიძახეს გენერალურ პროკურატურაში და დაკითხეს მოწმის სახით აპატივის საქმესთან დაკავშირებით.

20. 2003 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე, გამოძიებამ განახორციელა რამოდენიმე ჩხრეკა იუკოსის შენობებსა და განმცხადებლის ადვოკატის, ბ-ნი დრელის, ოფისებში. ჩხრეკა ასევე ჩატარდა პოლიტიკური პარტია იაბლოკოს სათაო ოფისში. ამის შემდგომ იუკოსის რამოდენიმე აღმასრულებელი ხელმძღვანელი დააკავეს და იუკოსთან დაკავშირებულ რამოდენიმე კომპანიას დაედო ყადაღა; რამოდენიმე სხვა პირმა დატოვა რუსეთი. რამოდენიმე პირმა, ვინც დატოვა რუსეთი თავი შეაფარა გაერთიანებულ სამეფოს. საგამოძიებო ორგანოებმა მოითხოვეს მათი ექსტრადირება რუსეთში, თუმცა ბრიტანეთის

სასამართლოებმა უარი განაცხადეს მათ გადაცემაზე იმ მოტივით, რომ ამ პირების წინააღმდეგ აღძრული გამოძიება პოლიტიკურად იყო მოტივირებული და რუსეთში მათთან მიმართებაში ვერ განხორციელდებოდა სამართლიანი სასამართლო განხილვა. განმცხადებელმა წარმოადგინა ექსტრადიციის სამართალწარმოებასთან დაკავშირებით ბრიტანეთის სასამართლოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების ასლები.

21. იმავდროულად გენერალური პროკურატურის მაღალჩინოსნებმა საჯაროდ განაცხადეს, რომ შესაძლებელი იყო ბრალდების წაყენება იუკოსის სხვა უფროსი მენეჯერებისა და იუკოსთან დაკავშირებული კომპანიებისათვის. განმცხადებელმა არ დატოვა ქვეყანა და აგრძელებდა თავის საქმიანობას, მათ შორის ბიზნეს ტურებს რუსეთსა და საზღვარგარეთ.

გ. განმცხადებლის დაკავება და წინასწარ პატიმრობაში მოთავსება გამოძიებისა და სასამართლო სამართალწარმოების განმავლობაში

1. 2003 წლის 25 ოქტომბერს განმცხადებლის დაკავება ნოვოსიბირსკში

22. 2003 წლის 23 ოქტომბერს, მაშინ როდესაც განმცხადებელი არ იმყოფებოდა მოსკოვში და ახორციელებდა საქმიან ტურს აღმოსავლეთ რუსეთში, გამოძიებელმა 2003 წლის 24 ოქტომბერს შუადღისას გამოიძახა იგი მოწმის სახით დასაკითხად მოსკოვში. მოწმის სახით გამოცხადების უწყება მიიტანეს განმცხადებლის ოფისში 23 ოქტომბერს დღის 3 საათზე ბ-ნმა ფ-მ და ბ-ნმა შ-მ. განმცხადებლის პერსონალმა განუცხადა მათ, რომ განმცხადებელი არ იმყოფებოდა მოსკოვში და არ დაბრუნდებოდა 2003 წლის 28 ოქტომბრამდე. იუკოსის თანამშრომლებმა ასევე გააგზავნეს გენერალურ პროკურატურაში დეპეშა, რომელშიც განმარტავდნენ განმცხადებლის მოსკოვში არყოფნის მიზეზებს.

23. 2003 წლის 24 ოქტომბერს ბ-ნმა ფ-მ და ბ-ნმა შ-მ მიწერეს მოხსენება უფროს გამოძიებელ ბ-ნ კ-ს, რომლითაც ატყობინებდნენ ბ-ნ კ-ს განმცხადებლის მოსკოვში არყოფნის შესახებ. იმავე დღეს, განმცხადებელი ვერ მივიდა რა დანიშნულ დროს შეხვედრაზე, გამოძიებელმა კ-მ ბრძანა მისი იძულებით მიყვანა დაკითხვაზე და ინსტრუქცია მისცა პოლიციას შეესრულებინა სსენებული ბრძანება.

24. 2003 წლის 25 ოქტომბრის დილით ადრე შეიარაღებული სამართალდამცავი ოფიცრების ჯგუფი მივიდა ნოვოსიბირსკის აეროპორტის ასაფრენ ბილიკზე მდგომ განმცხადებლის თვითმფრინავთან, დააკავა განმცხადებელი და გადააფრინა იგი მოსკოვში.

25. განმცხადებლის ადვოკატმა გაასაჩივრა მოსკოვის ბასმანის რაიონის სასამართლოში იძულებით გამოცხადებასთან დაკავშირებული ბრძანება. იგი ამტკიცებდა, რომ განმცხადებელს გააჩნდა საპატიო მიზეზი დაკითხვაზე გამოუცხადებლობასთან დაკავშირებით: იგი არ იმყოფებოდა ქალაქში და ახორციელებდა საქმიან ტურს, თან მას პირადად არ მიუღია გამოძახების უწყება. როგორც მოწმე მას თავისუფლად შეეძლო ემოგზაურა. 2004 წლის 27 იანვარს, სასამართლომ უარყო საჩივარი. სასამართლომ განაცხადა, რომ შეუძლებელი იყო განმცხადებლისათვის პირადად უწყების გადაცემა 2003

წლის 23 ოქტომბერს და ამგვარად განმცხადებელს ინფორმაცია მიეწოდა დაკითხვის შესახებ იუკოსის სათაო ოფისის მეშვეობით. სასამართლომ დაადგინა, რომ 2003 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება, რომელიც ეხებოდა დაკითხვის მიზნით განმცხადებლის მოსკოვში იძულებით ჩაყვანას, გამოიცა მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსისა და კონსტიტუციის დაცვით.

2. დაპატიმრების პირველი ბრძანება (2003 წლის 25 ოქტომბერი)

26. მოსკოვში ჩამოყვანის შემდგომ, განმცხადებელი მიიყვანეს გამოძიებელთან 2003 წლის 25 ოქტომბრის დღის 11 საათზე. გამოძიებელმა აუხსნა განმცხადებელს დაკავების მიზეზი და დაკითხა იგი მოწმის სახით 1998-2000 წლებში განმცხადებლის მიერ პირადი საშემოსავლო გადასახადების გადახდასთან დაკავშირებით. ხსენებულის შემდგომ განმცხადებელს შეატყობინეს, რომ იგი ბრალდებული იყო რამოდენიმე დანაშაულის ჩადენაში, კერძოდ კი 1998 წელს “აპატივის” აქციების თაღლითური გზით შეძენაში, აპატივის შემოსავლების არაკანონიერ გამოყენებაში, იუკოსის თანხების არაკანონიერ გამოყენებასა და კორპორაციული გადასახადებისაგან თავიდან არიდებაში, პირადი გადასახადებისაგან თავიდან არიდების სქემების შემუშავებაში, რომელსაც იყენებდა იუკოსი და განმცხადებელი პირადად 1999-2000 წლებში. გამოძიებელმა შეადგინა ბრალდების ოქმი, რომელშიც აღწერდა განმცხადებლისათვის წაყენებული ბრალდებების არსს. ხსენებული ოქმი 35 გვერდისაგან შედგებოდა და იგი გააცნეს განმცხადებელს დღის 2 საათსა და 20 წუთზე. ამის შემდგომ განმცხადებელი დაკითხეს ბრალდებულის სახით, წაყენებულ ბრალდებებთან დაკავშირებით, მაგრამ მან უარი განაცხადა ჩვენების მიცემაზე, რადგანაც მისი ერთ-ერთი ადვოკატი არ იმყოფებოდა დაკითხვაზე. დაკითხვის შემდგომ, 2003 წლის 25 ოქტომბერს დღის 3 საათზე გამოძიებელმა მოთხოვნით მიმართა ბასმანის რაიონულ სასამართლოს, რათა განმცხადებელს შეფარდებოდა წინასწარი პატიმრობა. მოთხოვნა შედგებოდა 9 გვერდისაგან და განმცხადებლის მტკიცებით წინასწარ იყო მომზადებული.

27. სასამართლომ განიხილა ეს მოთხოვნა 4 საათსა და 35 წუთზე. განმცხადებელს დახმარებას უწევდა მისი ერთ-ერთი ადვოკატი, ბ-ნი დრელი. გამოძიებელმა მოითხოვა დახურული სამართალწარმოება და მიუთითა საქმის იმ მასალებზე, რომელიც არ უნდა გამჟღავნებულიყო. დაცვის მხარემ მოითხოვა საჯარო განხილვა, მაგრამ სასამართლომ პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე, მიიღო გადაწყვეტილება მოსმენა ჩაეტარებინა დახურულ სხდომაზე და მიუთითა დაცვის მხარისათვის მისი უფლებების უზრუნველყოფის საჭიროებაზე. სასამართლომ მოუსმინა პროკურორს, განმცხადებელს და განმცხადებლის ადვოკატს და გამოიკვლია საქმის მასალებში არსებული გარკვეული დოკუმენტები, რომლებიც წარმოადგინა გამოძიებამ. დაცვის მხარემ განაცხადა, რომ განმცხადებელი დაუყოვნებლივ გამოცხადდა დაკითხვაზე, როდესაც იგი პირველად გამოიძახეს 2003 წლის ივლისში და მას არ შეეძლო გამოცხადებულიყო მეორე დაკითხვაზე საპატიო მიზეზების გამო, რადგანაც მან პირადად არ იცოდა გამოძახების შესახებ. დაცვა მოითხოვდა განმცხადებლის გათავისუფლებას გირაოს სანაცვლოდ. თუმცა მთავრობამ მიუთითა იმ ფაქტზე, რომ დაცვის მხარეს არ მიუთითებია შეთავაზებული გირაოს ოდენობა.

28. მოსმენის ბოლოს, რომელიც გრძელდებოდა დაახლოებით 5 საათი, სასამართლომ გასცა დაპატიმრების ბრძანება და დაეყრდნო სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლს (იხ. ქვემოთ “შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა”). სასამართლომ მოკლედ ჩამოაყალიბა განმცხადებლის წინააღმდეგ წარდგენილი ბრალდებები, მხარეების მიერ წარმოდგენილი არგუმენტაცია და საქმის პროცედურული ისტორია. პატიმრობის შეფარდების უმთავრესი მიზეზები შემდეგნაირად იყო ჩამოყალიბებული:

“[განმცხადებელი] ბრალდებულია მძიმე დანაშაულების ჩადენაში, რომლისთვისაც გათვალისწინებულია 2 წელზე მეტი ხნით პატიმრობა და რომლის ჩადენაც ხდებოდა სხვა პირებთან ერთად დიდი ხნის განმავლობაში. დანაშაულის გარემოებები, [განმცხადებლის] პიროვნება და მისი თანამდებობა (იუკოსის ხელმძღვანელი) მიანიშნებდა იმაზე, რომ თავისუფლებაში დარჩენის შემთხვევაში, განმცხადებელს შესაძლოა ზეგავლენა მოეხდინა მოწმეებსა და სამართალწარმოების სხვა მონაწილეებზე, დაემალა ან გაენადგურებინა მტკიცებულებები..., ან კვლავაც ჩაედინა დანაშაული.

[განმცხადებლის] თანამზრახველები მიემალნენ გამოძიებას. [განმცხადებელი] ასევე შესაძლოა მიმალვოდა გამოძიებას, რადგანაც მას გააჩნდა საზღვარგარეთ სამოგზაურო პასპორტი და ფული საზღვარგარეთის ბანკებში”.

29. სასამართლომ მიუთითა განმცხადებლის ოჯახურ მდგომარეობაზე, მის საცხოვრებელზე მოსკოვში და მის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე და განაცხადა, რომ არ არსებობდა რაიმე მიზეზი განმცხადებლისათვის უფრო მსუბუქი ხასიათის აღკვეთის ღონისძიების შერჩევისათვის. რაც შეეხება განმცხადებლის მტკიცებას, რომ გამოძიებას არ წარუდგენია რაიმე სახის მტკიცებულება სავარაუდო დანაშაულებში მის მონაწილეობასთან დაკავშირებით, სასამართლომ შემდეგი სახის განმარტება გააკეთა:

“ხსენებული არგუმენტი... არ უნდა იქნეს განხილული არსებითად, რადგანაც სისხლის სამართლის საქმე ჯერ კიდევ წინასწარი გამოძიების სტადიაშია და სასამართლოს არ შეუძლია თავისი მოსაზრების გამოთქმა [განმცხადებლის] ბრალეულობის საკითხთან, ბრალეულობის დადასტურებასა თუ ბ-ნი ხოდორკოვსკის მიერ განხორციელებული ქმედებების სამართლებრივ კვალიფიკაციასთან დაკავშირებით”.

30. სასამართლოს არ განუსაზღვრია განმცხადებლის წინასწარი პატიმრობის ვადა.

31. 2003 წლის 3 ნოემბერს განმცხადებელი გადადგა იუკოსის უფროსი ხელმძღვანელის თანამდებობიდან.

32. 5 ნოემბერს განმცხადებლის ადვოკატმა გამოძიებას გადასცა განმცხადებლის საზღვარგარეთ სამოგზაურო პასპორტები.

33. 2003 წლის 6 ნოემბერს განმცხადებლის ადვოკატებმა გაასაჩივრეს პატიმრობის ბრძანება. სხვა საკითხებთან ერთად, ისინი ამტკიცებდნენ, რომ არგუმენტები პატიმრობის შეფარდებისათვის არასაკმარისი იყო და დახურული მოსმენა უკანონოდ განხორციელდა, ხოლო განმცხადებელს კი არ ჩაუდენია რაიმე სახის დანაშაული.

34. 2003 წლის 11 ნოემბერს მოსკოვის საქალაქო სასამართლომ ძალაში დატოვა პატიმრობის ბრძანება. მოსმენა გაიმართა დახურულ სხდომაზე, განმცხადებლის დაუსწრებლად, მაგრამ სხდომას ესწრებოდნენ მისი ადვოკატები. საქალაქო სასამართლომ შემდეგი რამ განაცხადა რაიონული სასამართლოს არგუმენტაციასთან დაკავშირებით:

“[განმცხადებელი] ფლობს გიბრალტარში რეგისტრირებული შპს მენატეპ ჯგუფის დიდ ნაწილს..., გააჩნია ფინანსური ზეგავლენა და სარგებლობს პრესტიჟით ხელისუფლების საჯარო ორგანოებსა და კომპანიებში. განმცხადებლის მიერ კონტროლირებადი კომპანიების თანამშრომლები დამოკიდებულნი არიან მასზე ფინანსურად და სხვაგვარად...”

35. საქალაქო სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ საქმეში არსებული მასალები საკმარის მტკიცებულებებს შეიცავდნენ, რათა განმცხადებელთან მიმართებაში გაჩენილიყო ეჭვი, რომ მან ჩაიდინა სავარაუდო დანაშაულები. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ ეროვნული კანონმდებლობა იძლეოდა პატიმრობასთან დაკავშირებული მოსმენის დახურულად ჩატარების შესაძლებლობას იმ მიზნით, რომ წინასწარი გამოძიების მასალების კონფიდენციალურობა და ბრალდებულის ინტერესები ყოფილიყო დაცული. არც საქალაქო სასამართლომ არ განსაზღვრა განმცხადებლის წინასწარი პატიმრობის ვადა.

3. განმცხადებლის ადვოკატისაგან წერილობითი დოკუმენტის ამოღება

36. 2003 წლის 10 ნოემბერს განმცხადებელს ბრალი წაყენა რამოდენიმე დამატებითი დანაშაულის ჩადენაში, მათ შორის უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში, ქონების არაკანონიერად გამოყენებაში, გადასახადებისაგან თავის არიდებაში, დიდი მოცულობის თაღლითობასა და ოფიციალური დოკუმენტების გაყალბებაში.

37. 2003 წლის 11 ნოემბერს ქ-ნმა არტიუხოვამ, განმცხადებლის ერთ-ერთმა ადვოკატმა, მოინახულა იგი ციხეში. როდესაც იგი ტოვებდა ციხეს, ციხის გუშაგებმა გაჩხრიკეს იგი და ჩამოართვეს ხელნაწერი, რომელიც შეიცავდა ადვოკატის მოსაზრებებს საქმესთან დაკავშირებით, რომელიც მან მოამზადა გასულ დამეს და ასევე ჩამოართვეს სამართლებრივი პოზიციის დაბეჭდილი პროექტი ბ-ნი ლებედევის საქმესთან დაკავშირებით.

38. მთავრობის თანახმად, ქ-ნმა არტიუხოვამ მიიღო განმცხადებლისაგან ხელნაწერი სახელწოდებით “წერილობითი დირექტივები დაცვას”. ხსენებული “დირექტივები” შეიცავდა შემდეგ ინსტრუქციებს (როგორც ჩანს მთავრობა ახდენდა ციტირებას ხსენებული ხელნაწერიდან): “უზრუნველყოფილ იქნეს, რომ ბ-ნმა ლებედევმა უარყოფითი ან ბუნდოვანი პასუხი გასცეს რტტ-ში მის მონაწილეობასთან დაკავშირებით, მოხდეს მოწმეებთან გასაუბრება 2003 წლის 6 ნოემბერს მათ მიერ მიცემულ ჩვენებებთან დაკავშირებით, გადამოწმდეს დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი მოწმეების ჩვენებები და მოხდეს იმის უზრუნველყოფა, რომ ისინი არ შეიცავენ რაიმე სახის მინიშნებას გაზრახვასთან დაკავშირებით”. ხელნაწერი ასევე შეიცავდა დირექტივებს ინვესტირებასთან დაკავშირებულ საქმიანობისა და გადასახადების შესახებ. ციხის ადმინისტრაციის თანამშრომლებმა ასევე ამოიღეს ქ-ნი არტიუხოვასგან 16 გვერდზე დაბეჭდილი დოკუმენტი სახელწოდებით “სისხლის

სამართლებრივი წინასწარი ანალიზი ბ-ნი პ.პ. ლებედევის საქმეში არსებულ ბრალდებებთან დაკავშირებით”.

39. მთავრობამ წარმოადგინა 2003 წლის 11 ნოემბრით დათარიღებული მოხსენება, რომელიც შეადგინა ჩხრეკაში მონაწილე ოფიცერმა. მოხსენების თანახმად, ჩხრეკის ბრძანება გასცა ინსპექტორმა ბ-მ. მოხსენებაში ინსპექტორი ბ უთითებდა, რომ მან უბრძანა ჩხრეკის განხორციელება, რადგანაც მას გააჩნდა საკმარისი საფუძველი იმის სავარაუდოდ, რომ ქ-ნ არტიუხოვას თან ჰქონდა აკრძალული ნივთები. მთავრობამ ასევე წარმოადგინა ინსპექტორ ფ-ს მიერ შედგენილი მოხსენება, რომელიც ინფორმაციას აწვდიდა ზემდგომ პირებს იმის შესახებ თუ როგორ დაინახა მან, რომ განმცხადებელმა და ქ-ნმა არტიუხოვამ შეხვედრისას “გაცვალებს ხელნაწერები და გააკეთეს მათში გარკვეული ჩანაწერები”.

40. განმცხადებლის თანახმად, ხელნაწერი შეადგინა ქ-ნმა არტიუხოვამ. ხელნაწერი შეიცავდა შემდეგ ჩანაწერებს:

“- კოდიროვი [განმცხადებლის თანამესაკნე]: ელის ადვოკატ სოლოვიოვის მეორე ვიზიტს;

-უნდა ვიმუშაოთ წინასწარ საგამოძიებო იზოლატორში არსებული წესების დარღვევასთან დაკავშირებული სანქციების საკითხებზე (ქცევის აქტიური და პასიური ფორმები (მაგ. შიმშილობა);

-უნდა ვიმუშაოთ ანაზღაურების მიღების საკითხზე იმ კონსულტაციისათვის, რომელიც ეხება საინვესტიციო საქმიანობაში ჩაბმული სხვადასხვა კომპანიის აქციების შეძენას;

-ხელმოწერების საექსპერტო ანალიზი, უნდა ვიმუშაო ამ საკითხზე, რადგანაც წარმოდგენილი დოკუმენტები არ არის დედნები არამედ ასლები (მ.ბ-ს ხელმოწერის ასლის საექსპერტო ანალიზი);

-კითხვების მეშვეობით ვიმუშაო შემდეგ მოწმეებთან დონდონოვი, ვოსტრუხოვი, შაპოშნიკოვი (დაკითხვა 06.11.03 – გარემოებების შესაბამისად);

- რტტ-ში მონაწილეობასთან დაკავშირებით ლებედევმა უარყოფითი (ბუნდოვანი) პასუხი უნდა გასცეს; როსპრომისა და მენატეპის აღმასრულებლების პრეროგატივა – წარმოჩინდეს მათი პრეროგატივების ფარგლები, როგორ ხორციელდება დაწინაურება;

- გადამოწმდნენ დაცვის მოწმეები (როსპრომის ყოფილი მენეჯერები და ადმინისტრაცია, მენატეპის პოზიცია დაახლოებით 100, ჩვენებების არსი

1. განზრახვის არარსებობა;

2. ინვესტირების მეთოდებსა და საგადასახადო საქმიანობასთან დაკავშირებით ინსტრუქციების ან რჩევების არ არსებობა

აუცილებელია შემდეგი მოწმეების ჩვენებებთან დაკავშირებით მუშაობა ფიოდოროვი, შაპოშნიკოვი, მიხაილ სუბმერი, საგადასახადოს ხაღხი;

სხვა – უნდა განხორციელდეს დასავლური ადიტორული და სამართლებრივი ფორმების მიერ პირადი შემოსავლის აუდიტი შემდეგ კონტექსტში “მე უფლება მაქვს მივიღო შემოსავალი აქციონერების შეხვედრაზე მიღებული გადაწყვეტილების თანახმად” ადვოკატი ... საქმეში”

41. 2003 წლის 25 ნოემბერს, განმცხადებლის ადვოკატებს შეატყობინეს წინასწარი გამოძიების დამთავრების შესახებ. დაცვას მიეცა

ხელმისაწვდომობა გამოძიების მასალებზე, რათა შეძლებოდა შეესწავლა ისინი და მომზადებულიყო სასამართლო სხდომისათვის.

42. მთავრობამ წარმოადგინა გამოძიებულ ბ-ნ კ-ს მიერ ბ-ნი ბ-სათვის, იუსტიციის სამინისტროს გენერალური დეპარტამენტის უფროსი, შედგენილი მოხსენების ასლი 2003 წლის 11 ნოემბრის ეპიზოდთან დაკავშირებით. ბ-ნმა კ-მ შეატყობინა ბ-ნ ბ-ს ქ-ნი არტიუხოვასაგან ამოღებული ხელნაწერის შინაარსის შესახებ. ბ-ნი კ-ს თანახმად, ხელნაწერი შეიცავდა დაცვის გუნდისათვის გაგზავნილ განმცხადებლის ინსტრუქციებს, რომელიც ეხებოდა დაცვის ტაქტიკას და კერძოდ მიზნად ისახავდა ბ-ნ ლებედევთან, განმცხადებელთან ერთად თანაბრადებულთან, კოორდინაციას. ბ-ნი კ-ს თანახმად განმცხადებელი კარნახობდა ქ-ნ არტიუხოვას თუ რა უნდა ჩაეწერა. ბ-ნმა კ-მ დაასკვნა, რომ ხსენებულ ხელნაწერს გააჩნდა მტკიცებულებითი ღირებულება განმცხადებლის წინააღმდეგ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეში.

4. პატიმრობის მეორე პრძანება (2003 წლის 23 დეკემბერი)

43. 2003 წლის 28 ნოემბერს დაცვის მხარემ შუამდგომლობით მიმართა გენერალურ პროკურორს და მოითხოვა აღკვეთის ღონისძიების შეცვლა იმ მოტივით, რომ წინასწარი გამოძიება დამთავრდა და რადგანაც ყველა მოწმე დაიკითხა იმის თეორიული შანსიც აღარ რჩებოდა, რომ განმცხადებელი ჩაეროდა მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელებაში. დაცვის მხარე ასევე ამტკიცებდა, რომ არ არსებობდა რაიმე მიზეზი იმის დასაჯერებლად, რომ განმცხადებელი განაახლებდა სავარაუდო დანაშაულებრივ ქმედებებს ან, რომ იგი მიემალებოდა მართლმსაჯულებას. დაცვის მხარემ ასევე შესთავაზა გამოძიებას გარანტიები და გირაო. 2003 წლის 3 დეკემბერს გამოძიებამ უარყო გათავისუფლებასთან დაკავშირებული შუამდგომლობა.

44. 2003 წლის 17 დეკემბერს გამოძიებამ მოთხოვნით მიმართა ბასმანის სასამართლოს განმცხადებლის წინასწარი პატიმრობის 2004 წლის 30 მარტამდე გაგრძელებასთან დაკავშირებით. გამოძიებამ მიუთითა “[განმცხადებლის] ერთ ერთი ადვოკატისაგან ამოღებულ ხელნაწერზე, რომელიც შეიცავდა ბ-ნი ხოდორკოვსკის ინსტრუქციებს გამოძიების მოწმეებზე ზეწოლის განხორციელების თაობაზე”. სავარაუდოდ პროკურორი უთითებდა ქ-ნი არტიუხოვასაგან ამოღებულ ხელნაწერზე. პატიმრობის გაგრძელებასთან დაკავშირებული პროკურორის შუამდგომლობა მოცულობითი და დასაბუთებული იყო; შუამდგომლობა 300 გვერდს აჭარბებდა

45. 2003 წლის 19 დეკემბრის პარასკევ საღამოს განმცხადებლის ადვოკატებმა შეიტყვეს, რომ სასამართლო შუამდგომლობას განიხილავდა 2003 წლის 22 დეკემბერს ორშაბათ დილას 10 საათზე. ადვოკატებს არ მიუღიათ მოთხოვნის ასლი მოსმენამდე.

46. მოსმენა დაიწყო 2003 წლის 22 დეკემბერს შუადღის 3 სათსა და 05 წუთზე. დაცვა ითხოვდა მოსმენის გადადებას 24 დეკემბრისათვის, მაგრამ სასამართლომ ხსენებული მოთხოვნის საპასუხოდ ადვოკატებს მხოლოდ 2 საათიანი ვადა მისცა პოზიციის მოსამზადებლად. ხსენებული 2 საათის განმავლობაში ადვოკატები რჩებოდნენ სასამართლო დარბაზში და ბადრაგის

და სასამართლოს თანამშრომლების თანდასწრებით იღებდნენ ინსტრუქციებს გისოსებს მიღმა მყოფი განმცხადებლისაგან.

47. სასამართლომ გადაწყვიტა დახურული სხდომა გაემართა. განმცხადებლის ადვოკატები სსენებულის წინააღმდეგნი იყვნენ და უთითებდნენ განსაკუთრებით კი იმ ფაქტზე, რომ გენერალურმა პროკურორმა ადრე საჯაროდ განაცხადა, რომ განმცხადებლის საქმეში არ მოიპოვებოდა რაიმე, რაც აუცილებელს გახდიდა მოსმენის დახურულ სხდომაზე გამართვას. სასამართლომ ყოველგვარი დასაბუთების გარეშე უარყო განმცხადებლის მოთხოვნა, რომ მოსმენა ღია სხდომაზე ჩატარებულიყო.

48. მოსმენის განმავლობაში დაცვამ წარმოადგინა დოკუმენტები იმ მოსაზრების გასამყარებლად, რომ განმცხადებელი აღარ იყო იუკოსის გამგეობის წევრი, რომ იგი აღარ ფლობდა აქციებს იუკოსში ან სხვა კომპანიებში, რომლებიც, გამოძიების მტკიცებით, ჩაბმულნი იყვნენ სავარაუდო აფიორაში და რომ მის დაკავებამდე განმცხადებელი მუდმივად ცხოვრობდა მოსკოვის რეგიონში. სსენებულის საფუძველზე დაცვა ამტკიცებდა, რომ განმცხადებელი არ მიიმალებოდა. თუმცა, სასამართლომ უარი განაცხადა დაცვის მხარის მიერ წარდგენილი დოკუმენტების განხილვაზე.

49. 2003 წლის 22 დეკემბრის საღამოს მოსმენა გადაიდო. მოსმენა განახლდა 2003 წლის 23 დეკემბერს. იმ დღეს დაცვამ მოიპოვა გამოძიების მიერ პატიმრობის გაგრძელებასთან დაკავშირებით წარდგენილი მოთხოვნის ასლი. ამავე დროს გამოძიებამ სასამართლოში წარადგინა დამატებითი მტკიცებულებები, მათ შორის ქ-ნი არტიუხოვასაგან ამოღებული ხელნაწერი. სასამართლომ მტკიცებულებად მიიღო ქ-ნი ა-ს ხელნაწერი. დაცვამ მოითხოვა მოსმენის 1 დღით გადადება, რათა შეესწავლა სსენებული დოკუმენტები. დაცვა ასევე ასაჩივრებდა მათ დასაშვებობას და აცხადებდა, რომ დოკუმენტების მოპოვება მოხდა ადვოკატისა და კლიენტის კომუნიკაციის კონფიდენციალურობის დარღვევით. დაცვის მხარე ასევე აცხადებდა, რომ მას არ გააჩნდა საკმარისი ინფორმაცია სსენებული დოკუმენტის წარმომავლობის შესახებ. თუმცა, სასამართლომ დაადგინა, რომ სხდომის 1 საათით გადადება საკმარისი იქნებოდა.

50. მეორე დღეს განმცხადებლის წარმომადგენელმა, ქ-ნმა მოსკალენკომ, თხოვნით მიმართა სასამართლოს 1 დღით გადაედო მოსმენა, რათა დაცვის მხარეს მისცემოდა შესაძლებლობა შეესწავლა გამოძიების მიერ წარდგენილი ახალი მასალები. სასამართლომ ბრძანა საათნახევრიანი შესვენება, მაგრამ უარი განაცხადა მეორე დღემდე მოსმენის გადადებაზე.

51. 2003 წლის 23 დეკემბერს, სასამართლომ გაახანგრძლივა პატიმრობა 2004 წლის 25 მარტამდე ძირითადად იმავე არგუმენტებზე დაყრდნობით, რომელსაც დაყრდნო ადრეულ ეტაპზე. რაიონულმა სასამართლომ განიხილა განმცხადებლის ოჯახური მდგომარეობა და “პირადი თავდებობები”, რომელშიც მას ჩაუდგნენ რამოდენიმე პირი და რომლებიც იძლეოდნენ განმცხადებლის მართლმსაჯულების წინაშე გამოცხადების გარანტიას. თუმცა, სსენებულმა ელემენტებმა ვერ დაარწმუნეს რაიონული სასამართლო, რომ შესაძლებელი იყო განმცხადებლის გათავისუფლება. რაიონულმა სასამართლომ მიუთითა იმ ფაქტზე, რომ განმცხადებლის სავარაუდო

თანამშრომლები მიემალნენ მართლმსაჯულებას და რომ განმცხადებელი კვლავაც აკონტროლებდა იმ ბიზნეს სტრუქტურებს, რომლებიც მხილებულ იქნენ სავარაუდოდ დანაშაულის ჩადენაში. შესაბამისად სასამართლოს აზრით განმცხადებელს შეეძლო მათი გამოყენება დანაშაულებრივი საქმიანობის გასაგრძელებლად ან იმ მოწმეებზე ზეგავლენის მოსახდენად, რომლებიც მუშაობდნენ ამ სტრუქტურებში. სასამართლომ აღნიშნა, რომ განმცხადებელს გააჩნდა უცხოური პასპორტი და პირადად, ისევე როგორც სანდო კომპანიების მეშვეობით, ფლობდა აქციებს უცხოურ კომპანიაში. გარდა ამისა, სასამართლომ განაცხადა, რომ განმცხადებელი შეეცადა ზეწოლა განეხორციელებინა მოწმეებზე. სასამართლო თავის არგუმენტაციაში პირდაპირ არ უთითებდა ქნ ა-ს ხელნაწერზე, თუმცა მან ეს მოიხსენია, როდესაც გააკეთა პროკურატურის არგუმენტაციის მოკლედ ჩამოყალიბება. სასამართლომ ასევე მოიხსენია შემდგომი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების აუცილებლობა. სასამართლომ დაასკვნა, რომ გათავისუფლების შემთხვევაში განმცხადებელს შეეძლო მიმალვოდა მართლმსაჯულებას, ზეწოლა მოეხდინა მოწმეებზე და გაეგრძელებინა თავისი საქმიანობა.

52. 2003 წლის 30 დეკემბერს განმცხადებლის ადვოკატებმა გაასაჩივრეს ხსენებული გადაწყვეტილება. 2004 წლის 14 იანვარს საჩივარი შევიდა მოსკოვის საქალაქო სასამართლოში პირველი ინსტანციის სასამართლოდან.

53. 2004 წლის 15 იანვარს მოსკოვის საქალაქო სასამართლომ ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება. მოსკოვის საქალაქო სასამართლოში მოსმენა გაიმართა საჯაროდ და მას ესწრებოდნენ განმცხადებლის ადვოკატები. განმცხადებელი არ ესწრებოდა ამ მოსმენას. ხსენებული მომენტიდან განმცხადებლის საქმეში პატიმრობასთან დაკავშირებული მოსმენები საჯაროდ იმართებოდა. 2004 წლის 15 იანვრის გადაწყვეტილებაში მოსკოვის საქალაქო სასამართლომ *inter alia* განაცხადა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს წინაშე წარდგენილი იყო მტკიცებულებები, რომლებიც მოწმობდნენ, რომ განმცხადებელმა სცადა ზეწოლის განხორციელება მოწმეებზე.

5. პატიმრობის მესამე პრძანება (2004 წლის 19 მარტი)

54. დაუდგენელ დღეს, გამოძიებამ მოთხოვნით მიმართა ბასმანის რაიონულ სასამართლოს განმცხადებლისათვის პატიმრობის გაგრძელებასთან დაკავშირებით იმ მოტივით, რომ განმცხადებელს ესაჭიროებოდა უფრო მეტი დრო საგამოძიებო მასალების შესასწავლად. თავისი მოთხოვნის გასამყარებლად პროკურორმა თავის არგუმენტაციაში ახსენა “ერთ-ერთი ბრალდებულისაგან ხელნაწერის ამოღება, რომელიც შეიცავდა ხოდორკოვსკის ინსტრუქციებს გამოძიების მოწმეებზე ზეწოლის განხორციელებასთან დაკავშირებით”.

55. 2004 წლის 19 მარტს სასამართლომ გამართა მოსმენა. დაცვის ადვოკატები ჩიოდნენ, რომ მათ ვერ შეძლეს განმცხადებლის განმარტოებით მონახულება, რათა მიეღოთ ინსტრუქციები, რადგანაც განმცხადებელს მხოლოდ პროცესის დღეს შეატყობინეს მისი გამართვის შესახებ და შესაბამისად მას არ ჰქონდა საკმარისი დრო თვალი გადაეწო პროკურორის მიერ წარდგენილი ახალი მასალებისათვის. თავად ადვოკატებმა პროცესის შესახებ შეიტყვეს წინა დღეს

და მოითხოვეს მისი 3 დღით გადადება. ადვოკატებმა ასევე წარუდგინეს სასამართლოს ხელნაწერთან დაკავშირებული ექსპერტის ანალიზი, რომელიც ადასტურებდა, რომ ქ-ნი ა-სგან ამოღებული დოკუმენტი მის მიერვე იყო დაწერილი და არ ყოფილა დაწერილი განმცხადებლის მიერ. დაცვა ასევე აცხადებდა, რომ განმცხადებელი არ მიიმალებოდა. ხსენებული პრეტენზიის გასამყარებლად, დაცვა უთითებდა ერთ-ერთ თანაბრადღებულ ბ-ნ კ-ზე, რომელმაც ხელი მოაწერა ვალდებულებას არ დაეტოვებინა საცხოვრებელი ქალაქი და შემდგომში არ მიიმალა. დაცვა უთითებდა იმ ფაქტზე, რომ განმცხადებლის პასპორტები გადაეცა გამოძიებას და რომ მისი ოჯახი კიდევ ერთხელ სთავაზობდა გამოძიებას გირაოს შეტანას. დაცვის აზრით აბსურდი იყო ის მოსაზრება, რომ განმცხადებელი გააგრძელებდა დანაშაულებრივ საქმიანობას, რადგანაც იგი არ იყო ბრალდებული ძალადობრივ დანაშაულში, არამედ ბრალი ჰქონდა წაყენებული ეკონომიკური დანაშაულის ჩადენაში: მისთვის შეუძლებელი იქნებოდა ასეთი დანაშაულების ჩადენა თუკი მას გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლებდნენ და შინა პატიმრობას მიუსჯიდნენ. გამოძიება შეეწინააღმდეგა განმცხადებლის გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლებასა და შინა პატიმრობას.

56. საქმის მასალების შესწავლისა და მხარეების პოზიციის მოსმენის შემდგომ, სასამართლომ გაახანგრძლივა პატიმრობა 2004 წლის 25 მაისამდე ძირითადად იმავე არგუმენტაციით, რაც ადრე ჰქონდა. თავისი დასკვნის გასამყარებლად, სასამართლომ მიუთითა იმ ფაქტზე, რომ განმცხადებლის ზოგიერთმა თანამზრახველმა დატოვა რუსეთი, რომ განმცხადებელს გააჩნდა რამოდენიმე საზღვარგარეთ სამოგზაურო პასპორტი, რომ იგი ფლობდა უცხოური კომპანიების აქციების მნიშვნელოვან წილს და რომ იგი შეეცადა ზეწოლა განეხორციელებინა ბრალდების მოწმეებზე. სასამართლომ ასევე მიუთითა იმ ფაქტზე, რომ გარკვეული მოწმეები დამოკიდებულნი იყვნენ განმცხადებელზე. თუმცა პატიმრობის ბრძანებაში სასამართლოს არ მიუთითებია იმ საფრთხეზე, რომ გათავისუფლების შემთხვევაში განმცხადებელი კვლავაც ჩაიდენდა დანაშაულს. რაიონულმა სასამართლომ დაადგინა, რომ პატიმრობის შეცვლა პირადი თავდებობით შეუძლებელი იყო, რადგან სასამართლოს არ გააჩნდა უფლებამოსილება მიეღო ასეთი გადაწყვეტილება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 109-ე მუხლის თანახმად.

57. მთავრობა ამტკიცებდა, რომ 2004 წლის 19 მარტის პატიმრობის ბრძანებასთან დაკავშირებული განმცხადებლის საჩივრები, რაიონულმა სასამართლომ მიიღო 25 მარტს (ბ-ნი პადვას საჩივარი) და 2004 წლის 2 აპრილს (ქ-ნი მოსკალენკოს საჩივარი). 2004 წლის 27 აპრილს რაიონულმა სასამართლომ საქმის მასალები გადაგზავნა მოსკოვის საქალაქო სასამართლოში. მხარეებს ეცნობათ სააპელაციო სასამართლოში სხდომის გამართვის თარიღისა და ადგილის შესახებ. 12 მაისს მოსკოვის საქალაქო სასამართლომ ძალაში დატოვა 2004 წლის 19 მარტის გადაწყვეტილება.

6. 2004 წლის 20 მაისისა და 8 ივნისის პატიმრობის ბრძანებები; 2004 წლის 16 ივნისს წარდგენილი შუამდგომლობა გათავისუფლებასთან დაკავშირებით

58. 2004 წლის 14 მაისს გამოძიებამ საქმე განსახილველად წარადგინა მესხანსკის რაიონულ სასამართლოში.

59. 2004 წლის 20 მაისს მესხანსკის რაიონულმა სასამართლომ გადაწყვიტა საქმეზე წინასწარი მოსმენის გამართვა და ბრძანა განმცხადებლის პატიმრობაში დატოვება. სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო დახურულ სხდომაზე და მას არ ესწრებოდნენ არც განმცხადებელი, არც მისი ადვოკატები და არც ბრალდების მხარე. არანაირი მიზეზი არ ყოფილა წარმოდგენილი განგრძობად პატიმრობასთან დაკავშირებით, ისევე როგორც არ განსაზღვრულა პატიმრობის პერიოდი.

60. 2004 წლის 26 მაისს განმცხადებლის ერთ-ერთმა ადვოკატმა, ქნმა მოსკალენკომ, გაასაჩივრა 2004 წლის 20 მაისის გადაწყვეტილება. *Inter alia* იგი ჩიოდა, რომ პატიმრობასთან დაკავშირებული მოსმენა გაიმართა განმცხადებლისა და მისი ადვოკატების დაუსწრებლად და რომ პატიმრობის გახანგრძლივების ბრძანება არ იყო დასაბუთებული. ბრალდების მხარისაგან შესაბამისი პასუხის მიღების შემდგომ, მესხანსკის რაიონულმა სასამართლომ სააპელაციო საჩივარი გადაუგზავნა მოსკოვის საქალაქო სასამართლოს. 2004 წლის 20 მაისის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით განმცხადებლის საჩივარი უარყო მოსკოვის საქალაქო სასამართლომ 2004 წლის 21 ივნისს. როგორც ჩანს არც განმცხადებელი და არც მისი ადვოკატები არ ესწრებოდნენ 2004 წლის 21 ივნისის მოსმენას. მთავრობის თანახმად უწყება გაეგზავნა განმცხადებლის 6 ადვოკატს; თუმცა უწყება არ გაეგზავნა ქნ მოსკალენკოს, რადგანაც მისი ადვოკატის რწმუნებულება არ აძლევდა მას უფლებას წარმოედგინა განმცხადებელი სააპელაციო სასამართლოს წინაშე. მთავრობას არ წარმოუდგენია უწყებების ასლები. მოსკოვის საქალაქო სასამართლომ დაადგინა, რომ 2004 წლის 20 მაისის გადაწყვეტილება გამოიტანა კომპეტენტურმა სასამართლომ შესაბამისი კანონმდებლობის თანახმად. საქალაქო სასამართლოს არ დაუკონკრეტებია პატიმრობის გაგრძელების მიზეზები.

61. საქმის განმხილველ სასამართლოში წინასწარი მოსმენა გაიმართა 2004 წლის 28 მაისსა და 8 ივნისს. ამ უკანასკნელ დღეს სასამართლომ გადაწყვიტა სასამართლო განხილვა გაეხსნა 2004 წლის 16 ივნისს და ერთმანეთთან გაეერთიანებინა განცხადებლისა და ბ-ნი ლებედევის საქმეები. სასამართლომ ასევე ბრძანა, რომ განმცხადებელი უნდა დარჩენილიყო პატიმრობაში სასამართლო სამართალწარმოების განმავლობაში. არანაირი დასაბუთება არ ყოფილა სასამართლოს მიერ წარმოდგენილი და სასამართლოს არ დაუკონკრეტებია პატიმრობის ვადა. ქნმა მოსკალენკომ გაასაჩივრა ხსენებული გადაწყვეტილება, და *inter alia* ჩიოდა, რომ განმცხადებლის დაპატიმრებასთან დაკავშირებული 2004 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება არ ყოფილა დასაბუთებული. 2004 წლის 29 ივლისს მოსკოვის საქალაქო სასამართლომ ძალაში დატოვა 2004 წლის 8 ივნისის ბრძანება. საქალაქო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ მან განიხილა საქმის მასალები, გამოიკვლია მხარეთა არგუმენტაცია და დაასკვნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული პატიმრობის ბრძანება არ არღვევდა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობას. საქალაქო სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ საქმეში არსებული მასალების გათვალისწინებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ ვერ აღმოაჩინა რაიმე

მიზეზები სასამართლო სამართალწარმოების განმავლობაში აღკვეთის ღონისძიების შეცვლასთან დაკავშირებით. განმცხადებლის თანახმად, ქ-მა მოსკალენკომ ვერ შეძლო მონაწილეობა მიეღო მოსმენაში ავადმყოფობის გამო. თუმცა, განმცხადებელი და მისი რამოდენიმე ადვოკატი, ისევე როგორც ბ-ნი ლებედევის ადვოკატები, ესწრებოდნენ მოსმენას.

62. 2004 წლის 16 ივნისს, როდესაც დაიწყო სასამართლო განხილვა, განმცხადებლის ადვოკატმა თხოვნით მიმართა სასამართლოს, რათა მას გაეთავისუფლებინა პატიმრობიდან განმცხადებელი, რადგანაც იგი უკანონო პატიმრობაში იმყოფებოდა. სასამართლომ არ დააკმაყოფილა ეს მოთხოვნა. თავის გადაწყვეტილებაში სასამართლომ დაადგინა, რომ გამოძიების განმავლობაში პატიმრობის შეფარდება და მისი გაგრძელება მოხდა ბასმანის რაიონული სასამართლოს მიერ. მესჩანსკის რაიონულმა სასამართლომ თავი არაკომპეტენტურად ჩათვალა, რათა გადაემოწმებინა სხვა სასამართლოს მიერ მიღებული პატიმრობის გადაწყვეტილებები. გარდა ამისა, მესჩანსკის რაიონულმა სასამართლომ განაცხადა, რომ 2004 წლის 20 მაისს, გამოძიების მიერ საქმის სასამართლოში წარმართვის შემდგომ, მან ძალაში დატოვა აღკვეთის ღონისძიება, რომელიც განმცხადებელს ადრეულ ეტაპზე შეეფარდა. სასამართლომ ხსენებული გადაწყვეტილება ძალაში დატოვა 2004 წლის 8 ივნისს. ეს გადაწყვეტილებები არ გაუქმებულა და პატიმრობის ადრე მიღებული გადაწყვეტილებების კანონიერების განხილვა შეეძლო მხოლოდ სააპელაციო სასამართლოს. სასამართლომ დაასკვნა, რომ მან ვერ აღმოაჩინა რაიმე სახის “საკანონმდებლო დარღვევა, რომელიც განმცხადებლის პატიმრობას უკანონოს გახდიდა.”

63. ქ-მა მოსკალენკომ გაასაჩივრა ხსენებული გადაწყვეტილება, მაგრამ 2004 წლის 29 ივლისს, მოსკოვის საქალაქო სასამართლომ ძალაში დატოვა ორივე ზემოხსენებული გადაწყვეტილება და იმავე სასამართლოს მიერ მიღებული 2004 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება (იხ. ზემოთ).

7. 2004 წლის 1 ნოემბრის, 2005 წლის 28 იანვრისა და 2005 წლის 24 მარტის პატიმრობის ბრძანებები

64. დაუდგენელ დღეს გამოძიებამ მოთხოვნით მიმართა სასამართლოს, რათა მას გაეგრძელებინა განმცხადებლის პატიმრობა იმ მოტივით, რომ სასამართლო განხილვა გრძელდებოდა.

65. 2004 წლის 1 ნოემბერს მესჩანსკის რაიონულმა სასამართლომ გამართა საჯარო მოსმენა, რომელსაც ესწრებოდნენ განმცხადებელი და მისი ადვოკატები. მოსმენის დროს განმცხადებლის ადვოკატებმა თხოვნით მიმართეს სასამართლოს, რათა მას განეხილა აღკვეთის ალტერნატიული ღონისძიების საკითხი. მხარეების არგუმენტაციის განხილვის შემდგომ, რაიონულმა სასამართლომ გაუხანგრძლივა განმცხადებელს წინასწარი პატიმრობა 2005 წლის 14 თებერვლამდე, ძირითადად იმავე მიზეზების გამო, რომლებსაც დაეყრდნო ბასმანის სასამართლო ადრეულ ეტაპზე, წინასწარი გამოძიებისას (თუმცა არ უხსენებია განმცხადებლის საზღვარგარეთ არსებული ქონება). პატიმრობის ბრძანება მიანიშნებდა იმაზე, რომ არსებობდა იმის საფრთხე, რომ განმცხადებელი შეეცდებოდა ზეწოლა მოეხდინა

მოწმეებზე და შესაბამისად პატიმრობა რჩებოდა ერთადერთ შესაფერი ალკვეთის ღონისძიებად.

66. 2004 წლის 9 ნოემბერს განმცხადებელმა გაასაჩივრა პატიმრობის გაგრძელების ბრძანება. მოსკოვის საქალაქო სასამართლომ 2004 წლის 1 დეკემბერს საჩივარი უარყო.

67. 2005 წლის 28 იანვარს მესხანსკის რაიონულმა სასამართლომ გაუგრძელა განმცხადებელს წინასწარი პატიმრობა 2005 წლის 14 მაისამდე და გაიმეორა ადრეულ გადაწყვეტილებებში მოცემული მიზეზები. კერძოდ სასამართლომ გაიმეორა, რომ განმცხადებელმა სცადა საქმეში არსებულ მოწმეებზე ზეწოლის განხორციელება, რომ ბევრი მოწმე მუშაობდა მასთან დაკავშირებულ კომპანიებში, რომ განმცხადებელს გააჩნდა საერთაშორისო კავშირები და რომ მასთან დაკავშირებულმა სხვა ეჭვმიტანილმა პირებმა დატოვეს რუსეთი. მოსმენის დროს განმცხადებლის ადვოკატებმა მოითხოვეს სასამართლოსაგან ალტერნატიული ალკვეთის ღონისძიების საკითხის განხილვა. განმცხადებლის მიერ ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით შეტანილი საჩივარი უარყო მოსკოვის საქალაქო სასამართლომ 2005 წლის 17 თებერვალს.

68. 2005 წლის 24 მარტს სასამართლომ გაუხანგრძლივა განმცხადებელს წინასწარი პატიმრობა 2005 წლის 14 ივლისამდე ძირითადად იმავე მიზეზებზე დაყრდნობით. პატიმრობის ბრძანებაში რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ იმ დროისათვის ორივე მხარემ დაასრულეს მტკიცებულებების წარმოდგენა და სამართალწარმოება გადადიოდა კამათის ეტაპზე, რომელსაც შემდგომ მოყვებოდა ბრალდებულის საბოლოო სიტყვა და სასამართლო თათბირი. თუმცა კვლავაც შესაძლებელი იყო, რომ სასამართლოს, საჭიროების შემთხვევაში, განეახლებინა მტკიცებულებების განხილვა. გარდა ამისა, სასამართლომ მიიჩინა, რომ სასამართლო კამათს, საბოლოო სიტყვას და მოსამართლეთა თათბირს შეეძლო დიდი დრო წაეღო, საქმის სირთულიდან და მხარეთა რაოდენობიდან გამომდინარე. განმცხადებლის მიერ ხსენებული გადაწყვეტილების გასაჩივრება ასევე წარუმატებელი აღმოჩნდა, რადგანაც მოსკოვის საქალაქო სასამართლომ უარყო საჩივარი 2005 წლის 21 აპრილს.

69. 2005 წლის 31 მაისს განმცხადებელი ბრალეულად სცნეს მის წინააღმდეგ წარდგენილ ბრალდებებში და სასჯელის სახით განუსაზღვრეს 9 წლიანი პატიმრობა. 2005 წლის 22 სექტემბერს მოსკოვის საქალაქო სასამართლომ ძირითად ნაწილში ძალაში დატოვა განაჩენი და ბრალდების მხოლოდ რამოდენიმე ეპიზოდი ამოიღო საქმიდან და სასჯელი შეამცირა 8 წლამდე. გარკვეული ხნის შემდგომ განმცხადებელი გადაიყვანეს ჩიტას რეგიონში მდებარე გამოსასწორებელ კოლონიაში, სადაც იგი ამჟამადაც იხდის სასჯელს.

დ. პატიმრობის პირობები; კავშირი განმცხადებლის ადვოკატთან

1. №99/1 და №77/1 წინასწარი პატიმრობის ციხეებში არსებული პირობები

70. 2003 წლის 25 დან 27 ოქტომბრამდე, განმცხადებელი პატიმრობაში იმყოფებოდა მოსკოვში მდებარე №77/1 წინასწარი პატიმრობის ციხეში,

რომელიც ცნობილია “მატროსკაია ტიშინას” სახელით. 2003 წლის 27 ოქტომბრიდან 2005 წლის 8 აგვისტომდე განმცხადებელი პატიმრობაში იმყოფებოდა მოსკოვში მდებარე №99/1 წინასწარი პატიმრობის ციხეში, რომელიც შეადგენს “მატროსკაია ტიშინას” სპეციალურ ბლოკს. ამის შემდგომ სასჯელაღსრულების კოლონიაში გადაყვანამდე განმცხადებელი ისევ პატიმრობაში იმყოფებოდა №77/1 წინასწარი პატიმრობის ციხეში. 2005 წლის 9 ოქტომბერს სასჯელის მოსახდელად განმცხადებელი გადაიყვანეს ჩიტას რეგიონში მდებარე ქალაქ კრასნოკამენსკის FGU IK-10 სასჯელაღსრულების კოლონიაში.

(ა) განმცხადებლის ვერსია

71. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ 2003 წლის 27 ოქტომბრიდან 2005 წლის 18 ივნისამდე იგი იმყოფებოდა 501-ე, 503-ე და 506-ე საკნებში. ხსენებულ საკნებში გამყოფი კედელი, რომელიც ტუალეტს ყოფდა საკნისაგან, არ იყო 85 სმ-ზე მაღალი. განმცხადებელი ირწმუნებოდა, რომ გამყოფი კედელი არ იყო იმ სიმაღლის, რომ უზრუნველყო ტუალეტით სარგებლობისას განმარტობა. იგი ირწმუნებოდა, რომ ტუალეტი არ იყო გამოყოფილი ან იზოლირებული და შესაბამისად საკანში მყოფი პატიმრები ხედავდნენ და ესმოდათ ყველაფერი, რაც ტუალეტში ხდებოდა. ტუალეტიდან მომავალი სუნი, ვრცელდებოდა საკანში. განმცხადებელს ასეთ პირობებში უხდებოდა საკანში საკვების მიღება. ციხის ადმინისტრაცია არ უზრუნველყოფდა ტუალეტის საკნისაგან გამოყოფას თუნდაც ფარდით. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ არანაირი ფარდა (ან ფარდის მაგვარი) არ ჩანდა 501, 503 და 506 საკნების ფოტოებზე, რომლებიც წარადგინა მთავრობამ. განმცხადებლის საწოლი ძალიან ახლოს მდებარეობდა უნიტაზისაგან. მხოლოდ 2005 წლის 18 ივნისს, სასამართლო განხილვის დამთავრებისა და პატიმრის მსჯავრდების შემდგომ, გადაიყვანეს განმცხადებელი გარემონტებულ 610-ე საკანში, რომელშიც გამყოფი კედელი 175 სმ სიმაღლის იყო.

72. განმცხადებლის თანახმად, №99/1 წინასწარი პატიმრობის ციხეში მისი საკანი განკუთვნილი იყო 5 პატიმარისათვის. ამგვარად, ყოველ პატიმარზე მოდიოდა 4 კვადრატული მეტრი. საკანში ამავე დროს უნდა გავითვალისწინოთ, რომ იყო საწოლები, სამუშაო მაგიდა, რომელსაც პატიმრები სასადილოდაც იყენებდნენ, ტუალეტის უნიტაზი და ხელსაბანი. განმცხადებელი ასეთ საკანში იმყოფებოდა დღე-ღამეში 23 საათის განმავლობაში თითქმის 2 წლის მანძილზე. №77/1 წინასწარი პატიმრობის ციხეში, განმცხადებელი საკანს იყოფდა 15 სხვა პირთან ერთად.

73. ზაფხულში საკნებში, რომლებშიც ვენტილაცია არ იყო, ძალიან ცხებოდა – ტემპერატურე აღწევდა 30 გრადუსზე მეტს – ხოლო ზამთარში კი ძალიან ციოდა – და ტემპერატურე ეცემოდა დაახლოებით 18 გრადუსამდე. ვენტილაციის არ არსებობა განსაკუთრებით მძიმე იყო განმცხადებლისათვის, რადგანაც იგი არ ეწეოდა და მუდმივად უხდებოდა თამბაქოს გამონაბოლქვის ყნოსვა. მრავალი დღის განმავლობაში განმცხადებელს არ შეეძლო ესარგებლა ერთ საათიანი გასეირნებით, რადგანაც მას უხდებოდა სასამართლო სხდომაზე ყოფნა. უფრო მეტიც, სასეირნო არეალი განთავსებული იყო ციხის თავზე სხვენში. ამიტომაც, განმცხადებელს არასოდეს ჰქონია შესაძლებლობა ესუნთქა სუფთა ჰაერი ასეთი სეირნობისას.

გარკევილი სასაერთო არეალის სიდიდე ძალიან პატარა იყო: 12-დან 16 კვადრატულ მეტრამდე. გარდა ამისა, განმცხადებელს მხოლოდ კვირაში ერთხელ ეძლეოდა შხაპის მიღების შესაძლებლობა.

74. განმცხადებელი ასევე აცხადებდა, რომ ხელისუფლების ორგანოები მუდმივად უარს ეუბნებოდნენ დამოუკიდებელ დამკვირვებლებს, რათა მათ განეხორციელებინათ პატიმრობის პირობების ინსპექტირება. მაგალითად ხელისუფლების ორგანოებმა უარი განუცხადეს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სპეციალურ მომხსენებელს, რათა მას მოენახულებინა განმცხადებელი; ციხის უფროსმა უარი უთხრა რუსეთის პარლამენტის წევრს განმცხადებლის მონახულებასა და მისი პატიმრობის ინსპექტირებაზე. 2004 წლის 22 იანვარს რუსეთის პარლამენტის წევრმა ბ-ნმა სტოლიაროვმა, თხოვნით მიმართა №IZ-99/1 მაშინდელ უფროსს, რათა მას უფლება დაერთო “მიხეილ ბორისის ძე ხოდორკოვსკის პატიმრობის პირობების” ინსპექტირებაზე. რუსული კანონმდებლობის თანახმად, პარლამენტის წევრებს შეუზღუდავი უფლებამოსილება გააჩნიათ შევიდნენ წინასწარი პატიმრობის ციხეებსა და სასჯელაღსრულების კოლონიებში. თუმცა, როდესაც ბ-ნი სტოლიაროვი მივიდა წინასწარი პატიმრობის ციხეში 2004 წლის 30 იანვარს, წინასწარი პატიმრობის ციხის უფროსმა უკანონოდ უთხრა მას უარი განმცხადებლის მონახულებაზე. გარდა ამისა, განმცხადებელს უარი განუცხადეს მისი ექიმის ნახვაზე მის გასტრიტის პრობლემებთან დაკავშირებით.

75. 2004 წლის 9 ნოემბერს და 2005 წლის 7 თებერვალს, მოსკოვის საქალაქო სასამართლოში შეტანილ საჩივრებში, რომლებითაც განმცხადებელი ასაჩივრებდა 2004 წლის 1 ნოემბრის და 2005 წლის 28 იანვრის პატიმრობის სასამართლო სამართალწარმოების განმავლობაში გახანგრძლივების გადაწყვეტილებებს, განმცხადებელი აღწერდა მისი პატიმრობის არასათანადო პირობებს. 2004 წლის 1 დეკემბერს და 2005 წლის 17 თებერვალს, მოსკოვის საქალაქო სასამართლომ უარყო განმცხადებლის საჩივრები. ხსენებული გადაწყვეტილებები არ შეიცავდნენ რაიმე სახის ანალიზს განმცხადებლის პრეტენზიებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხებოდა პატიმრობის პირობებს. განმცხადებელი ასევე აღწერდა თავისი პატიმრობის პირობებს საკასაციო საჩივარში, რომლითაც მან გაასაჩივრა მესჩანსკის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 31 მაისის განაჩენი.

(ბ) მთავრობის ვერსია

76. მთავრობის თანახმად, №IZ-77/1 წინასწარი პატიმრობის ციხეში, განმცხადებელი პატიმრობაში იმყოფებოდა 276-ე და 144-ე საკნებში. 276-ე საკანი, რომელშიც განმცხადებელი მოათავსეს მიყვანიდან 3 დღის განმავლობაში იყო 20.44 კვ.მ ფართის. განმცხადებელი პატიმრობაში იმყოფებოდა 4 სხვა პირთან ერთად. საკანი №144 იყო 52.7 კვ.მ. განმცხადებელი ამ საკანში პატიმრობაში იმყოფებოდა 2005 წლის 8 აგვისტოდან 2005 წლის 9 ოქტომბრამდე 13 სხვა პირთან ერთად.

77. №99/1 წინასწარი პატიმრობის ციხეში საკნები ასევე არ იყო გადატვირთული. №99/1 წინასწარი პატიმრობის ციხეში განმცხადებელს პირადი საწოლი და 4.4-5.9 კვ.მ პირადი ფართი ჰქონდა ყოველ საკანში, სადაც

იგი იმყოფებოდა პატიმრობაში. მთავრობამ წარმოადგინა მოხსენება, რომელიც მიაწოდებდა არსებულ ფართსა და საწოლებზე ყოველ საკანში, სადაც განმცხადებელი იყო დაკავებული. მთავრობის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საშუალოდ საკნის ფართი იყო 3 მეტრი 5 მეტრზე. განმცხადებელი პატიმრობაში იმყოფებოდა 501, 503 და 506 საკნებში. 2005 წლის 18 ივნისს, განმცხადებელი გადაიყვანეს 610-ე გარემონტებულ საკანში.

78. თითოეულ საკანში იყო ფანჯარა, დენის განათება, ცხელი და ცივი წყალი, ხელსაბანი და უნიტაზი. მართალია დენის განათება ჩართული იყო ღამის განმავლობაშიც, მაგრამ უფრო დაბალ დონეზე ვიდრე დღის განმავლობაში. ტუალეტი გამოყოფილი იყო საკნიდან 175 სმ სიმაღლის კედლით (610 საკანში) და 85 სმ კედლით (501, 503, 506 საკნებში) იმგვარად, რომ პირი, რომელიც იყენებდა ტუალეტს ვერ დაენახათ მის თანამესაკნეებს ან საკნის კარებში ჩატანებული სათვალთვალო ფანჯრიდან. მთავრობამ წარმოადგინა საკნის ფოტოები, რომლებშიც განმცხადებელი იყო მოთავსებული და ასევე ტუალეტის კუთხის ფოტოები. განაცხადის არსებითად განსახილველად მიღების შემდგომ წარმოდგენილ არგუმენტაციაში, მთავრობა აღნიშნავდა, რომ ტუალეტისა და საკნის გამყოფი კედელი სულ მცირე 1 მეტრის სიმაღლის იყო.

79. გარდა სტანდარტული ავეჯისა (ნარები, სკამები, მაგიდა, საკვების შესანახი, საკიდი, ნაგვის ურნა, და ხელსაბანი) ყველა საკანში განთავსებული იყო ტელევიზორი, მაცივარი, ელექტრო ჩაიდანის და ვენტილატორი. საკნები ჯეროვნად თბებოდა და ხდებოდა მათი ვენტილაცია გაღებული ფანჯრების მეშვეობით და შიდა ვენტილაციის სისტემის მეშვეობით, რომლებიც მუდმივად მუშაობდა. საკნების ინსპექტირება ყოველდღიურად ხორციელდებოდა ციხის ადმინისტრაციის თანამშრომლების მიერ, რომლებიც ამოწმებდნენ ყველა სისტემის ჯეროვნად ფუნქციონირებას. განმცხადებელს არ განუცხადებია რაიმე პრეტენზია პატიმრობის საკანში არსებულ ტემპერატურასა თუ ვენტილაციასთან დაკავშირებით.

80. განმცხადებელი უზრუნველყოფილი იყო საწოლის თეთრეულითა და ჭურჭლით. მას უფლება ჰქონდა ესარგებლა საკუთარი საწოლის თეთრეულით.

81. განმცხადებელს შეეძლო ესარგებლა ყოველდღიურად ერთ საათიანი გასეირნებით ათიდან ერთ ერთ ეზოში, რომლებსაც ჰქონდა რკინის ჭერი და სკამები. როდესაც იგი მოჰყავდათ ხოლმე წინასწარი პატიმრობის ციხეში სასამართლო მოსმენების შემდგომ, მას არ შეეძლო ევარჯიშა. მთავრობის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად №99/1 წინასწარი პატიმრობის ციხეს გააჩნდა 10 სასერნო ეზო (რომელთაგან ყველაზე მცირე იყო 15.9 კვ.მ ხოლო ყველაზე დიდი კი 36.6 კვ.მ საშუალო ფართი იყო 29 კვ.მ). ყოველი სასერნო ეზო აღჭურვილი იყო ჭერით და სკამებით. მთავრობამ ასევე წარმოადგინა რამოდენიმე მოხსენება, რომლითაც წარმოაჩენდა, თუ რამდენ ადამიანს შეეძლო თითოეული საკნიდან ესეირნა გარეთ; ხსენებული მოხსენებები ეხებოდა 20 საკანს და დათარიღებული იყო 2003 წლის 18-19 ნოემბრით, 2004 წლის 28-29 აპრილით, 30-31 ივლისით, 28029 სექტემბრით და 2005 წლის 6-7 აგვისტოთი. მთავრობამ ასევე წარმოადგინა დოკუმენტები პატიმრებისათვის განკუთვნილი საკვების რაოდენობისა და ხარისხის შესახებ. მთავრობამ ასევე წარმოადგინა განმცხადებლის სამედიცინო ისტორიის ასლი,

რომელიც წარმოაჩენდა, რომ პატიმრობის განმავლობაში განმცხადებელს არ აღენიშნებოდა ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემები, თუმცა ადგილი ჰქონდა გარკვეულ სამედიცინო ინციდენტებს და ექიმებმა მრავალჯერ გასინჯეს განმცხადებელი.

82. განმცხადებელს ასევე შეეძლო მიეღო შხაპი კვირაში ერთხელ 15 წუთის განმავლობაში და დამატებითი გადასახადის შემთხვევაში შეეძლო ესარგებლა შხაპით უფრო ხშირად, შეეძლო შესულიყო სავარჯიშო ოთახში, გაერეცხა პირადი თეთრეული და საწოლის თეთრეული, მიეღო დამატებითი მომსახურება. ამგვარად განმცხადებელმა ისარგებლა ციხის სავარჯიშო ოთახით 59 ჯერ. სავარჯიშო ოთახში მას ასევე შეეძლო მიეღო შხაპი. მისი ბოლო ვიზიტი სავარჯიშო ოთახში დათარიღებული იყო 2005 წლის 23 ივლისით.

83. დღეში სამჯერ მას მიეწოდებოდა შესაბამისი სტანდარტის ცხელი საკვები. სასამართლოს დღეებში განმცხადებელს მიეწოდებოდა მშრალი საჭმელი ან ალტერნატივის სახით მას ეძლეოდა შესაძლებლობა მიეღო ის საკვები, რომელსაც მას უგზავნიდნენ ნათესავები.

84. მთავრობა უთითებდა იმ ფაქტზე, რომ წინასწარი პატიმრობის ციხეში ყოფნისას, განმცხადებელი გასინჯა ექიმმა შესაბამისი სამედიცინო აპარატურის გამოყენებით. კერძოდ ექიმებმა გასინჯეს განმცხადებელი იმ მიზნით, რომ განესაზღვრათ აუცილებელი იყო თუ არა შიდა ორგანოების შემდგომი გამოკვლევა.

85. ხსენებული არგუმენტაციის გასამყარებლად, მთავრობამ ასევე წარმოადგინა 2006 წლით დათარიღებული, ციხის ოფიცრების მოხსენებები, რომლებიც ადასტურებდნენ ზემოხსენებულ ინფორმაცია იმ საკნებში არსებულ სანიტარულ მდგომარეობასთან დაკავშირებით, რომელშიც მოთავსებული იყო განმცხადებელი. მთავრობამ ასევე წარადგინა განმცხადებლის პირადი ანგარიშის ასლი, რომელიც ნათელს ხდიდა, რომ იგი იღებდა ფულს ნათესავებისგან და შეეძლო ამ ფულის ხარჯვა, სხვა ნივთებთან ერთად, საკვების, შხაპის ხშირად მისაღებად, სპორტული ოთახის თუ დამატებითი აღჭურვილობის დასაქირავებლად.

2. სასამართლო ოთახში არსებული პირობები

სასამართლო განხილვის დროს განმცხადებელი იჯდა ხის სკამზე სასამართლო დარბაზში მდებარე პატარა გალიაში. მას უხდებოდა ადვოკატებისათვის ინსტრუქციების მიცემა გისოსებს მიღმა და ამ დროს ბადრაგი ყოველთვის მის გვერდით იდგა. ყოველთვის, როდესაც განმცხადებელი გალიას ტოვებდა, იგი ხელბორკილით მიბმული იყო ბადრავის ოფიცერზე. განმცხადებლის თანახმად, სასამართლოს დღეებში იგი იღებდა ძალიან მცირე რაოდენობის საკვებს, არ ჰქონდა სეირნობის/ვარჯიშის საშუალება და მოკლებული იყო სუფთა ჰაერს. მთავრობამ განაცხადა, რომ სასამართლოს დღეებში, განმცხადებელს არ შეეძლო ესეირნა, რადგანაც იგი ყოველთვის გვიან ბრუნდებოდა და ამ დროს ყველა სასეირნო ეზო დაკეტილი იყო. განმცხადებელს მუდმივად მიეწოდებოდა საკვები და ციხიდან მისი გამგზავრების დროის გათვალისწინებით, სამგზავრო ულუფა.

ე) საერთაშორისო ორგანიზაციების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და პოლიტიკური ფიგურების რეაქცია განმცხადებლის წინააღმდეგ წარმოებულ სისხლის სამართალწარმოებასთან დაკავშირებით

განმცხადებლის საქმემ მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ყურადღება მიიპყრო რუსეთსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში. სასამართლო სამართალწარმოების განმავლობაში და შემდგომაც, მრავალმა ცნობილმა ადამიანმა და გავლენიანმა ორგანიზაციამ გამოხატა თავისი ეჭვი განმცხადებლისა და მისი კოლეგების წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართალწარმოების სამართლიანობასთან დაკავშირებით. განმცხადებელმა წარმოადგინა ხსენებულის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. მაგალითის სახით, განმცხადებლის მტკიცებით, მისი პრეტენზიები ასახულ იქნა წამყვანი რუსი პოლიტიკოსებისა და უცხო სახელმწიფოების მთავრობათა კომენტარებში; ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სპეციალური წარმომადგენლის დასკვნებში, საპარლამენტო ასამბლეის დასკვნაში, რომელმაც დაადგინა, რომ განმცხადებლის საქმესთან დაკავშირებული გარემოებები “გასცდა სისხლისსამართლებრივი დევნის ფარგლებს და შეიცავდა ისეთ ელემენტებს როგორიც არის მოურიდებლად მოლაპარაკე პოლიტიკური ოპონენტის დასუსტება, სხვა შეძლებული ინდივიდების დაშინება და სტრატეგიულ ეკონომიკურ ქონებაზე კონტროლის ხელახლა დაწესება” (რეზოლუცია 1418(2005) მიღებულია 2005 წლის 25 იანვარს); ლონდონის საექსტრადიციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე *Chernysheva and Maruev v. Russian Federation*, რომელშიც მოსამართლემ დაასკვნა, რომ “როგორც ჩანს ჭეშმარიტებას ის უფრო შეესაბამება, რომ ბ-ნი ხოდორკოვსკის წინააღმდეგ აღძრული გამოძიება პოლიტიკურად არის მოტივირებული ვიდრე ამის უარყოფა” და რომ “პრეზიდენტმა პუტინმა გასცა დირექტივა, რომ ... ბ-ნი ხოდორკოვსკის წინააღმდეგ უნდა აღძრულიყო საქმე”; 2005 წლის 6 აპრილს გაერთიანებული სამეფოს ხელისუფლების ორგანოების მიერ პოლიტიკური თავშესაფრის მიცემა სხვა პირებისათვის, რომლებიც ახლო კავშირში იმყოფებოდნენ განმცხადებელთან, რომელსაც ასევე მიენიჭა ლტოლვილის სტატუსი. განმცხადებელი ასევე უთითებდა ნიქოზიის (კვიპროსი) რაიონული სასამართლოს 2008 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილებაზე იუკოსის ყოფილი მენეჯერების ექსტრადიციის საქმესთან დაკავშირებით ისევე როგორც სხვა ევროპული იურისდიქციების მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებზე. განმცხადებელი თვლიდა, რომ ხსენებული სამართალწარმოებისას სასამართლოებმა დაადგინეს, რომ განმცხადებლის წინააღმდეგ აღძრული სამართალწარმოება პოლიტიკურად იყო მოტივირებული.

II. შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა და პრაქტიკა

ა. წინასწარი პატიმრობა

86. 2001 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად:

მუხლი 101. აღკვეთის ღონისძიების შეფარდებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება

1. აღკვეთის ღონისძიების შერჩევის შემდგომ ... სასამართლოს ... გამოაქვს გადაწყვეტილება, რომელიც უნდა აკონკრეტებდეს ეჭმიტანილის ან ბრალდებულის წინააღმდეგ წარდგენილ ბრალდებებს და აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საფუძველებს

მუხლი 108. წინასწარი პატიმრობა

“1. აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობის შეფარდება შეუძლია მხოლოდ სასამართლოს მაშინ, როდესაც შეუძლებელია სხვა, ნაკლებ მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენება ... როდესაც სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობის გამოყენებასთან დაკავშირებით, მან უნდა დააკონკრეტოს თავის გადაწყვეტილებაში კონკრეტული ფაქტები, რომლებმაც მიიყვანეს სასამართლო ასეთ გადაწყვეტილებამდე...

3. როდესაც აუცილებელია აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება ... გამოძიებელმა სასამართლომ უნდა მიმართოს სასამართლოს შესაბამისი წესით...

4. [მოთხოვნა] უნდა განიხილოს რაიონული სასამართლოს ერთმა მოსამართლემ... და განხილვაში უნდა მონაწილეობდნენ ეჭმიტანილი ან ბრალდებული, პროკურორი ან ადვოკატი, თუკი მათ გააჩნიათ შესაბამისი რწმუნებულება სამართალწარმოებაში მონაწილეობასთან დაკავშირებით. [მოტხოვნა უნდა განიხილოს სასამართლომ] წინასწარი გამოძიების ან პატიმრობის ადგილას [გამოძიების მოთხოვნის] წარდგენიდან 8 საათში ... იმ მხარეების არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობამ, რომლებსაც ეცნობათ მოსმენის დროისა და ადგილის შესახებ გონივრული ვადით ადრე, ხელი არ უნდა შეუშალოს [სასამართლოს] [პატიმრობის შეფარდებასთან] დაკავშირებული მოთხოვნის განხილვაში, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც მოსმენაზე არ იმყოფება ბრალდებული პირი. ...

7. [პატიმრობის შეფარდებასთან] დაკავშირებული მოთხოვნის განხილვის შემდგომ მოსამართლემ უნდა გამოიტანოს შემდეგი გადაწყვეტილებებიდან რომელიმე

1) ბრალდებულთან მიმართებაში აღკვეთის ღონისძიების სახით გამოიყენოს წინასწარი პატიმრობა;

2) უარყოს [პატიმრობის] შეფარდებასთან დაკავშირებული მოთხოვნა;

3) გადადოს მაქსიმუმ 72 საათით განხილვა, რათა მოთხოვნის წარმდგენმა მხარემ შეძლოს დამატებითი მტკიცებულებების წარდგენა მოტხოვნის გასამყარებლად. ...

9. განმეორებითი მოთხოვნა იმავე პიროვნებისათვის პატიმრობის გაგრძელების შესახებ იმავე სისხლის სამართლის საქმეში მას შემდგომ რაც მოსამართლე თავისი გადაწყვეტილებით უარს განაცხადებს ამ ღონისძიების გამოყენებაზე, დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი გამოვლინდება ახალი გარემოებები, რომლებიც ქმნიან პირის პატიმრობაში მოთავსების საფუძველს.”

მუხლი 109. წინასწარი პატიმრობის ვადები

“1. დანაშაულის გამოძიების განმავლობაში წინასწარი პატიმრობის ვადა არ უნდა გრძელდებოდეს 2 თვეზე მეტ ხანს.

”თუკი შეუძლებელია წინასწარი გამოძიების დამთავრება 2 თვეში და არ არსებობს საფუძველი აღმკვეთი ღონისძიების შეცვლის ან გაუქმებისათვის, ხსენებული ვადა შესაძლოა გაგრძელდეს 6 თვემდე შესაბამისი ინსტანციის რაიონული ან სამხედრო გარნიზონის მოსამართლის მიერ წინამდებარე კოდექსის 108-ე მუხლით დადგენილი პროცედურის შესაბამისად. ხსენებული ვადა შეიძლება კიდევ გაგრძელდეს 12 თვემდე იმ პირებთან მიმართებაში, რომლებიც ბრალდებულნი არიან მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების ჩადენაში და ისიც მხოლოდ განსაკუთრებული სირთულის სისხლის სამართლის საქმეებში და მხოლოდ იმ შემთხვევაში თუკი არსებობს

აღკვეთის ამ ღონისძიების გამოყენების საფუძვლები, იმავე სასამართლოს მოსამართლის მიერ გამოძიებლის მიერ მოთხოვნის წარდგენის შედეგად, რომლის წარდგენაც მოხდა პროკურორის თანხმობით...

3. პატიმრობის მესამე ვადა შეიძლება გაგრძელდეს 12 თვის შემდგომ 18 თვემდე მხოლოდ გამოწვევის შემთხვევებში და მხოლოდ იმ პირებთან მიმართებაში, რომლებიც ბრალდებულნი არიან მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების ჩადენაში [მოსამართლის მიერ] გამოძიებლის მიერ რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურორის ან მისი მოადგილის თანხმობით წარდგენილი შუამდგომლობის საფუძველზე.

4. პატიმრობის ვადის შემდგომი გაგრძელება დაუშვებელია ...

13. პატიმრობის გაგრძელებასთან დაკავშირებული [ბრალდების მხარის] მოთხოვნის განხილვა დაუშვებელია გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ეჭვიტანილი ან ბრალდებული გადის საავადმყოფოში ფსიქიატრიულ შემოწმებას ან სხვა გარემოებებში, რომლებიც გამორიცხავენ მის მონაწილეობას სასამართლო მოსმენისას, ხსენებული კი უნდა გამყარდეს დოკუმენტებით. ნებისმიერ შემთხვევაში ბრალდებულის ადვოკატის მონაწილეობა სავალდებულოა”

მუხლი 110. აღკვეთის ღონისძიების გაუქმება ან შეცვლა

“1. აღკვეთის ღონისძიება უნდა გაუქმდეს მაშინვე, როგორც კი მისი გამოყენება აღარ იქნება აუცილებელი ან იგი უნდა შეიცვალოს უფრო მკაცრი ან მსუბუქი ღონისძიებით თუკი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძვლები ... შეიცვლება.

2. აღკვეთის ღონისძიება უნდა გაუქმდეს ან შეცვალოს მომკვლევის, გამოძიებლის, პროკურორის ან მოსამართლის ან სასამართლო ბრძანებით.

3. წინასწარი გამოძიების ეტაპზე პროკურორის, გამოძიებლის ან მომკვლევის მიერ პროკურორის წერილობითი ინსტრუქციების საფუძველზე გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება, შესაძლოა გაუქმდეს ან შეიცვალოს მხოლოდ პროკურორის თანხმობით”.

მუხლი 113. იძულებითი მიყვანა

“1. გამოძახებისას თუკი მოწმე არასაპატიო მიზეზით არ ცხადდება სასამართლოში, იგი შეიძლება იძულებით მიიყვანონ სასამართლოში.

2. იძულებითი დასწრება ... უნდა გულისხმობდეს პირის იძულებით მიყვანას მომკვლევთან, გამოძიებელსა და პროკურორთან ისევე როგორც სასამართლოში.

3. თუკი არსებობს მიზეზები, რომლებიც ხელს უშლიან დათქმულ დროს გამოზახებული პირის გამოცხადებას, ამ მუხლის 1 პუნქტში მოხსენებულმა პირებმა დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინონ ხელისუფლების იმ ორგანოს, რომელმაც იგი გამოიძახა.

4. პირს, რომელიც იძულების წესით უნდა მიიყვანონ შესაბამისი ხელისუფლების ორგანოს წინაშე, უნდა ეცნობოს მომკვლევის, გამოძიებლის, პროკურორის ან მოსამართლის შესაბამისი ბრძანებით ან სასამართლოს დადგენილებით, და ხსენებული შეტყობინება უნდა დაადასტუროს ბრძანებაზე ან დადგენილებაზე ხელმოწერით.

5. იძულებითი მიყვანა დაუშვებელია ღამით, გარდა ისეთი გარემოებებისა, როდესაც მოცდა შეუძლებელია.

6. პირები, რომლებსაც არ მიუღწევიათ 14 წლის ასაკისათვის, ფეხმძიმე ქალები და ავადმყოფი პირები, რომლებსაც არ შეუძლიათ საცხოვრებელი ადგილის დატოვება მათი ავადმყოფობის გამო, რაც უნდა დაადასტუროს ექიმმა, არ უნდა მიიყვანონ იძულებით ...”

მუხლი 123. გასაჩივრების უფლება

“მოკვლევის განმახორციელებელი ორგანოს, მომკვლევის, გამოძიებლის, პროკურორის ან სასამართლოს ქმედებები (უმოქმედობა), შეიძლება გასაჩივრდეს წინამდებარე კოდექსით გათვალისწინებული პროცედურის თანახმად სისხლის სამართალწარმოების მონაწილეების ან სხვა პირების მიერ, იმ ჩარჩოებში, რა ჩარჩოებშიც განხორციელებული პროცედურული ქმედებები და პროცედურული გადაწყვეტილებები ახდენენ ზეგავლენას მათ ინტერესებზე.”

მუხლი 188. დაკითხვაზე გამოძახების პროცედურა

“...3. პირი, რომელიც გამოიძახეს დაკითხვაზე, უნდა გამოცხადდეს დათქმულ დროს ან მან წინასწარ უნდა შეატყობინოს გამოძიებელს მიზეზი, რომელიც ხელს უშლის მას გამოცხადებაში. თუკი დაკითხვაზე გამოძახებული პირი არ გამოცხადდება საპატიო მიზეზის გარეშე, დასაშვებია მისი იძულების წესით მიყვანა...”

მუხლი 227. მოსამართლის უფლებამოსილება განსახილველად გადაცემულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით

“1. როდესაც სისხლის სამართლის საქმე წარედგინება [სასამართლოს] მოსამართლემ უნდა მიიღოს შემდეგი გადაწყვეტილება

- (i) გადაუგზავნოს საქმე [შესაბამისი] იურისდიქციის მქონე ორგანოს; ან
- (ii) გამართოს წინასწარი მოსმენა; ან
- (iii) გამართოს მოსმენა

2. მოსამართლის გადაწყვეტილება უნდა აისახოს ბრძანებაში...

3. გადაწყვეტილება გამოტანილ უნდა იქნეს საქმის სასამართლოში წარმართვიდან 30 დღის განმავლობაში. თუკი ბრალდებული დაპატიმრებულია, მოსამართლემ გადაწყვეტილება უნდა გამოიტანოს საქმის სასამართლოში წარმართვიდან 14 დღის განმავლობაში...”

მუხლი 228. სასამართლოში წარმართული სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით გამოსარკვევი საკითხები

“როდესაც სისხლის სამართლის საქმე წარმართება სასამართლოში, მოსამართლემ, ბრალდებულთან მიმართებაში, უნდა გამოარკვიოს შემდეგი საკითხები:

- (i) აქვს თუ არა სასამართლოს პირის საქმის განხილვის იურისდიქცია;
- (ii) ჩაბარდა თუ არა მას ბრალდების ასლები
- (iii) აღკვეთის ღონისძიება უნდა გაუქმდეს თუ შეიცვალოს
- (iv) უნდა დაკმაყოფილდეს თუ არა წარდგენილი შუამდგომლობები”

მუხლი 231. საქმის სასამართლო სხდომაზე განსახილველად გადაცემა

“1. როდესაც არსებობს 227-ე მუხლის პირველი პუნქტის (i) ან (ii) ქვეპუნქტებში მოცემული გადაწყვეტილებების მიღების საფუძველი, მოსამართლემ საქმე უნდა მოამზადოს სასამართლო განხილვისათვის... ხსენებული მიზნით ...მოსამართლემ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

(vi) აღკვეთის ღონისძიებასთან დაკავშირებით, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც წინასწარი პატიმრობა ან შინაპატიმრობაა გამოყენებული...”

მუხლი 255. სასამართლო სამართალწარმოების განმავლობაში აღკვეთის ღონისძიებების გამოყენება

“1. სასამართლო სამართალწარმოების განმავლობაში სასამართლოს შეუძლია შეუფარდოს, შეცვალოს ან გააუქმოს ბრალდებულთან მიმართებაში აღკვეთის ღონისძიება.

2. თუკი ბრალდებული დააპატიმრეს სასამართლო სამართალწარმოებამდე, მისი პატიმრობა არ უნდა გაგრძელდეს 6 თვეზე მეტ ხანს იმ მომენტიდან, როდესაც სასამართლო მიღებს საქმეს განსახილველად იმ მომენტამდე როდესაც სასამართლო გამოიტანს სასჯელს, გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტში გათვალისწინებული შემთხვევისა.

3. სასამართლოს ... შეუძლია ბრალდებულის პატიმრობის გახანგრძლივება სასამართლო სამართალწარმოების განმავლობაში. შესაძლებელია პატიმრობის გაგრძელება მხოლოდ იმ ბრალდებულთან მიმართებაში, რომელსაც ბრალი ედება მძიმე დანაშაულის ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენაში და ყოველ ასეთ ჯერზე ეს არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს...”

მუხლი 376. საქმეზე სააპელაციო მოსმენის ჩანიშვნა

“1. საქმეზე სააპელაციო საჩივრის მიღების შემდგომ ... მოსამართლემ უნდა ჩანიშნოს მოსმენის ადგილი და თარიღი.

2. მხარეებს უნდა ეცნობოთ [სააპელაციო მოსმენის] თარიღი და დრო არაუგვიანეს 14 დღით ადრე მოსმენის გამართვამდე. სასამართლომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება გამოიძახოს თუ არა მსჯავრდებული პირი მოსმენაზე დასასწრებად.

3. მსჯავრდებულ პატიმარს, რომელმაც გამოხატა [სააპელაციო მოსმენაზე] დასწრების სურვილი, უნდა ჰქონდეს უფლება პირადად დაესწროს მოსმენას ან წარადგინოს საკუთარი არგუმენტები ვიდეო კავშირის მეშვეობით. სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს თუ როგორ უზრუნველყოს მსჯავრდებულის მონაწილეობა მოსმენისას. ...”

მუხლი 241. სასამართლო განხილვის საჯარო ხასიათი

“1. სისხლის საქმეებთან დაკავშირებული სასამართლო განხილვა საჯარო უნდა იყოს, გარდა ისეთი საქმეებისა, რომლებიც მითითებულია წინამდებარე მუხლში.

2. სასამართლო განხილვის დახურვა დასაშვებია სასამართლო გადაწყვეტილებით მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც:

(i) სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარე სამართალწარმოებისას შესაძლებელია გამჟღავნდეს სახელმწიფო ან ნებისმიერი სხვა საიდუმლოება, რომელიც დაცულია ფედერალური კანონმდებლობით;

(ii) განსახილველი საქმე ეხება ისეთ დანაშაულს, რომელიც ჩაიდინა 16 წელს მიუღწეველმა პირმა;

(iii) სისხლის სამართლის საქმე ეხება სქესობრივ ძალადობას ან პირის სქესობრივ თავისუფლებას, ან სხვა დანაშაულს, რომელშიც სასამართლო სამართალწარმოებამ შესაძლებელია მიგვიყვანოს მონაწილე მხარეების ცხოვრების ინტიმური ასპექტების ან დამამცირებელი ინფორმაციის გამჟღავნებამდე

(iv) სხენებული აუცილებელია პროცესში მონაწილე მხარეების, მათი ოჯახების, ნათესავების ან ახლობელი პირების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;

როდესაც სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას სხდომის დახურვის შესახებ, მან უნდა მიუთითოს კონკრეტულ გარემოებებზე, რომლებიც ამყარებენ ამ გადაწყვეტილებას...”

87. 2004 წლის 8 აპრილს რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება №132-0, რომელშიც მან დაადგინა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 108-ე და 109-ე მუხლები იმგვარად უნდა იქნეს განმარტებული, რომ უზრუნველყოფდეს ბრალდებული მხარის პატიმრობასთან დაკავშირებულ მოსმენაში მონაწილეობას, განსაკუთრებით კი მაშინ როდესაც მოსამართლე ჩანიშნავს საქმის მოსმენას კოდექსის 231-ე მუხლის შესაბამისად.

88. 2005 წლის 22 მარტს რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება 4-პ. კერძოდ საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა:

“რადგანაც თავისუფლების აღკვეთა ... დასაშვებია მხოლოდ მოსმენის შედეგად გამოტანილი სასამართლო ბრძანების საფუძველზე ... იმ პირობით, რომ პატიმარს მიეცა შესაძლებლობა წარედგინა თავისი არგუმენტები სასამართლოს წინაშე, პატიმრობის ბრძანების გაცემის აკრძალვა ... მოსმენის გარეშე, უნდა შეეხოს ყველა სასამართლო გადაწყვეტილებას, იქნება ეს პატიმრობის შეფარდება პირველად ეტაპზე თუ მისი დამტკიცება”.

89. 2004 წლის 22 იანვარს საკონსტიტუციო სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება №66-0, რომელიც ეხებოდა უზენაესი სასამართლოს მიერ ნათქვამ უარს პატიმრისათვის, რათა ეს უკანასკნელი დასწრებოდა პატიმრობასთან დაკავშირებულ სააპელაციო მოსმენას. სასამართლომ დაადგინა:

“სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 376-ე მუხლი, რომელიც არეგულირებს სააპელაციო სასამართლოში პატიმრობაში მყოფი ბრალდებულის დასწრებას ... არ შეიძლება განიმარტოს იმგვარად, რომ იგი პატიმრობაში მყოფ პატიმარს ართმევს სააპელაციო სასამართლოს წინაშე თავისი მოსაზრებების გამოხატვის შესაძლებლობას მოსმენაზე პირადი დასწრებით ან ხვა კანონიერი საშუალებებით, ეს ასევე ეხება იმ სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრებას, რომელიც ზეგავლენას ახდენს ამ პირის კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებზე...”

ბ. ციხეში ადვოკატისა და კლიენტის კონტაქტის კონფიდენციალურობა

90. 1995 წლის კანონი წინასწარი პატიმრობის შესახებ (ფედერალური კანონი ეჭვმიტანილებისა და ბრალდებულების დაპატიმრების შესახებ №1-3 ფზ 1995 წლის 15 ივლისი), რომელიც ამჟამად ძალაშია, მე-18 თავში ადგენს, რომ პატიმარს უფლება აქვს კონფიდენციალურ გარემოში შეხვდეს თავის ადვოკატს. ხსენებული თავი არ განსაზღვრავს აქვთ თუ არა ადვოკატს და კლიენტს ასეთი შეხვედრებისას ჩანაწერების გაკეთების და რაიმე დოკუმენტების გაცემის უფლება. შეხვედრა უნდა წარიმართოს ისე, რომ ციხის თანამშრომლებმა ვერ მოისმინონ საუბარი, მაგრამ ციხის თანამშრომლებს უნდა შეეძლოთ დაინახონ თუ რა ხდება შეხვედრის ოთახში. მე-18 თავი ადგენს, რომ შეხვედრის შეწყვეტა დასაშვებია, თუკი პირი, რომელიც ხდება პატიმარს ცდილობს გადასცეს მას “აკრძალული საგნები, ნივთიერება, ან საკვები” ან გადასცეს მას “ინფორმაცია, რომელმაც შეიძლება ხელი შეუშალოს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას ან გააადვილოს დანაშაულის ჩადენა”.

91. მე-20 თავი ადგენს, რომ პატიმრის ნებისმიერმა კორესპონდენციამ უნდა გაიაროს ციხის ადმინისტრაცია, რომელსაც შეუძლია გახსნას და ნახოს წერილები. სასამართლოსათვის, ომბუდსმენისა და საგამოძიებო ორგანოებისათვის, ისევე როგორც, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსათვის გასაგზავნი კომუნიკაცია არ შეიძლება დაექვემდებაროს მონიტორინგს, თუმცა ადვოკატები არ არიან ამ ადრესატების ჩამონათვალში ხსენებულნი (დაწვრილებითი ინფორმაციისათვის იხ. *Moiseyev v. Russia*, no. 62936/00, § 117 2008 წლის 9 ოქტომბერი). როგორც ჩანს (იხ. შემდგომი

პუნქტი) წინასწარი პატიმრობის კანონს რუტინულად განმარტავდნენ ციხის ორგანოები და მათი მოსაზრების თანახმად მათ უფლება ჰქონდათ ამოეღოთ და შეემოწმებინათ ბრალდებულსა და ადვოკატს შორის წარმოებული კომუნიკაცია.

92. წინასწარი პატიმრობის შესახებ კანონის 34-ე ნაწილის თანახმად

“როდესაც არსებობს საკმარისი მიზეზები იმის სავარაუდოდ, რომ ციხეში შესვლისას ან გამოსვლისას პირს თან აქვს აკრძალული ნივთები, ნივთიერება [ან] საკვები, ციხის ადმინისტრაციას შეუძლია გაჩხრიკოს მათი თანსაცმელი და ნივთები... და მოიღოს ის ნივთები, ნივთიერება და საკვები ... რომელთა ქონა და გამოყენებაც [პატიმრებს] არ შეუძლიათ”

93. წინასწარი პატიმრობის ციხეების შიდა რეგლამენტი, რომელიც 2005 წლის 14 ოქტომბერს მიიღო იუსტიციის სამინისტრომ, შეიცავდა 146-ე ნაწილს, რომელიც ადგენს, რომ წინასწარი პატიმრობის ციხეებში კლიენტთან შეხვედრისას ადვოკატებს არ შეუძლიათ გამოიყენონ კომპიუტერები, აუდიო და ვიდეო ჩამწერი აპარატურა, ასლის გადამღები ხელსაწყოები და სხვ. თუკი მათ ამის ნებართვა არ ექნებათ ციხის ადმინისტრაციისაგან. 2007 წლის 31 ოქტომბერს რუსეთის ფედერაციის უზენაესმა სასამართლომ ხსენებული დებულება გამოაცხადა არაკონსტიტუციურად (გადაწყვეტილება დადასტურდა 2008 წლის 29 იანვარს).

94. 2010 წლის 29 ნოემბერს რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა წინასწარი პატიმრობის ზემოხსენებული დებულებები კონსტიტუციურ ჭრილში. სასამართლომ დაადგინა, რომ კანონმა შეიძლება სამართლიანად გაითვალისწინოს ადვოკატისა და კლიენტის კონფიდენციალურობის გარკვეული შეზღუდვები, მათ შორის კორესპონდენციის მონიტორინგი. თუმცა ასეთი შეზღუდვები არ უნდა ატარებდეს თვითნებურ ხასიათს, ისინი უნდა ემსახურობდნენ კანონიერ მიზანს და მათი პროპორციული უნდა იყოს. კანონიერი მიზანი შესაძლოა გულისხმობდეს ბრალდებულის მიერ შემდგომი დანაშაულის ჩადენის ან მის მიერ მოწმეებზე ზეწოლის ან მართლმსაჯულებისათვის სხვაგვარად ხელის შეშლის თავიდან აცილებას. ზოგადი წესია, რომ ადვოკატსა და კლიენტს შორის წარმოებულ კომუნიკაციას პრივილეგია გააჩნია და არ შეიძლება მისი მონიტორინგი. ამ წესიდან ნებისმიერი გადახვევა დასაშვებია მხოლოდ გამონაკლის გარემოებებში, როდესაც ხელისუფლების ორგანოებს გააჩნიათ საფუძვლიანი მიზეზები, რათა ივარაუდონ, რომ ადვოკატი და/ან კლიენტი ბოროტად იყენებენ კონფიდენციალურობის ნორმას. გარდა ამისა, საკონსტიტუციო სასამართლომ დააკონკრეტა, რომ ციხის ორგანოებს უნდა გააჩნდეთ “საკმარისი და საფუძვლიანი მიზეზები იმის სავარაუდოდ”, რომ კორესპონდენცია შეიცავს არაკანონიერ შინაარსს. ასეთ შემთხვევაში მათ აქვთ კორესპონდენციის მონიტორინგის უფლება მხოლოდ შესაბამისი პირების თანდასწრებით და წერილობითი მოტივირებული გადაწყვეტილების საფუძველზე. წერილის ინსპექტირების შედეგები ასევე უნდა დაფიქსირდეს. ამავე დროს, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ ბრალდებულის მიერ შედგენილი და ადვოკატისათვის განკუთვნილი ნებისმიერი კორესპონდენცია, რომელიც არ არის გაგზავნილი “ციხის ადმინისტრაციის მეშვეობით”, როგორც ეს დადგენილია ფედერალური კანონმდებლობით, შეიძლება რომ შეამოწმოს ციხის ადმინისტრაციამ.

სამართალი

I. კონვენციის მე-3 მუხლის საგარეულო დარღვევა განმცხადებლის პატიმრობის პირობების გამო

95. განმცხადებელი ჩიოდა იმ პირობებთან დაკავშირებით, რომელშიც იგი იმყოფებოდა მოსკოვში მდებარე იზოლატორებში №IZ-99/1 და IZ-77/1 2003 წლის 25 ოქტომბრიდან 2005 წლის 9 ოქტომბრამდე. იგი ეყრდნობოდა კონვენციის მე-3 მუხლს, რომლის თანახმადაც:

“არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას ან არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას”

ა. მთავრობის კომენტარები

96. თავის კომენტარებში მთავრობამ განაცხადა, რომ განმცხადებელი პატიმრობაში იმყოფებოდა შესაფერის პირობებში (იხ. მთავრობის ვერსიი პატიმრობის პირობებთან დაკავშირებით “ფაქტების” ნაწილში). მთავრობა აცხადებდა, რომ განმცხადებელს არ წარუდგენია რაიმე სახის საჩივარი 1995 წლის წინასწარი პატიმრობის შესახებ კანონის 21-ე თავით გათვალისწინებული ორგანოებისათვის. მთავრობა უთითებდა, რომ საკნების პირობები ჯეროვანი იყო, როგორც 2005 წლის რემონტამდე, ასევე მის შემდგომაც. 2005 წლის სარემონტო სამუშაოები მხოლოდ კოსმეტიკური ხასიათის იყო და მათ მიზანს წარმოადგენდა მხოლოდ საკნების დეკორატიული სახის შეცვლა.

97. რაც შეეხება საპარლამენტო ასამბლეის სპეციალური მომხსენებლისა და რუსეთის პარლამენტის წევრისათვის უარის განცხადებას, რათა მათ მოეხდინათ პატიმრობის პირობების ინსპექტირება, მთავრობამ შემდეგი სახის არგუმენტაცია წარმოადგინა: საპარლამენტო ასამბლეის სპეციალური მომხსენებლის მოთხოვნის ადრესატი იყო იუსტიციის სამინისტრო, რომლის გამგებლობაშიც შედიოდა წინასწარი პატიმრობის ციხეები. თუმცა, იუსტიციის სამინისტროს არ შეეძლო ნება დაერთო პატიმრის მონახულებაზე გამომძიებლის ან სისხლის სამართლებრივი დევნის სხვა იმ ორგანოს თანხმობის გარეშე, რომელიც აწარმოებს პატიმრის საქმეს. ეროვნული კანონმდებლობის თანახმად საპარლამენტო ასამბლეის სპეციალურ მომხსენებელს არ გააჩნდა სპეციალური სტატუსი, რომელიც მას უფლებას მისცემდა მოენახულებინა განმცხადებელი წინასწარი ნებართვის მიღების გარეშე. ასეთ გარემოებებში, მესჩანსკის რაიონულმა სასამართლომ სამართლიანად გადაწყვიტა, რომ სპეციალურ მომხსენებელს არ გააჩნდა განმცხადებლის მონახულების უფლება. რაც შეეხება პარლამენტის წევრისათვის განმცხადებლის მონახულებაზე გაცხადებულ უარს, მთავრობა ამტკიცებდა, რომ განსახილველი პერიოდის განმავლობაში პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციას არასოდეს მიუღია რაიმე მოთხოვნა პარლამენტის რომელიმე წევრისაგან, რომლითაც იგი მოითხოვდა განმცხადებლის მონახულებას.

ბ. განმცხადებლის კომენტარები

98. განმცხადებლის მტკიცებით ტუალეტის კუთხე, მჭიდრო საცხოვრებელი ფართი და საკანში ვენტილაციის არსებობა, ღირსების შემლახველი იყო. ხსენებულის გასამყარებლად განმცხადებელი უთითებდა საქმეებზე *Popov v. Russia*, no. 26853/04, 2006 წლის 13 ივლისი, და *Peers v. Greece*, განაცხადი no. 28524/95, §§ 70-72, ECHR 2001-III. მთავრობის ვერსია ეფუძნებოდა 2006 წელს, საკნების რემონტის შემდგომ, ჩატარებულ ინსპექტირებას.

99. განმცხადებელი ასევე ამტკიცებდა, რომ მან ამოწურა სამართლებრივი დაცვის ყველა საშუალება 2004 წლის 9 ნოემბერსა და 2005 წლის 7 თებერვალს მოსკოვის საქალაქო სასამართლოში წარდგენილი საჩივრებით. განმცხადებელმა ანალოგიურად აღწერა პატიმრობის პირობები თავის საკასაციო საჩივარში, რომლითაც მან გაასაჩივრა მესჩანსკის რაიონული სასამართლოს განაჩენი.

100. განმცხადებელს არ მიეცა იმის შესაძლებლობა, რომ ვინმეს დამოუკიდებლად გადაემოწმებინა მისი საკნის პირობები. განმცხადებლის ადვოკატებს არ აძლევდნენ უფლება შესულიყვნენ საკნებში, რომლებშიც პატიმარი იმყოფებოდა. რუსეთის პარლამენტის წევრს, ევროპული პარლამენტის წევრებს და ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სპეციალურ მომხსენებელს ასევე უარი უთხრეს განმცხადებლის მონახულებაზე.

გ. სასამართლოს ანალიზი

1. ზოგადი პრინციპები

101. როგორც სასამართლომ ეს მრავალჯერ დაადგინა, პირისათვის თავისუფლების შეზღუდვის ღონისძიებები, შეიძლება ყოველთვის შეიცავდეს ტანჯვის და დამცირების ელემენტებს. არ შეიძლება იმის თქმა, რომ წინასწარი პატიმრობა, წარმოშობს მე-3 მუხლის დარღვევის საკითხს. ის რაც სახელმწიფომ უნდა გააკეთოს ამ დებულების თანახმად არის იმის უზრუნველყოფა, რომ პირი პატიმრობაში იმყოფებოდეს ისეთ პირობებში, რომლებიც შესაბამისობაშია მის ადამიანურ ღირსებასთან, რომ სასჯელის აღსრულების მანერა და მეთოდი არ უქვემდებარებდეს მას ისეთი ინტენსივობის ტანჯვას, რომელიც აჭარბებს პატიმრობისათვის დამახასიათებელ ტანჯვას, და ამავე დროს პატიმრობის პრაქტიკული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, მისი ჯანმრთელობა და კეთილდღეობა კი ადექვატურად არის დაცული. (იხ. *Valašinas v. Lithuania*, no. 44558/98, § 102, ECHR 2001-VIII). პატიმრობის პირობების შეფასებისას უნდა გავითვალისწინოთ პირობების კუმულაციური ეფექტი, ისევე როგორც განმცხადებლის კონკრეტული პრეტენზიები (იხ. *Dougoz v. Greece*, no. 40907/98, § 46, ECHR 2001-II).

102. სასამართლო იმეორებს, რომ ცალკეულ შემთხვევებში პატიმრობისათვის გამოყოფილი პირადი ფართის არასაკმარისობა რუსეთში წინასწარი პატიმრობის ციხეებში, იმდენად გადაჭარბებულად იქნა მიჩნეული, რომ თავისთავად გამართლებულად ჩაითვალა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის დადგენა. რუსეთის წინააღმდეგ წარმოებულ რამოდენიმე ადრეულ საქმეში, სადაც განმცხადებლები იმყოფებოდნენ საკნებში და გააჩნდათ 3 კვ.მ-ზე

ნაკლები პირადი ფართი, სასამართლომ მხოლოდ ამის საფუძველზე დაადგინა მე-3 მუხლის დარღვევა (იხ. მაგალითად, *Kantyre v. Russia*, no. 37213/02, §§ 50-51, 2007 წლის 21 ივნისი; *Andrey Frolov v. Russia*, no. 205/02, §§ 47-49, 2007 წლის 29 მარტი; *Mayzit v. Russia*, no. 63378/00, § 40, 2005 წლის 20 იანვარი; *Labzov v. Russia*, no. 62208/00, § 44, 2005 წლის 16 ივნისი). გარდა ამისა, ისეთი ფაქტორები, როგორებიც არის ბუნებრივ განათებაზე ან ჰაერზე ხელმისაწვდომობა, გათბობის ადეკვატური სისტემა, მინიმალური სანიტარული მოთხოვნების დაკმაყოფილება, ტუალეტით განმარტოებით სარგებლობა და ვენტილაციის არსებობა, მნიშვნელოვანია იმის შეფასებისათვის გადაჭარბებულ იქნა თუ არა ტანჯვის ან ღირსების შელახვის დასაშვები ზღვარი (იხ. მაგალითად. *Vlasov v. Russia*, no. 78146/01, § 84, 2008 წლის 12 ივნისი; *Babushkin v. Russia*, no. 67253/01, § 44, 2007 წლის 18 ოქტომბერი; და *Peers v. Greece*, no. 28524/95, §§ 70-72, ECHR 2001-III). ხსენებული ჩამონათვალი არ არის ამომწურავი; პატიმრობის სხვა პირობებმა შეიძლება მიიყვანოს სასამართლო იმ დასკვნამდე, რომ განმცხადებელი დაექვემდებარა “არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას” (იხ. მაგალითად, *Fedotov v. Russia*, no. 5140/02, § 68, 2005 წლის 25 ოქტომბერი; *Trepashkin* – ის ზემოხსენებული საქმე, § 94; და *Slyusarev v. Russia*, no. 60333/00, § 36, ECHR 2010-...).

2. ხსენებული პრინციპების გამოყენება წინამდებარე საქმეში

(ა) IZ-77/1 ციხეში არსებული პირობები (2003 წლის 25-27 ოქტომბერი)

103. სასამართლო აღნიშნავს, რომ მისი დაკავების დღეს განმცხადებელი მოათავსეს 276-ე საკანში რომელიც 20.44 კვ.მ იყო და რომელსაც იგი იყოფდა 3 სხვა პატიმართან ერთად. ამგვარად განმცხადებელს საკანში ჰქონდა 5 კვ.მ-ზე მეტი პირადი ფართი. განმცხადებელი პატიმრობაში იმყოფებოდა 3 დღეზე ნაკლები ხნით. გამომდინარე საკანში მისი დაკავების მცირე დროიდან, სასამართლო თვლის, რომ ამ პერიოდის განმავლობაში პატიმრობის არსებული პირობები არ არღვევდა კონვენციის მე-3 მუხლს.

ბ) IZ-99/1 წინასწარი პატიმრობის ციხეში არსებული პირობები (2003 წლის 27 ოქტომბერიდან 2005 წლის 8 აგვისტომდე)

104. 2003 წლის 27 ოქტომბრიდან განმცხადებელი პატიმრობაში იმყოფებოდა IZ-99/1 წინასწარი პატიმრობის ციხეში. იგი აცხადებდა, რომ ამ პერიოდის განმავლობაში მას გააჩნდა 4 კვ.მ-ზე ცოტათი მეტი პირადი ფართი. იგი ამავე დროს აღიარებდა, რომ თანამესაკნეების რაოდენობა არ აჭარბებდა არსებული ნარების რაოდენობას. მთავრობამ წარმოადგინა განსხვავებული მონაცემები: მთავრობა ამტკიცებდა, რომ საკნის ნომრიდან გამომდინარე განმცხადებელს გააჩნდა 4.45 დან 5 კვ.მ-მდე პირადი ფართი. ხსენებულის გასამყარებლად, მთავრობამ წარმოადგინა საკნების ზუსტი ზომები და მიუთითა თითოეულ ამ საკანში არსებული ნარების რაოდენობაზე. სასამართლოს არ გააჩნია რაიმე მიზეზი ეჭვი შეიტანოს ამ დოკუმენტებში, სულ მცირე იმ მონაცემებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება საკნების მოცულობას და ამ საკნებში მყოფი პატიმრების რაოდენობას. ამგვარად სასამართლო ენდობა მთავრობის მიერ წარმოდგენილ მონაცემებს. სასამართლოს მხედველობიდან არ რჩება ის ფაქტი, რომ განმცხადებლის საკნები აღჭურვილი იყო გარკვეული ავეჯით და

მასში იყო ტუალეტი, საწოლები და სხვ., რომლებიც კიდევ უფრო შეამცირებდა განმცხადებლის პირად ფართს საკანში (იხ. *Andreyevskiy v. Russia*, no. 1750/03, § 85, 2009 წლის 29 იანვარი). თუმცა თუნდაც იმ ფაქტორის მხედველობაში მიღებით, რომ სასამართლოს არ შეუძლია დაასკვნას, რომ IZ-99/1 წინასწარი პატიმრობის ციხეში არსებული საკნები, რომლებშიც განმცხადებელი იმყოფებოდა, სერიოზულად იყო გადატვირთული და რომ განმცხადებელი განიცდიდა ზოგადი გადატვირთვის პრობლემას, რომელიც რუსეთის ბევრ წინასწარი პატიმრობის ციხეში არსებობს. ამიტომაც გამოსარკვევია მისი პატიმრობის სხვა პირობები შესაბამისობაში იყო თუ არა კონვენციის მე-3 მუხლთან.

105. რაც შეეხება საკნებში არსებულ სანიტარულ და ჰიგიენურ პირობებს, მხარეების მიერ მათი აღწერა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა. მაგალითად განმცხადებელი ჩიოდა არასაკმარის ვენტილაციასთან, არაადეკვატურ ტემპერატურულ კონტროლთან და ტუალეტის გამოყენებისას განმარტოების საშუალების არ არსებობასთან დაკავშირებით, მაშინ როდესაც მთავრობა უარყოფდა ყველა ამ პრეტენზიას. განმცხადებელი ასევე ჩიოდა სასეირნო ეზოების პირობებთან დაკავშირებით.

106. პირველი საკითხი, რომელიც ხსენებულთან დაკავშირებით უნდა გადაწყვიტოს სასამართლომ, ეხება ფაქტების დადგენას. განმცხადებლის სიტყვები არ არის საკმარისი მისი პრეტენზიების დასამტკიცებლად. პრაქტიკაში შესაძლოა ძალიან რთული აღმოჩნდეს პატიმრისათვის, რათა მან შეაგროვოს მტკიცებულებები მისი პატიმრობის პირობებთან დაკავშირებით და სასამართლოს უკვე განხილული აქვს ის სიძნელებები, რომლებსაც განმცხადებლები აწყდებიან რუსეთში წინასწარი პატიმრობის პირობებთან დაკავშირებული თავიანთი პრეტენზიების დამტკიცებისას (იხ. *Shcherbakov v. Russia* (no. 23939/02, § 81, 2010 წლის 17 ივნისი). ზოგადად პატიმარს არ შეუძლია მოწმის დაკითხვა, თავისი საკნის ფოტოს გადაღება, ნესტიანობისა და ტემპერატურის დონის გაზომვა და სხვ. ასეთი ინსპექტირება ზოგადად ხორციელდება ციხის ადმინისტრაციის მიერ თავად ან ციხის სპეციალური სახედამხედველო ორგანოების მიერ. იდეალურ შემთხვევაში პატიმრობის პირობები უნდა შეაფასონ დამოუკიდებელმა დამკვირვებლებმა. ხსენებულის მხედველობაში მიღებით, სასამართლო არ თვლის, რომ სახელმწიფოს უარი, ნება დაერთო დამოუკიდებელი დამკვირვებლებისათვის, რათა მათ მოენახულებინათ განმცხადებელი (მიუხედავად იმისა უარის თქმა კანონიერი იყო თუ არაკანონიერი) კონვენციის თვალსაზრისით წარმოშობს ცალკე აღებულ პრობლემას. ამავე დროს ასეთი ინსპექტირება, რომ განხორციელდებოდა, ის დაეხმარებოდა მთავრობას, რათა მას გაეზოგებინა განმცხადებლის პრეტენზიები. სასამართლო იმეორებს, რომ პატიმრობის პირობებთან დაკავშირებული საჩივრების კონტექსტში, გარკვეულ გარემოებებში, ნებადართულია მტკიცების ტვირთის გადატანა განმცხადებლიდან მთავრობაზე (იხ. სხვა მაგალითებს შორის, *Zakharkin v. Russia*, no. 1555/04, § 123, 2010 წლის 10 ივნისი; *Kokoshkina v. Russia*, no. 2052/08, § 59, 2009 წლის 28 მაისი, და *Ahmet Özkan and Others v. Turkey*, no. 21689/93, § 426, 2004 წლის 6 აპრილი). მთავრობის მხრიდან პატიმრობის პირობებთან დაკავშირებით დამატებული მტკიცებულებების წარმოუდგენლობამ შესაძლოა გამოიწვიოს იმის მინიშნება, რომ განმცხადებლის პრეტენზიები

საფუძვლიანია (იხ. *Gubin v. Russia*, no. 8217/04, § 56, 2010 წლის 17 ივნისი; *Timurtaş v. Turkey*, no. 23531/94, § 66 *in fine*, ECHR 2000-VI).

107. სასამართლო აღნიშნავს, რომ ცუდი სანიტარული და ჰიგიენური პირობები მოსკოვის სხვადასხვა წინასწარი პატიმრობის ციხეში, მის მიერ განხილულ მრავალ საქმეში უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენდა. სასამართლომ განიხილა რამოდენიმე საქმე, სადაც განმცხადებლებმა წარმოადგინეს ბ-ნი ხოდორკოვსკის მიერ წინამდებარე საქმეში წარმოდგენილი, ანალოგიური პრეტენზიები (იხ. მაგალითად *Andreyevskiy v. Russia*, ზემოხსენებული საქმე, §§ 30 et seq.; იხ. ასევე *Gubin v. Russia*, ზემოხსენებული საქმე, §§ 20 et seq., 2010 წლის 17 ივნისი; *Starokadomskiy v. Russia*, no. 42239/02, § 23, 2008 წლის 31 ივლისი; *Popov v. Russia*, no. 26853/04, §§ 50 et seq., 2006 წლის 13 ივლისი; *Denisenko and Bogdanchikov v. Russia*, no. 3811/02, §§ 37 et seq., 2009 წლის 12 თებერვალი; *Sudarkov v. Russia*, no. 3130/03, §§ 17 და 22, 2008 წლის 10 ივლისი; *Belashev v. Russia*, no. 28617/03, § 35, 2008 წლის 4 დეკემბერი; და *Trepashkin v. Russia (no. 2) (dec.)*, no. 14248/05, 2009 წლის 22 იანვარი). ზემოხსენებული საქმეები უმეტესობა ეხებოდა №77/1 წინასწარი პატიმრობის ციხეს და სულ მცირე 1 განაცხადი ეხებოდა №99/1 წინასწარი პატიმრობის ციხეს, სადაც განმცხადებელი იყო დაპატიმრებული (*Vlasov v. Russia*, no. 78146/01, §§ 53 et seq., 2008 წლის 12 ივნისი). ხსენებულთან დაკავშირებით სასამართლოს მიაჩნია, რომ ორივე წინასწარი პატიმრობის ციხე (№77/1 და №99/1) ეკუთვნის ერთი და იგივე პატიმრობის ცენტრს, რომელიც ცნობილია “მატროსკაია ტიშინას” სახელით. გარდა ამისა რუსეთის წინააღმდეგ წარმოებულ რამოდენიმე საქმეში, სასამართლომ განიხილა წინასწარი პატიმრობის სხვადასხვა ციხეში სასეირნო ეზოების პირობებთან დაკავშირებული საჩივრები (იხ. მაგალითად *Moiseyev v. Russia*, no. 62936/00, § 125, 2008 წლის 9 ოქტომბერი, *Trepashkin v. Russia (no. 2)*, ზემოხსენებული საქმე, *Mamedova v. Russia*, no. 7064/05, § 43, 2006 წლის 1 ივნისი; *Khudoyorov v. Russia*, no. 6847/02, § 67, ECHR 2005-X (ამონარიდები); და *Kokoshkina v. Russia*, no. 2052/08, § 56, 2009 წლის 28 მაისი).

108. სასამართლოს გააზრებული აქვს, რომ ხსენებული საქმეები არ ეხება ზუსტად იგივე წინასწარი პატიმრობის ციხეს, იმავე საკნებს ან იმავე პერიოდს. ამიტომაც ამ საქმეებს არ შეუძლიათ გადამწყვეტი როლი ითამაშონ წინამდებარე საქმეში ანალიზის განხორციელებისათვის. თუმცა, ეს საქმეები ქმნის გაკვეთელ ფაქტობრივ კონტექსტს, რომელიც მატებს განმცხადებლის მიერ №99/1 წინასწარი პატიმრობის ციხეში 2003 წლიდან 2005 წლამდე არსებული პირობების აღწერას, სანდოობას. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ განმცხადებელმა არსებულ პირობებთან დაკავშირებით პრეტენზია განაცხადა მოსკოვის სასამართლოებში, მაგრამ ვერ მიიღო რაიმე სახის ნათელი პასუხი თავის პრეტენზიებზე (იხ. ზემოთ 75-ე პუნქტი). ასეთ გარემოებებში, და განმცხადებლის არგუმენტაციის თანმიმდევრულობიდან გამომდინარე, სასამართლოს შესაძლებლად მიაჩნია მტკიცების ტვირთი გადაიტანოს მთავრობაზე.

109. სასამართლო აღნიშნავს, რომ მთავრობამ, იმისათვის, რათა გაეზოთილებინა განმცხადებლის ვერსია, წარმოადგინა საკნების ფოტოები და ციხის ადმინისტრაციის თანამშრომლების მოხსენებები. სასამართლოს აზრით

ფოტოები ძალიან დამაჯერებელი არ არის – მათ არ შეუძლიათ განმცხადებლის ვერსიის გაქარწყლება და თანაც ისინი გადაიღეს სარემონტო სამუშაოების დამთავრების შემდგომ. ამიტომ ისინი ვერ ასახავენ შესაბამის პერიოდში არსებულ სიტუაციას. ხსენებული ეხება 501, 503 და 506 საკნებს, სადაც განმცხადებელი დაპატიმრებული იყო 610-ე ახლად გარემონტებულ საკანში 2005 წლის 18 ივნისს გადაყვანამდე.

110. ანალოგიურად, ციხის ადმინისტრაციის ოფიცრებმა მოხსენებები შეადგინეს შესაბამისი პერიოდის (2003-2005) დასრულებიდან რამოდენიმე წლის შემდგომ. როგორც ჩანს, ხსენებული მოხსენებები არ ეფუძვნებოდა შესაბამის დროს განხორციელებულ ზუსტ გაზომვას ან ინსპექტირებას ან რაიმე სხვა წყაროს. სასამართლო იმეორებს, რომ რამოდენიმე წინა საქმეზე მან უარყო სარწმუნოდ მიედო ასეთი მტკიცებულებები იმ საფუძველით, რომ არ შეიძლებოდა მათი მიჩნევა საკმარისად სარწმუნოდ გასული დროის ფაქტორიდან და დამხმარე დოკუმენტური მტკიცებულებების არ არსებობიდან გამომდინარე (იხ. *Kokoshkina* -ს ზემოხსენებული საქმე, § 60; *Sudarkov v. Russia*, no. 3130/03, § 43, 2008 წლის 10 ივლისი; *Belashev v. Russia*, no. 28617/03, § 52, 2007 წლის 13 ნოემბერი; და *Zakharkin*-ის ზემოხსენებული საქმე, § 124). შესაბამისად მათი მტკიცებულებითი ღირებულება შედარებით დაბალია. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ განმცხადებლის ვერსია საკნებში არსებულ სანიტარულ პირობებთან დაკავშირებით, ვერ გააქარწყლა რაიმე სანდო შემოწმების შედეგად შედგენილმა მოხსენებამ, რომელიც მოიცავდა გასაჩივრებულ პერიოდს.

111. ასეთ გარემოებებში სასამართლო მზად არის დაასკვნას, რომ მთავრობამ ვერ მოახერხა გაექარწყლებინა განმცხადებლის ვერსია საკნებში არსებულ სანიტარულ ჰიგიენურ პირობებთან დაკავშირებით. შესაბამისად დაახლოებით წელიწადნახევრის განმავლობაში განმცხადებელი პატიმრობაში იმყოფებოდა საკნებში, რომელშიც იყო არასათანადო ვენტილაცია, განმცხადებელს და მის თანამესაკნეებს არ შეეძლოთ ჯეროვნად განმარტებულიყვნენ და ესარგებლათ ტუალეტით (სულ მცირე 2005 წლის 18 ივნისამდე, როდესაც განმცხადებელი გადაიყვანეს 610-ე საკანში, სადაც პირობები გაცილებით უკეთესი იყო). რაც შეეხება ტემპერატურის კონტროლის სისტემას, სასამართლოს არ შეუძლია გაიზიაროს განმცხადებლის შეხედულება, რომ 18 გრადუსი (საკანში არსებული მინიმალური ტემპერატურა) აშკარად დაუშვებელი იყო, თუმცა შეიძლება აღინიშნოს, რომ ზოგჯერ საკანში ძალიან ცხელოდა ზაფხულში.

112. თუმცა, ამ დასკვნებს ავტომატურად არ მიყვავართ კონვენციის მე-3 მუხლით განმცხადებლისათვის უზრუნველყოფილი უფლების დარღვევამდე. პირველ რიგში, სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებელი საკანს იყოფდა 2 ან მაქსიმუმ 3 პატიმართან. ხსენებული ნიშნავს, რომ ამ საკნებში არსებული სანიტარული და ჰიგიენური პირობები არ იყო ისე ცუდი, როგორც იმ საკნებში სადაც გაცილებით ბევრი ადამიანი იყო მოთავსებული ერთად.

113. მეორე რიგში, მთავრობის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან გამომდინარეობს, რომ განმცხადებელს შეეძლო ესარგებლა წინასწარი პატიმრობის ციხეში არსებული დამატებითი მომსახურებით, რომლით სარგებლობაც შესაძლებელი იყო თანხის გადახდის შემდგომ, კერძოდ კი სავარჯიშო ოთახში ვარჯიში. მთავრობის მიერ წარმოდგენილი

დოკუმენტაციიდან გამომდინარეობს, რომ განმცხადებელი რეგულარულად იყენებდა ამ შანსს და არც განმცხადებელი არ ხდის სადაოს ამ ინფორმაციას. ამგვარად, განმცხადებელი არ იმყოფებოდა თავის საკანში 24 საათიდან 23 საათის განმავლობაში, როგორც ეს უხდებოდათ რუსეთში პატიმრობაში მყოფ ბევრ სხვა პირს, რომლებიც სარგებლობდნენ მხოლოდ დაახლოებით 40 წუთიანი სეირნობის საშუალებით მცირე ზომის სასეირნო ეზოში (იხ. ზემოხსენებული *Andreyevskiy* ის საქმე პუნქტი 86). ხსენებულთან დაკავშირებით სასამართლო იმეორებს, რომ გამასწორებელ კოლონიებში არსებული პირობების კონტექსტში, სასამართლო, საერთო საცხოვრებელში არსებული პირადი ფართის საკმარისი ოდენობის შეფასებისას, მხედველობაში იღებს პატიმრების გადაადგილების შედარებით დიდ თავისუფლებას (წინასწარი პატიმრობის ციხესთან შედარებით) (იხ. *Solovyev v. Russia* (dec.), no. 76114/01, 2007 წლის 27 სექტემბერი; *Nurmagomedov v. Russia* (dec.), no. 30138/02, 2004 წლის 16 სექტემბერი; და *Valašinas v. Lithuania*, no. 44558/98, § 103 და 107, ECHR 2001-VIII).

114. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ განმცხადებელს ასევე შეეძლო მიეღო საკვები და მედიკამენტები თავისი ნათესავებისაგან, იმ საკვებთან ერთად, რომელიც უფასოდ იყო უზრუნველყოფილი ციხეში. მას ასევე შეეძლო მოთხოვნისამებრ მიეღო შხაპი, ე.ი. უფრო ხშირად ვიდრე კვირაში ერთხელ, როგორც ეს დადგენილი იყო ზოგადი რეჟიმით (შეადარეთ *Nedayborshch v. Russia*, no. 42255/04, § 32, 2010 წლის 1 ივლისი, ან *Skachkov v. Russia*, no. 25432/05, § 54, 2010 წლის 7 ოქტომბერი). ხსენებული დამატებითი მომსახურება, მომეტებული დამაჯერებლობით არ იყო ხელმისაწვდომი პატიმრების უმეტესობისათვის, მაგრამ ეს ასე არ ხდებოდა განმცხადებლის შემთხვევაში და სასამართლოს არ შეუძლია მხედველობაში არ მიიღოს ეს ფაქტორი.

115. და ბოლოს, სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველი პერიოდის განმავლობაში, განმცხადებელს არ გააჩნდა ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემები და იგი არ უჩიოდა დაავადებას, რომელიც გაუარესდებოდა არასათანადო ვენტილაციის ან არაადეკვატური ჰიგიენის და სხვ. შედეგად.

116. დასკვნის სახით სასამართლო ადგენს, რომ განმცხადებლის პატიმრობის პირობები განსახილველი პერიოდის განმავლობაში მართალია ძალიან არაკომფორტული იყო, მაგრამ არ იყო იმდენად სასტიკი, რომ მიეღწია სისასტიკის იმ დონემდე, რომელიც მოახვედრებდა მას კონვენციის მე-3 მუხლის მოქმედების ფარგლებში. შესაბამისად გამომდინარეობს, რომ ხსენებული პერიოდის განმავლობაში ადგილი არ ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას.

გ) IZ-77/1 წინასწარი პატიმრობის ციხეში არსებული პირობები (2005 წლის 8 აგვისტოდან 2005 წლის 9 ოქტომბრამდე)

117. სასამართლო აღნიშნავს, რომ 2005 წლის 8 აგვისტოს განმცხადებელი გადაიყვანეს უკან №IZ-77/1 წინასწარი პატიმრობის ციხეში, სადაც მოათავსეს 144-ე საკანში. როგორც ჩანს წინასწარი პატიმრობის ამ ციხეში პირობები გაცილებით უარესი იყო ვიდრე №IZ-99/1 წინასწარი პატიმრობის ციხეში. მაგალითად 144-ე საკანში განმცხადებელს გააჩნდა 4 კვ.მ-ზე ოდნავ მეტი

პირადი ფართი და პატიმრობაში იმყოფებოდა 13 სხვა პირთან ერთად. პრაქტიკულად თითოეული პატიმრისათვის განკუთვნილი პირადი ფართი ამ საკანში 4 კვ. მ-ზე ნაკლებიც კი იყო თუკი მხედველობაში მივიდებოთ იმ ფართს, რომელიც ეკავა ავეჯს, ტუალეტს და სხვა აღჭურვილობას, რომლებიც წარმოდგენილი იყო მთავრობის მასალებში.

118. გარდა ამისა, მთავრობის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, ხსენებული პერიოდის განმავლობაში განმცხადებელს ხელი აღარ მიუწვდებოდა სავარჯიშო ოთახზე, ალბათ იმიტომ, რომ №IZ-77/1 -ში არ იყო ასეთი ოთახი. არ არსებობს ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, შეეძლო თუ არა განმცხადებელს მიეღო შხაპი მოთხოვნისამებრ, როგორც ეს ხდებოდა №IZ-99/1 ციხეში. რადგანაც ამ პერიოდის განმავლობაში განმცხადებელი უცდიდა თავისი სააპელაციო საჩივრის განხილვას, იგი არ მიყავდათ ხოლმე სასამართლოში ისე სწირად, როგორც ეს უწინ ხდებოდა და შესაბამისად იგი იმყოფებოდა საკანში დროის უმეტეს მონაკვეთში. განმცხადებელი ასევე ჩიოდა არადამაკმაყოფილებელ სანიტარულ და ჰიგიენურ პირობებთან დაკავშირებით, რომლებიც იყო 144-ე საკანში. ხსენებული პრეტენზია დამაჯერებლად ვერ გააქარწყლა მთავრობამ და ვერ მიუთითა სანდო წყაროზე ან მასალებზე ან იმ დროისათვის არსებული სიტუაციის ამსახველ მოხსენებაზე (იხ. სასამართლოს ანალიზი ზემოთ, რომელიც ეხება წინა პერიოდის პატიმრობის პირობებს). განმცხადებელი ასეთ პირობებში იყო დაპატიმრებული 2 თვის განმავლობაში. სასამართლო ადგენს, რომ ამ პერიოდის განმავლობაში მისი პატიმრობის პირობები გაცილებით უარესი იყო, ვიდრე №IZ-77/1 წინასწარი პატიმრობის ციხეში და წარმოადგენდა “არაადამიანურ და ღირსების შემლახველ მოპყრობას” კონვენციის მე-3 მუხლის მნიშვნელობით. ამრიგად სასამართლო სამართალწარმოების განმავლობაში განმცხადებლის წინასწარი პატიმრობის ამ ბოლო პერიოდში დაირღვა ეს დებულება.

დ) დასკვნა

119. ზემოხსენებული დასკვნები რეზიუმეს სახით რომ ჩამოვაყალიბოთ, სასამართლო ასკენის, რომ განმცხადებლის პატიმრობის პირობები მისი 2003 წლის 25 ოქტომბერს დაკავებიდან №IZ-77/1 წინასწარი პატიმრობის ციხეში 2005 წლის 8 აგვისტოს გადაყვანამდე წინააღმდეგობაში არ მოდიოდა კონვენციის მე-3 მუხლთან. ხსენებულის საპირისპიროდ, 2005 წლის 8 აგვისტოდან 2005 წლის 9 ოქტომბრამდე განმცხადებელი დაპატიმრებული იყო ისეთ პირობებში, რომლებიც წარმოადგენდა არაადამიანურ და ღირსების შემლახველ მოპყრობას კონვენციის მე-3 მუხლის მნიშვნელობით.

II. კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა სასამართლო დარბაზში არსებული პირობების გამო

120. განმცხადებელი ჩიოდა, რომ სასამართლო მოსმენების განმავლობაში, იგი მოთავსებული იყო რკინის გალიაში და ამგვარად წარედგინებოდა საზოგადოებასა და მედიას. ხსენებულთან დაკავშირებით იგი უთითებდა ზემოთმოცემულ კონვენციის მე-3 მუხლზე.

121. მთავრობა ამტკიცებდა, რომ სასამართლო დარბაზში რკინის გალიის არსებობა გამართლებული იყო უსაფრთხოების ინტერესებით.

122. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ არ არსებობდა იმის რაიმე ჯეროვანი მიზეზი, რომ სასამართლო განხილვა წარმართულიყო მისი გალიაში ყოფნის ფონზე. მას ბრალი ედებოდა ეკონომიკურ დანაშაულში, არ იყო ნასამართლევნი და შემჩნეული ძალადობაში. მისი გალიაში მოთავსების გადაწყვეტილება ამცირებდა მას საკუთარ თვალში და საზოგადოების თვალში. განმცხადებელი სასამართლო დარბაზში შეყავდათ ხელბორკილებით და მას ყოველთვის იცავდა შეიარაღებული ბადრაგი.

123. სასამართლო აღნიშნავს, რომ სასამართლო დარბაზში დამნაშავის “სპეციალურ აღჭურვილობაში მოთავსების” პრაქტიკა არსებობდა და სავარაუდოდ არსებობს რამოდენიმე ევროპულ სახელმწიფოში (სომხეთი, მოლდოვა, ფინეთი). ზოგიერთ ქვეყანაში (მაგალითად ესპანეთში, იტალიაში, საფრანგეთში ან გერმანიაში) ბრალდებულებს სასამართლო მოსმენისას ზოგჯერ ათავსებენ მინის გალიაში. ასეთი პრაქტიკა რამოდენიმეჯერ განიხილა სასამართლომ უდანაშაულობის პრეზუმციის გარანტიის კონტექსტში კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის ქოლგის ქვეშ (იხ. *Auguste v. France*, no. 11837/85, 1990 წლის 7 ივნისის კომისიის მოხსენება, D.R. 69, p. 104; იხ. ასევე *Meerbrey v. Germany*, no. 37998/97, 1998 წლის 12 იანვრის კომისიის გადაწყვეტილება). გასულ წლებში სასამართლომ დაიწყო ხსენებული პრაქტიკის განხილვა ასევე კონვენციის მე-3 მუხლის ქოლგის ქვეშ. მაგალითად საქმეში *Sarban v. Moldova* (no. 3456/05, § 90, 2005 წლის 4 ოქტომბერი) განმცხადებელი მიყავდათ სასამართლოში ხელბორკილებით და ათავსებდნენ გალიაში სასამართლო მოსმენების განმავლობაში, მიუხედავად იმისა, რომ მას იცავდა ბადრაგი და ატარებდა დაგრძელებულ ხელბორკილებს (იხ., *a contrario*, საქმე *Potapov v. Russia* ((dec.), no. 14934/03, 2006 წლის 1 აგვისტო). კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა დაადგინა სასამართლომ საქმეში, რომელშიც განმცხადებელს გაუმართლებლად დაადეს ხელბორკილები საჯარო მოსმენის განმავლობაში (იხ. *Gorodnichev v. Russia*, no. 52058/99, §§ 105-109, 2007 წლის 25 მაისი). განმცხადებლისათვის ხელბორკილების დადება არღვევს კონვენციის მე-3 მუხლს ისეთ სიტუაციებში, როდესაც ვერ დასტურდება უსაფრთხოების სერიოზული რისკის არსებობა (იხ. *Henaf v. France*, no. 65436/01, §§ 51 და 56, ECHR 2003-XI; *Istratii and Others v. Moldova*, nos. 8721/05, 8705/05 და 8742/05, §§ 57 და 58, 2007 წლის 27 მარტი).

124. და ბოლოს ცოტა ხნის წინ განხილულ საქმეში *Ramishvili and Kokhreidze v. Georgia*, (no. 1704/06, §§ 98 et seq., 2009 წლის 27 იანვარი სასამართლომ თითქმის ანალოგიურ ფაქტობრივ კონტექსტთან დაკავშირებით შემდეგი განმარტება გააკეთა:

“საზოგადოება [სასამართლო დარბაზში] უყურებდა განმცხადებლებს ... თუ როგორ იჯდნენ ისინი გალიაში... კარგად შეიარაღებული ბადრაგი, რომელიც ატარებდა შავ ნიღბებს ყოველთვის იქ იდგა... მოსმენა გადაიცემოდა პირდაპირი ეთერით... ასეთი სასტიკი და შუღლით ასავსე სასამართლო სამართალწარმოებამ დამოუკიდებელ დამკვირვებელს შეიძლება აფიქრებინოს, რომ სამართალდებოდნენ განსაკუთრებით საშიში დამნაშავეები. უდანაშაულობის პრინციპის უგულებელყოფის გარდა, სასამართლო დარბაზში განხორციელებული სადაო მოპყრობა ამცირებდა

განმცხადებლებს... სასამართლო ასევე უშვებს განმცხადებლების მტკიცებას იმასთან დაკავშირებით სპეცდანიშნულების რაზმის წარმომადგენლების სასამართლო დარბაზში ყოფნა წარმოშობდა მათში შიშის, დაუცველობის და დათრგუნვის გრძნობას.

სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებლებს, რომლებიც საზოგადოებისათვის ცნობილი პირები იყვნენ, არ გააჩნდათ ნასამართლობა და ცუდად არ იქცეოდნენ სისხლის სამართალწარმოებისას, მთავრობამ ვერ წარმოადგინა რაიმე სახის არგუმენტი თუ რატომ იყო აუცილებელი მათი ჩასმა რეინის გალიაში და სპეციალური დანიშნულების რაზმის ყოფნა სასამართლო დარბაზში საჯარო მოსმენისას. საქმის მასალებში არაფერი მიაჩნდება, რომ არსებობდა იმის თუნდაც მინიმალური საფრთხე, რომ განმცხადებლები, რომლებიც საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი პირები იყვნენ და მნიშვნელოვანი საფრთხის შექმნა არ შეეძლოთ, შეიძლება გაქცეულიყვნენ ან მიემართათ ძალადობისათვის მათი სასამართლოში გადაყვანისას ან მოსმენის პერიოდში...”

ხსენებული მიდგომა სასამართლომ ახლახანს დაადასტურა საქმეში *Ashot Harutyunyan v. Armenia* (no. 34334/04, §§ 126 et seq., 2010 წლის 15 ივნისი), სადაც განმცხადებელი მოათავსეს რეინის გალიაში მთლიანი სააპელაციო სამართალწარმოების განმავლობაში და სადაც სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა ხსენებულის გამო.

125. სასამართლოს აზრით საქართველოსა და სომხეთის წინააღმდეგ ზემოხსენებულ საქმეებში გამოვლენილი გადამწყვეტი ელემენტები წინამდებარე საქმეშიც მოიპოვება. მაგალითად განმცხადებელი ბრალდებული იყო არაძალადობრივი დანაშაულის ჩადენაში, იგი არ იყო ნასამართლევი და არ არსებობდა იმის მტკიცებულება, რომ იგი აპირებდა ძალადობის განხორციელებას. მთავრობის მითითება გარკვეულ “უსაფრთხოების რისკებზე” ძალიან ბუნდოვანი იყო და არ ყოფილა გამყარებული კონკრეტული ფაქტებით. როგორც ჩანს “რეინის გალია სასამართლო დარბაზში პერმანენტულად იყო დამაგრებული განმცხადებლის მოსათავსებლად და არ იყო გამოწვეული მისი გაქცევის ან ძალადობის განხორციელების რეალური საფრთხით, არამედ ეს გალია იყო დასაჯდომი ადგილი, სადაც იგი, როგორც სისხლის სამართლის საქმეში ბრალდებული, უნდა მჯდარიყო.” (იხ. *Ashot Harutyunyan v. Armenia*, ზემოხსენებული საქმე, § 127). გარდა ამისა, განმცხადებლის პირადი უსაფრთხოება ან მასთან ერთად მჯდომი თანაბრადებულის უსაფრთხოებას არ ემუქრებოდა რაიმე სახის საფრთხე. და ბოლოს, განმცხადებლის სასამართლო პროცესს მუდმივად თვალს ადევნებდა ყველა მთავარი ეროვნული და საერთაშორისო მასმედია, ასე რომ განმცხადებელი მუდმივად ფართედ წარედგინებოდა საზოგადოებას ასეთ მდგომარეობაში. როგორც *Ashot Harutyunyan*-ის საქმეში სასამართლომ დაასკვნა, “სასამართლო სამართალწარმოების ასეთმა უხეშმა გამოვლინებამ ნებისმიერ დამკვირვებელს შეიძლება აფიქრებინოს, რომ სამართლდებოდა განსაკუთრებით საშიში დამნაშავე. გარდა ამისა, [სასამართლო] ეთანხმება განმცხადებელს, რომ საზოგადოების თვალში მისი ამ სახით წარმოჩენა ამცირებდა მას საკუთარ თვალში, თუნდაც სხვების თვალში იგი არ დამცირებულიყო. და წარმოშობდა მასში დათრგუნვის გრძნობას” (128§).

126. ჯამში, სასამართლო დარბაზში მდებარე უსაფრთხოების ზომები, მათი კუმულაციური ეფექტიდან გამომდინარე, მოცემულ გარემოებებში, გადაჭარბებული იყო და განმცხადებლისა და საზოგადოების მიერ საფუძვლიანად შეიძლება ყოფილიყო მიჩნეული დამამცირებლად. ამიტომ

ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას, რადგანაც განხორციელებული მოპყრობა დამამცირებელი იყო ამ დებულების მნიშვნელობით.

III. კონვენციის მე-5 მუხლის 1(ბ) პუნქტის სავარაუდო დარღვევა

127. კონვენციის მე-5 მუხლზე დაყრდნობით, განმცხადებელი ჩიოდა, რომ მისი დაკავება ნოვოსიბირსკში 2003 წლის 25 ოქტომბერს, არღვევდა კონვენციის მე-5 მუხლის 1(ბ) პუნქტს, რომლისთ თანახმადაც:

1. “ყველას აქვს თავისუფლებისა და პიროვნული ხელშეუხებლობის უფლება. არავის შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება, გარდა შემდგომი შემთხვევებისა და კანონით განსაზღვრული პროცედურის თანახმად:

a) ...;

b) პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება სასამართლოს კანონიერი გადაწყვეტილების შეუსრულებლობისათვის ან კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად;”

ა. მთავრობის არგუმენტები

128. მთავრობა უთითებდა თავის კომენტარებში, რომ განმცხადებელი გამოიძახეს გენერალ პროკურატურაში 2003 წლის 24 ოქტომბერს. მთავრობის თანახმად, განმცხადებელი არ გამოცხადდა საპატიო მიზეზის გარეშე გამოძიებელთან. შედეგად, გამოძიებელმა გადაწყვიტა განმცხადებლის მასთან მიყვანა საღამოს 5 საათისათვის. თუმცა განმცხადებელი არ იმყოფებოდა საცხოვრებელ ადგილას. როგორც თავისი კომპანიის ხელმძღვანელი, განმცხადებელს შეეძლო ისე დაეგეგმა თავისი სამუშაო დრო, რომ მისულიყო დაკითხვაზე. უფრო მეტიც, თვითმფრინავი, ყოველთვის მის განკარგულებაში იყო. სამსახურებრივი მიზეზების გამო მისი მოსკოვში არყოფნა არ იყო იმის საპატიო მიზეზი, რომ იგი არ გამოცხადდა დაკითხვაზე გენერალურ პროკურატურაში.

129. მთავრობა ასევე ამტკიცებდა, რომ განმცხადებელი არ “დაუკავებიათ”, არამედ მხოლოდ მოახდინეს მისი “ესკორტირება” გამოძიებელთან წარსადგენად, ანუ განხორციელდა “იძულებით მიყვანა” ანუ იძულებით დასწრება (პრივოდ). მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ რუსეთის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მოწმეების “დაკავებას”. მთავრობა ასკვნიდა, რომ ხსენებული ღონისძიება არ ხვდებოდა კონვენციის მე-5 მუხლის ფარგლებში. მთავრობა უარყოფდა, რომ განმცხადებელი მოსკოვში ჩაიყვანეს ფსბ-ს ოფიცრებმა.

130. მთავრობა ასევე აღნიშნავდა, რომ 2004 წლის 27 იანვარს ბასმანის რაიონულმა სასამართლომ დაადასტურა გამოძიებლის მიერ განმცხადებლის იძულებითი წესით მიყვანასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების კანონიერება.

ბ. განმცხადებლის კომენტარები

131. განმცხადებლის სიტყვებით, მისი იარაღის მექარით დაკავება აეროპორტში და იძულებით დაბრუნება მოსკოვში, ნათლად მიაჩნებოდა თავისუფლების აღკვეთაზე. თუკი თავისუფლების აღკვეთის მიზანი არ იყო მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე გარემოება, მაშინ ადგილი ჰქონდა ამ მუხლის დარღვევას.

132. განმცხადებელი ირწმუნებოდა, რომ იგი დააკავეს ფსბ-ს ოფიცრებმა. მთავრობის მტკიცება, რომ ფსბ საერთოდ არ მონაწილეობდა მის დაკავებაში, წინააღმდეგობაში მოდიოდა გამომძიებელ ბ-ს დადგენილებასთან, რომელიც გაეგზავნა ფსბ-ს დირექტორის მოადგილე ბ-ნ ზ-ს აღსასრულებლად. უფრო მეტიც, 2003 წლის 25 ოქტომბრის მოსმენაზე, ბ-ნმა ლ-მ, სახელმწიფო პროკურორმა, ნათლად განაცხადა, რომ გამომძიებლის დადგენილება აღასრულეს ფსბ-ს ოფიცრებმა.

133. გარდა ამისა, არასწორი იყო იმის მტკიცება, რომ განმცხადებელი მრავალჯერ გამოიძახეს და იგი არ მივიდა დაკითხვაზე. იგი პირველად გამოიძახეს 2003 წლის 4 ივლისს და იგი მოთხოვნისამებრ გამოცხადდა და პასუხი გასცა კითხვებს. ამის შემდგომ იგი მუდმივად აცხადებდა, რომ არ დატოვებდა რუსეთს და მზად იყო პასუხი გაეცა გენერალური პროკურატურის კითხვებზე. 2003 წლის ივნისში დაკითხვის შემდგომ, მეორედ იგი გამოიძახეს 2003 წლის 24 ოქტომბერს, პარასკევ დღეს. თუმცა განმცხადებელმა მოსკოვი დატოვა 2003 წლის 21 ოქტომბერს სამშაბათ დღეს, რათა გაეხორციელებინა აფიშირებული ტური რუსეთის რეგიონებში. იმ დღეს, როდესაც განმცხადებელი გამოიძახეს დაკითხვაზე, იგი შეხვედრაზე იმყოფებოდა ნიჟნი ნოვგოროდის გუბერნატორსა და პრეზიდენტ პუტინის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან. განმცხადებლის თანამშრომლებმა, 2003 წლის 24 ოქტომბრის დაკითხვაზე გამოძახებასთან დაკავშირებით, სამართალდამცველებს აცნობეს, რომ განმცხადებელი არ დაბრუნდებოდა მოსკოვში 2003 წლის 28 ოქტომბრამდე, სამშაბათ დღემდე. ანალოგიური შინაარსის ფაქსი გაეგზავნა გამომძიებელსაც. ხსენებული ინფორმაციის მიწოდებით, განმცხადებელმა ნათლად წარმოადგინა საპატიო მიზეზები მოთხოვნილ დღეს გამომძიებელთან გამოუცხადებლობასთან დაკავშირებით. განმცხადებლის აზრით აშკარა იყო, რომ ვინმეს გამოძახება მოსკოვში მცირე დროით ადრე გაგზავნილი შეტყობინებით, როდესაც ცნობილი იყო, რომ იგი ესწრებოდა სამთავრობო შეხვედრას, რომელიც იმართებოდა ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში, აბსურდი იყო და არ წარმოადგენდა *bona fide* მცდელობას დახმარება ყოფილიყო მიღებული მოწმისაგან. იგი არ იმყოფებოდა შინაპატიმრობაში და თავისუფლად შეეძლო საქმიანი ვიზიტებით ემოგზაურა ქვეყანაში.

გ. სასამართლოს შეფასება

134. თავის კომენტარებში მთავრობა ამტკიცებდა, რომ განმცხადებელი არ “დაუკავებიათ” არამედ მოახდინეს მხოლოდ მისი “იძულებით მიყვანა”. თუმცა, ხსენებული განსხვავება შეუსაბამოა, რადგანაც კონვენციის მიზნებიდან გამომდინარე, მას აღუკვეთეს თავისუფლება: “იძულებით მიყვანა” მრავალი საათის განმავლობაში გრძელდებოდა, და გამორიცხავდა განმცხადებლის მხრიდან რაიმე სახის შესაძლებლობას რათა იგი წასულიყო თავის ნებაზე. ამასთანავე ხსენებული ემსახურებოდა მის დაკითხვაზე მიყვანას. კონვენციის

ტერმინებით, რომ ვთქვათ ამგვარად მას აღეკვეთა თავისუფლება იმ მიზნით, რომ “უზრუნველყოფილიყო კანონით დადგენილი ვალდებულების შესრულება”. ამგვარად, ხსენებული სიტუაცია უნდა განვიხილოთ მე-5 მუხლის 1(ბ) პუნქტის ქოლგის ქვეშ.

135. თავისუფლების აღკვეთა “კანონიერი” უნდა იყოს. “კანონიერი” ძირითადად ნიშნავს ეროვნულ კანონმდებლობასთან შესაბამისობას (see *Nowicka v. Poland*, no. 30218/96, § 58, 3 December 2002). სასამართლო აღნიშნავს, რომ რუსეთის სასამართლომ თავისუფლების შეზღუდვა კანონიერად მიიჩნია: კანონი იძლევა იმის უფლებას, რომ მოწმე, რომელიც არ ცხადდება არასაპატიო მიზეზით, იძულებით მიიყვანონ. ამავე დროს ეროვნულმა სასამართლომ უარყო განმცხადებლის მიერ წარდგენილი არგუმენტი, სახელდობრ კი მისი საქმიანი მოგზაურობა. ხსენებული დასკვნა არ არის საფუძველს მოკლებული. სასამართლო უშვებს, რომ ხელისუფლების ეროვნულ ორგანოებს გააჩნიათ შეფასების ფარგლები ასეთი საკითხების შეფასებისას. ამგვარად სასამართლო ასკვნის, რომ განმცხადებლისათვის თავისუფლების შეზღუდვა განხორციელდა რუსული კანონმდებლობის საფუძველზე.

136. ამავე დროს სასამართლო იმეორებს, რომ მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი დამატებით მოითხოვს, რომ თავისუფლების ნებისმიერი შეზღუდვა შესაბამისობაში უნდა იყოს მე-5 მუხლით უზრუნველყოფილ გარანტიებთან და იცავდეს ინდივიდებს თვითნებობისაგან. კონვენციის თანახმად დაკავება დასაშვებია თუკი “კანონით დადგენილი ვალდებულების” შესრულება შეუძლებელია უფრო მსუბუქი ხასიათის ღონისძიების გამოყენებით (იხ. *McVeigh and Others v. the United Kingdom*, nos. 8022/77, 8025/77, და 8027/77, 1981 წლის 18 მარტის კომისიის მოხსენება გადაწყვეტილებები და მოხსენებები (DR) 25, გვ. 15). ან რომ მოვახდინოთ საქმის *Vasileva v. Denmark* პერეფრაზირება, უნდა არსებობდეს ბალანსი ვალდებულების შესრულების საჯარო ინტერესსა და თავისუფლებაში დარჩენის კერძო ინტერესს შორის (no. 52792/99, § 37, 2003 წლის 25 სექტემბერი).

137. სასამართლო უშვებს, რომ როდესაც მოწმე არ ცხადდება დაკითხვაზე საპატიო მიზეზის გარეშე. იგი შეიძლება იძულებით მიიყვანონ გამომძიებელთან ან სასამართლოში. თუმცა, ასეთ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესი, ანუ მაშინ როდესაც ვეხებით პირის თავისუფლებას, არ უნდა იქნეს ზედმეტად ფორმალური და უნდა ითვალისწინებდეს საქმის შესაბამის გარემოებებს. მაგალითად, ისეთი მიზეზი როგორებიცაა (სამსახურებრივი მოგზაურობა, ოჯახური ღონისძიება და სხვ.) შეიძლება საპატიოდ ჩაითვალოს ერთ შემთხვევაში და არ ჩაითვალოს საპატიოდ მეორე შემთხვევაში.

138. სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ განმცხადებელს მიეწოდა ინფორმაცია გამომძიებელთან გამოძახების შესახებ და გააჩნდა 21 საათი, რათა დაბრუნებულიყო მოსკოვში, მაგრამ მან ეს არ გააკეთა. ფორმალურად, რომ ვთქვათ იგი არ მივიდა დაკითხვაზე და ამგვარად არ შეასრულა ვალდებულება, რომელიც მას ეკისრებოდა (იხ. *Nowicka v. Poland*, ზემოხსენებული საქმე, § 60). მაგრამ სასამართლო ვერ დარწმუნდა, რომ ეს საკმარისი მიზეზი იყო მისი იძულების წესით მოსკოვში ჩაყვანისათვის

მომდევნო დღესვე და ისიც იმ ფორმით, რომლითაც მისი ჩაყვანა განხორციელდა.

139. პირველ რიგში ძნელია ავსნათ თუ რატომ არ შეეძლო გამოძიებულს მოცდა. 2003 წლის 25 ოქტომბრისათვის, გამოძიება გრძელდებოდა რამოდენიმე თვის განმავლობაში. გამოძიებელმა უწინ უკვე დაკითხა განმცხადებელი და გამოძახების დღიდან იგი უკან მოსკოვში დაბრუნდებოდა 3 დღეში. განმცხადებლის ქმედებები არ წარმოშობდა რაიმე სახის საფუძვლიან საფრთხეს, რომ ჩამოსვლის შემდგომ იგი თავიდან აირიდებდა დაკითხვას. და ბოლოს, აუცლებლობის შემთხვევაში, გამოძიებულს შეეძლო ეთხოვა თავისი ციმბირელი კოლეგებისათვის დაეკითხათ განმცხადებელი ადგილზევე ან გაეგზავნათ საგამოძიებო ჯგუფის წევრი ციმბირში.

140. მეორე რიგში, უცნაური იყო თავისუფლების შეზღუდვის მანერა. განმცხადებელი დააკავეს, როგორც საშიში კრიმინალი და არა როგორც მოწმე: სრულმაშტაბიანი საპოლიციო ოპერაცია, რომელშიც მონაწილეობდნენ შეიარაღებული ოფიცრები, განხორციელდა დროის ძალიან მცირე მონაკვეთში, განმცხადებელი მიემგზავრებოდა ნოვოსიბირსკში და იგი დააკავეს ასაფრენ ბილიკზე დილით ადრე. ხსენებულთან მიმართებით სასამართლო იმეორებს, რომ დაკავება არ უნდა განხორციელდეს დასჯის მიზნით (ზემოხსენებული *Vasileva* ს საქმე, პუნქტი 36).

141. და ბოლოს, ყურადღება უნდა მივაქციოთ დროის ფაქტორს. მოწმის სახით დაკითხვისთანავე გამოძიებელმა ბრალი წაუყენა მას და მოსკოვის ბასმანის რაიონულ სასამართლოში წარადგინა 9 გვერდიანი შუამდგომლობა, რომლითაც ითხოვდა განმცხადებლის დაპატიმრებას. ასეთი სისწრაფე მიანიშნებს იმ ფაქტზე, რომ გამოძიებელი მზად იყო მოვლენების ასეთი განვითარებისათვის და განმცხადებლის მოძიება ბრძანა არ იმიტომ რომ დაეკითხა მოწმის სახით არამედ იმიტომ, რომ ბრალი წაეყენებინა.

142. ხსენებულთან დაკავშირებით სასამართლო იმეორებს, რომ დაკავება შეიძლება იყოს არაკანონიერი, თუკი მისი ფარული მიზანი განსხვავდება რეალური მიზნისაგან (იხ. *Bozano v. France*, 1986 წლის 18 დეკემბერი, Series A no. 111, § 60). წინამდებარე საქმეში განმცხადებელი რომ დაეკავებინათ ბრალდებულის სახით ნოვოსიბირსკში, მას წარუდგენდნენ ადგილობრივ სასამართლოს. ამის ნაცვლად როგორც მოწმე, იგი იძულებით დააბრუნეს მოსკოვში, სადაც გენერალურ პროკურატურას შეეძლო დარწმუნებული ყოფილიყო, რომ მისი პატიმრობის საკითხს განიხილავდა ბასმანის რაიონული სასამართლო. განმცხადებლის დაკავებასთან დაკავშირებული გარემოებები მიანიშნებს იმაზე, რომ თუნდაც ფორმალურად, მას თავისუფლება შეუზღუდეს, როგორც მოწმეს და მიუხედავად იმისა, რომ კანონის მოთხოვნა ფორმალურად დაკმაყოფილდა, გამოძიებლის რეალურ მიზანს წარმოადგენდა განმცხადებლისათვის ბრალის წაყენება და ამ მიზნით მან შეცვალა პატიმრობასთან დაკავშირებული შემდგომი სამართალწარმოების ადგილი მისთვის უფრო ხელსაყრელი ვარიანტით.

143. ჯამში, სასამართლო ასკვნის, რომ 2003 წლის 25 ოქტომბერს ნოვოსიბირსკში განმცხადებლის დაკავება ეწინააღმდეგებოდა კონვენციის მე-5 მუხლის 1(ბ) პუნქტს.

IV. კონვენციის მე-5 მუხლის 1(გ) პუნქტის საგარაუდო დარღვევა

144. განმცხადებელი ასევე ჩიოდა, რომ გამოძიების და სასამართლო სამართალწარმოების განმავლობაში მისი პატიმრობა (ანუ 2003 წლის 25 ოქტომბრიდან 2005 წლის 31 მაისამდე) არ ყოფილა შეფარდებული და სასამართლოების მიერ გაგრძელებული კანონის შესაბამისი პროცედურების თანახმად, როგორც ამას მოითხოვს კონვენციის მე-5 მუხლის 1(გ) პუნქტი. ხსენებული პუნქტის თანახმად:

“1. ყველას აქვს თავისუფლებისა და პიროვნული ხელშეუხებლობის უფლება. არავის შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება, გარდა შემდგომი შემთხვევებისა და კანონით განსაზღვრული პროცედურის თანახმად:

- ც) პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება კომპეტენტური სასამართლო ორგანოს წინაშე წარდგენის მიზნით, თუ არსებობს სამართალდარღვევის ჩადენის საფუძვლიანი ეჭვი ან, როდესაც ეს საფუძვლიანად მიჩნეულია აუცილებლად, პირის მიერ დანაშაულის ჩადენის ან ჩადენის შემდგომ მისი გაქცევის თავიდან ასაცილებლად;

ა. მთავრობის კომენტარები

145. მთავრობა ამტკიცებდა, რომ ეროვნულ სასამართლოებს არ დაურღვევიათ ეროვნული კანონმდებლობა, როდესაც ბრძანეს ან გააგრძელეს განმცხადებლის წინასწარი პატიმრობა. რაც შეეხება თავდაპირველი პატიმრობის შეფარდებას (2003 წლის 25 ოქტომბერს) და შემდგომ გაგვრდებებს, სიმართლეს შეესაბამება ის ფაქტი, რომ ეს ბრძანებები არ აკონკრეტებს პატიმრობის ვადას. თუმცა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 109-ე მუხლის 1 პუნქტის თანახმად, წინასწარი პატიმრობის შეფარდება ხდება 2 თვემდე ვადით. კანონი ასევე აკონკრეტებს ამის შემდგომ პატიმრობის ვადის გაგრძელების მაქსიმალურ ვადას. ის ფაქტი, რომ სასამართლოებმა არ მიუთითეს პატიმრობის ვადაზე არ ნიშნავს იმას, რომ განმცხადებელი დაექვემდებარა თავისუფლების განუსაზღვრელი ვადით შეზღუდვას.

146. გარდა ამისა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი პუნქტი უფლებას აძლევდა სასამართლოს დახურულად წარემართა სამართალწარმოება. პროკურორმა მოითხოვა სამართალწარმოების დახურვა და ეს ახსნა იმით, რომ საქმის გარკვეული მასალები კონფიდენციალური იყო, რომ განმცხადებლის თანამზრახველები კვლავაც იძებნებოდნენ და რომ მათ შეეძლოთ ზეწოლა განეხორციელებინათ სასამართლო სამართალწარმოების მონაწილეებზე და ამგვარად ხელი შეეშალათ საქმეზე ჭეშმარიტების დადგენისათვის. იმსჯელა რა სასამართლომ მხარეებთან ხსენებული მოთხოვნის შესახებ, სასამართლომ დააკმაყოფილა ეს მოთხოვნა იმ მოტივით, რომ დაეცვა ბრალდებულის უფლებები. 2004 წლის 15 იანვრიდან, პატიმრობასთან დაკავშირებული მოსმენა საჯაროდ წარიმართებოდა და ხსენებული თარიღის შემდგომ გამართული ყველა პროცესი ფართოდ შუქდებოდა.

147. რაც შეეხება 2004 წლის 20 მაისის გადაწყვეტილებას, მთავრობამ მიუთითა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, გამოძიებისაგან საქმის მიღების შემდგომ, სასამართლოს უნდა მიეღო გადაწყვეტილება აღკვეთის ღონისძიებასთან დაკავშირებით, რომელიც უნდა გამოყენებულიყო ბრალდებულთან მიმართებაში სასამართლო სამართალწარმოების განმავლობაში. კოდექსი არ ითვალისწინებდა იმას, რომ ბრალდებული ან ან მისი ადვოკატი უნდა დასწრებოდნენ სამართალწარმოების ამ ეტაპს. 2004 წლის 20 მაისს სასამართლომ გადაწყვიტა განმცხადებლის პატიმრობის გაგრძელება. ხსენებული გადაწყვეტილება ეფუძნებოდა საქმის მასალებში არსებულ ინფორმაცია. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ განმცხადებელსა და მის ადვოკატს არ მოუთხოვიათ სასამართლოსათვის აღკვეთის ღონისძიების შეცვლა. მთავრობა ირწმუნებოდა, რომ სასამართლოს არ გამოუყენებია აღკვეთის ღონისძიება და არც გაუგრძელებია იგი, არამედ მან უკვე შეფარებული ღონისძიება უცვლელად დატოვა.

148. მთავრობა უთითებდა იმ ფაქტზე, რომ 2004 წლის 8 ივნისს, წინასწარი მოსმენის შედეგად, სასამართლომ მიიღო რამოდენიმე გადაწყვეტილება. სხვა გადაწყვეტილებებთან ერთად, სასამართლომ დაადგინა, რომ არ არსებობდა განმცხადებლისათვის შეფარებული აღკვეთის ღონისძიების შეცვლის საფუძველი. კიდევ ერთხელ ეს არ იყო განმცხადებლის პატიმრობის ფორმალური გაგრძელება არამედ იყო ადრე მიღებული გადაწყვეტილების მხოლოდ დადასტურება. 2004 წლის 8 ივნისს დაცვის მხარეს არ წარუდგენია გათავისუფლებასთან დაკავშირებული შუამდგომლობა.

149. რაც შეეხება საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილებას (no. 132-O) მთავრობა უთითებდა იმ ფაქტზე, რომ ის გამოქვეყნდა *რასიისკაია გაზეტაში (ოფიციალური ყოველდღიური გაზეთი მხოლოდ 2004 წლის 9 ივნისს)*. ამიტომაც, საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისი დებულების კონსტიტუციური განმარტება საჯარო გახდა მხოლოდ მას შემდგომ, რაც მესჩანსკის რაიონულმა სასამართლომ უკვე გამოიტანა გადაწყვეტილება.

150. მთავრობა აცხადებდა, რომ მესჩანსკის რაიონულმა სასამართლომ 2004 წლის 20 მაისსა და 8 ივნისს არ შეუფარდა და არ გაუგრძელა აღკვეთის ღონისძიება განმცხადებელს, არამედ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ეს ღონისძიება ძალაში უნდა დარჩენილიყო შემდგომი 6 თვის განმავლობაში.

151. მთავრობა აცხადებდა, რომ 2004 წლის 16 მაისს, მესჩანსკის რაიონულმა სასამართლომ განიხილა გათავისუფლებასთან დაკავშირებული განმცხადებლის შუამდგომლობა, მაგრამ უარი განაცხადა გადაესინჯა ბასმანის რაიონული სასამართლოს მიერ ადრე მიღებული გადაწყვეტილებები, იმ მოტივით, რომ მას არ გააჩნდა კომპეტენცია სააპელაციო სასამართლოსავით ემოქმედა ბასმანის რაიონულ სასამართლოსთან მიმართებაში.

ბ. განმცხადებლის კომენტარები

152. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ პატიმრობის შეფარდების პირველი ბრძანება (2003 წლის 25 ოქტომბერი) ეწინააღმდეგებოდა ეროვნულ კანონმდებლობას რამოდენიმე ასპექტში. ბრძანება გამოიცა მოსმენის შედეგად, რომელიც რაიმე საპატიო მიზეზის გარეშე, დახურულად წარიმართა. პატიმრობის ბრძანება არ აკონკრეტებდა პატიმრობის ვადას და არ განმარტავდა თუ რატომ არ შეიძლებოდა ნაკლებად მძიმე აღკვეთის ღონისძიების შეფარდება. გარდა ამისა ხსენებულ ბრძანებასთან დაკავშირებული სააპელაციო მოსმენა ასევე არაკანონიერად ჩატარდა დახურულ რეჟიმში. 2003 წლის 23 დეკემბრის პატიმრობის მეორე ბრძანება ანალოგიური ტიპის ხარვეზებს შეიცავდა.

153. 2004 წლის 20 მაისის პატიმრობის ბრძანება სასამართლომ თავისივე ინიციატივით გამოიტანა და შესაბამისად იგი ეწინააღმდეგებოდა კანონმდებლობას. პატიმრობის შეფარდების სასამართლო იურისდიქცია წარმოიშობა მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაბამისი შუამდგომლობა წარედგინება ამა თუ იმ სასამართლოს გამომძიებლის ან პროკურორის მიერ. გარდა ამისა, რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ, ხელისუფლების ორგანოებმა არ უზრუნველყვეს მისი დასწრება 2004 წლის 20 მაისის მოსმენაზე. ბრძანება არ შეიცავდა პატიმრობის შეფარდებასთან დაკავშირებით რაიმე დასაბუთებას. დასაბუთებული არ იყო ასევე 2004 წლის 8 ივნისის ბრძანება.

გ. სასამართლოს შეფასება

154. განმცხადებლის მთავარი პრეტენზია დაპატიმრების პირველ ორ ბრძანებასთან მიმართებაში (2003 წლის 25 ოქტომბერი, 2003 წლის 11 ნოემბერს სააპელაციო სასამართლოს მიერ ბრძანების ძალაში დატოვება, 2003 წლის 23 დეკემბრის ბრძანება) ეხება იმ ფაქტს, რომ მოსმენები, რომლის შედეგადაც ეს ბრძანებები იქნა მიღებული, დახურული იყო. სასამართლო იმეორებს მის მიერვე გამოტანილ დასკვნას განმცხადებელთან ერთად თანაბრადღებულ, ბ-ნ ლებედევის საქმეში (*Lebedev v. Russia*, no. 4493/04, 2007 წლის 25 ოქტომბერი) სადაც ანალოგიურ პრეტენზიასთან დაკავშირებით სასამართლომ დაადგინა შემდეგი:

“82. რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ 2003 წლის 3 ივლისის პატიმრობის შეფარდებასთან დაკავშირებული მოსმენა დახურულად ჩატარდა, სასამართლო მიიჩნევს, რომ მის მიერ დადგენილ პრეცედენტულ სამართალში არ არსებობს რაიმე საფუძველი, განმცხადებლის იმ პრეტენზიის გასამყარებლად, რომ წინასწარი პატიმრობის შეფარდების კანონიერებასთან დაკავშირებული მოსმენა, ყოველთვის საჯაროდ უნდა ჩატარდეს (იხ. *Reinprecht v. Austria*, no. 67175/01, 2005 წლის 15 ნოემბერი, სადაც ხსენებული საკიტხი სასამართლომ განიხილა მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის ქოლგის ქვეშ) სასამართლო ვერ ხედავს რაიმე მიზეზს, რომ გადაუხვიოს ხსენებულთან მიმართებაში დადგენილ პრეცედენტულ სამართალს და ასკვნის, რომ პატიმრობასთან დაკავშირებული სამართალწარმოების ეს ასპექტი *per se* არ წარმოშობს საკითხს არც მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის ჭრილში.”

155. ხსენებულის გათვალისწინებით სასამართლო ადგენს, რომ სწორედაც, რომ რუსეთის კანონმდებლობის მოთხოვნა იყო სასამართლო მოსმენის (მათ

შორის პატიმრობასთან დაკავშირებული მოსმენის) საჯაროდ ჩატარება, თუმცა კანონმდებლობა და კერძოდ საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლი ითვალისწინებდა გამონაკლისებს, როგორც ეს მიუთითა მთავრობამ. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, პატიმრობასთან დაკავშირებული სამართალწარმოების საჯაროობის საკითხი შესაძლოა გასაჩივრდეს კონვენციის მე-5 მუხლის 1-ელ პუნქტში მოხსენიებული “კანონიერების” ჭრილში და არა “ პროცედურული სამართლიანობის” ჭრილში, რომელიც დაცულია კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით (იხ. *Lebedev v. Russia*, ზემოხსენებული საქმე, §§ 75 et seq). კერძოდ სახეზეა იმის საჭიროება, რომ დადგინდეს “კანონით დადგენილი პროცედურა” აძლევდა თუ არა სასამართლოს სხდომის დახურულად წარმართვის უფლებას.

156. მრავალ საქმეში სასამართლომ გაიმეორა, რომ კონვენციით დადგენილი გარანტიების სისტემის ლოგიკა ზღუდავს სასამართლო განხილვის ფარგლებს ეროვნული “კანონმდებლობით” (იხ. *Kemmache v. France (no. 3)*, 1994 წლის 24 ნოემბერი, Series A no. 296-C, § 37). ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული ყოველი ფორმალობის უგულებელყოფა ავტომატურად არ მოიცავს კონვენციის დარღვევას მე-5 მუხლის 1 პუნქტის მნიშვნელობით – სასამართლოს ძირითადი ამოცანა მდგომარეობს თვითნებობის აშკარა შემთხვევების დაფიქსირება (იხ. *Ječius v. Lithuania*, no. 34578/97, § 56, ECHR 2000-IX, და *Baranowski v. Poland*, no. 28358/95, §§ 50-52, ECHR 2000-III). პატიმრობის პერიოდი პრინციპში “კანონიერი იქნება” თუკი პატიმრობა განხორციელდა სასამართლო ბრძანების შესაბამისად (იხ. სხვა მაგალითებს შორის საქმე *Matyush v. Russia*, no. 14850/03, § 68, 2008 წლის 9 დეკემბერი) და ამასთანავე საკითხის განმხილველი სასამართლო “მოქმედებდა თავისი იურისდიქციის ფარგლებში ... [და] გააჩნდა უფლებამოსილება მიეღო შესაბამისი ბრძანება” (იხ. *Korchuganova v. Russia*, no. 75039/01, § 62, 2006 წლის 8 ივნისი).

157. იმისათვის, რათა განესაზღვროთ ეროვნულ დონეზე კანონიერების შეფასების სტანდარტი, სასამართლო ერთმანეთისაგან განასხვავებს “*ex facie* არაკანონიერ” პატიმრობის ბრძანებას და სხვა სახის პოტენციური ხარვეზების მქონე ბრძანებებს. სასამართლო ზოგჯერ უთითებს ხოლმე შედარებით განსხვავებაზე, რომელიც არსებობს ინგლისურ სამართალში (cf. *Benham, Benham v. the United Kingdom*, 10 June 1996, §§ 43-46, 1996-III; და *Lloyd and Others v. the United Kingdom*, nos. 29798/96, §§ 102, 105 et seq., 2005 წლის 1 მარტი). ეროვნული საპროცესო და მატერიალური კანონმდებლობის მხოლოდ ისეთმა დარღვევებმა, რომლებიც მიიჩნევა “უხეშ და აშკარა უკანონობად” რაც ნათლად არის დადგენილი პრეცედენტულ სამართალში, უნდა მიიპყროს სასამართლოს ყურადღება. ცნება “უხეში და აშკარა უკანონობა” არ წარმოადგენს თავისთავად ნათელ განმარტებას: და გარემოებიდან გამომდინარე იგი შეიძლება მოიაზრებდეს იურისდიქციის გადამეტებას (*Marturana v. Italy*, no. 63154/00, § 78, 2008 წლის 4 მარტი), პატიმრის მოსმენაზე უარის თქმას (*Khudoyorov*-ის ზემოხსენებული საქმე, § 129, *Tám v. Slovakia*, no. 50213/99, §§ 58-59, 2004 წლის 22 ივნისი), პატიმრობის შეფარდების მიზეზების წარმოუდგენლობას (*Stašaitis v. Lithuania*, no. 47679/99, § 67, 2002 წლის 21 მარტი), ხელისუფლების ორგანოების არაკეთილსინდისიერებას (იხ. ხსენებული პრინციპების გამოვლენა საქმეში *Mooren v. Germany* [GC], no. 11364/03, §§ 72 et seq., ECHR 2009-...).

158. წინამდებარე საქმესთან მიმართებაში, სასამართლო აღნიშნავს, რომ ორი ინსტანციის სასამართლოებმა გადაწყვიტეს დაეხურათ სასამართლო მოსმენა განმცხადებლის პირადი ინტერესებიდან გამომდინარე. განმცხადებელი დაჟინებით ეწინააღმდეგებოდა მოსმენის დახურვას; სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ მისი აზრით მის ინტერესებში შედიოდა აბსოლუტურად სხვა რამ ვიდრე ამას ფიქრობდნენ ეროვნული სასამართლოები ამ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით. სასამართლოს არ შეუძლია გაიგოს “თუ რა ინტერესები” დაინახა სასამართლომ და რაში მდგომარეობდა ამ ინტერესების დაცვის აუცილებლობა სამართალწარმოების დახურვისას. განმცხადებელი არ იყო არასრულწლოვანი ან გაუპატიურების მსხვერპლი; იგი არ ემალებოდა საჯაროობას, არამედ ამის საპირისპიროდ ითხოვდა მას. ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილება დახურულად გაემართათ სამართალწარმოება ყველაზე რბილად, რომ ვთქვათ გაუგებარი იყო და სასამართლოებმა ვერ განმარტეს ჯეროვნად შესაბამისი კანონმდებლობა.

159. მიუხედავად ხსენებულისა, ეს თავისთავად არ ხდის პატიმრობასთან დაკავშირებულ სამართალწარმოებას “არაკანონიერს” კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის გაგებით. სასამართლო იმეორებს, რომ კონვენცია თავისთავად არ მოითხოვს, რომ პატიმრობასთან დაკავშირებული სამართალწარმოება საჯარო იყოს (იხ. *Reinprecht* და *Lebedev* ის ზემოხსენებული საქმეები). არ შეიძლება მე-5 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით დადგენილი სტანდარტების გაიგივება მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის სტანდარტებთან: მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი და მე-3 და მე-4 პუნქტები ცალ ცალკე დებულებებია და ამ უკანასკნელის დაუცველობა თავისთავად არ ნიშნავს მე-5 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევას (შეადარეთ მაგალითად *Winterwerp v. the Netherlands*, 1979 წლის 24 ოქტომბერი, § 53, Series A no. 33, და *Douiyeb v. the Netherlands* [GC], no. 31464/96, § 57, 1999 წლის 4 აგვისტო). სასამართლოს არ შეუძლია მხედველობაში არ მიიღოს ის ფაქტი, რომ კონვენციასთან დაკავშირებული პრეცედენტული სამართალი არ მოიაზრებს სამართალწარმოების საჯაროდ გამართვას იმ “უმნიშვნელოვანესი” პროცედურული გარანტიების ჩამონათვალში, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს “სამართლიანობის მოთხოვნას” პატიმრობასთან დაკავშირებული სამართალწარმოების კონტექსტში. ანალოგიის სახით, იმ შემთხვევაშიც კი თუ ეროვნული სასამართლოები შეცდნენ ეროვნული კანონმდებლობის განმარტებისას და სამართალწარმოება გამართეს დახურულ კარს მიღმა არასაპატიო მიზეზით, ხსენებული არ ჩაითვლება “უხეშ ან აშკარა დარღვევად”, რომელიც არასამართლიანს ხდის სამართალწარმოებას. ხსენებულიდან გამომდინარეობს, რომ 2003 წლის 25 ოქტომბერს და 23 დეკემბერს, ისევე როგორც 2003 წლის 11 ნოემბერს გამართული სამართალწარმოების დახურულ რეჟიმში გამართვა, არ არღვევს კონვენციის მე-5 მუხლის 1-ელ პუნქტს.

160. მეორე საკითხი, რომელთან დაკავშირებითაც განმცხადებელს პრეტენზია გააჩნდა, იყო პატიმრობის 3 ბრძანების არასათანადო დასაბუთება და სასამართლოს მიერ პატიმრობის ვადების განუსაზღვრელობა თავდაპირველი შეფარდებისას და გაგრძელებისას. ხსენებულთან მიმართებით სასამართლო იმეორებს, რომ როგორც კონვენცია ასევე ეროვნული სამართალი მოითხოვს, რომ პატიმრობის მიზეზები უნდა იქნეს დაფიქსირებული და ამავე დროს

სასამართლომ უნდა განიხილოს სხვა ტიპის აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების შესაძლებლობა და მხოლოდ ამის შემდგომ მიიღოს გადაწყვეტილება ეჭვმიტანილი დააპატიმროს თუ გაათავისუფლოს. სასამართლო ორგანოების მიერ რაიმე დასაბუთების არ წარმოჩენა, რომელიც ამართლებს პატიმრობის შეფარდებას ხანგრძლივი პერიოდით, შეთავსებელია თვითნებობის აღკვეთის პრინციპთან, რომელიც მოცემულია მე-5 მუხლის 1-ელ პუნქტში (იხ. *Stašaitis v. Lithuania*, cited above), განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ამასთან ერთად სასამართლო არ უთითებს პატიმრობის ვადებს, პირდაპირ ან ეროვნულ საკანონმდებლო დებულებაზე მითითებით (იხ. *Nakhmanovich v. Russia*, no. 55669/00, § 71, 2006 წლის 2 მარტი).

161. სასამართლო აცხადებს, რომ შესაბამისი პატიმრობის ბრძანებები შეიცავდა გარკვეულ დასაბუთებას. იმ შემთხვევაშიც კი თუ ეს დასაბუთება არასათანადო იყო ან განმცხადებლის აზრით, არასაკმარისი იყო, ხსენებული ბრძანებები არ შეიძლება მივიჩნიოთ რაიმე სტანდარტით “თვითნებობად” (*Moskovets v. Russia*, no. 14370/03, § 59, 2009 წლის 23 აპრილი). დასაბუთების საკმარისობა და შესაბამისობა, რომელსაც დაეყრდნო ეროვნული სასამართლო, განხილული იქნება ქვემოთ კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის ქოლგის ქვეშ, მაგრამ ხსენებული არ ართმევს პატიმრობის ბრძანებებს მათ “კანონიერ ხასიათს” კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის მნიშვნელობით.

162. და ბოლოს სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებლის პატიმრობის ვადები არ განისაზღვრა სასამართლოს მიერ 2003 წლის 25 ოქტომბერსა და 23 დეკემბერს გამოტანილ პატიმრობის ბრძანებებში. გარდა ამისა, ხსენებული გადაწყვეტილებები არ უთითებდნენ ნათლად საპროცესო კანონმდებლობის 109 მუხლის 1-ე ნაწილზე, რომელიც ადგენს წინასწარი პატიმრობის შეფარდების და გაგრძელების ვადის მაქსიმუმს. ხსენებული ლაფსუსი ძალიან სამწუხაროა. თუმცა, ამ კონკრეტულ გარემოებაში იგი არ არის “უხეში და აშკარა დარღვევა”, განსაკუთრებით იმის ფონზე, რომ განმცხადებელი ჯეროვნად იყო წარმოდგენილი დამცველების მიერ და პატიმრობის მაქსიმალური პერიოდის მოძიება ნათლად შეიძლებოდა კანონმდებლობაში, რომელიც ხელმისაწვდომი იყო განმცხადებლისათვის.

163. ჯამში, სასამართლო ადგენს, რომ განმცხადებლის პატიმრობა რომელიც მას შეეფარდა 2003 წლის 25 ოქტომბერს და გაუგრძელეს 2003 წლის 23 დეკემბერს და 2004 წლის 19 მარტს, კანონიერი იყო და განმცხადებელს შეეფარდა კანონით დადგენილი პროცედურის შესაბამისად. ხსენებულიდან გამომდინარე ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას ხსენებულთან დაკავშირებით.

164. რაც შეეხება განმცხადებლის 2004 წლის 20 მაისის დაპატიმრებას, სასამართლო აღნიშნავს, რომ პატიმრობის პირველი 3 ბრძანებისგან განსხვავებით, 2004 წლის 20 მაისის ბრძანება არ შეიცავდა რაიმე სახის დასაბუთებას. პრინციპში, პატიმრობის ხასიათისა და ყველა შესაბამისი ფაქტორის გათვალისწინებით, დასაბუთების არ არსებობამ პატიმრობის ბრძანებაში შეიძლება გამოიწვიოს კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა (იხ. *Nakhmanovich v. Russia*, ზემოხსენებული საქმე; იხ. ასევე *Belevitskiy v. Russia*, no. 72967/01, § 91, 2007 წლის 1 მარტი; და *Bakhmutskiy v. Russia*,

no. 36932/02, §§ 111 et seq., 2009 წლის 25 ივნისი; cf. *Liu v. Russia*, no. 42086/05, § 81, 2007 წლის 6 დეკემბერი).

165. ზემოხსენებული გათვალისწინებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებლის მე-5 მუხლის 1-ელ პუნქტთან დაკავშირებული პრეტენზია გადაჯაჭვულია მე-5 მუხლის მე-3 პუნქტთან დაკავშირებით მის მიერ წარდგენილ პრეტენზიასთან, რომელიც ეხება შესაბამისი ორგანოების მიერ სისხლის სამართალწარმოების განმავლობაში მისი წინასწარი პატიმრობის გახანგრძლივებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების დაუსაბუთებლობას. სასამართლო იმეორებს, რომ მე-5 მუხლის 1(გ) პუნქტი ძირითადად ეხება სისხლის სამართალწარმოების განმავლობაში წინასწარი პატიმრობის კანონიერი საფუძვლის არსებობას, მაშინ როდესაც მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი ეხება ასეთი პატიმრობის შესაძლო დასაბუთებას. სასამართლო უფრო შესაფერისად მიიჩნევს, რომ ხსენებული პრეტენზია განიხილოს კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის ქვეშ. რადგანაც განმცხადებელმა პრეტენზია გამოთქვა, რომ პატიმრობასთან დაკავშირებული სამართალწარმოება შეუსაბამო იყო ეროვნული კანონმდებლობის პროცესუალურ მოთხოვნებთან, სასამართლო ხსენებულ პრეტენზიებს განიხილავს კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის ჭრილში, რომელიც უზრუნველყოფს პატიმრობის კანონიერების სასამართლო წესით გადასინჯვას.

V. კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის საგარეუდო დარღვევა

166. განმცხადებელი ჩიოდა, რომ მისი პატიმრობა არ იყო დასაბუთებული და აჭარბებდა “გონივრული ვადის” მოთხოვნას, რომელიც მოცემულია კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტში. ხსენებული დებულების თანახმად:

“ამ მუხლის 1-ლი პუნქტის (c) ქვეპუნქტის დებულებების თანახმად, დაკავებული ან დაპატიმრებული ყველა პირი დაუყოვნებლივ წარედგინება მოსამართლეს ან სასამართლო ხელისუფლების განხორციელებაზე კანონით უფლებამოსილ სხვა მოხელეს და მას უფლება აქვს სასამართლო პროცესის გონივრულ ვადაში ჩატარებაზე ან პროცესის განმავლობაში გათავისუფლებაზე. გათავისუფლება შეიძლება განპირობებული იყოს სასამართლო პროცესზე გამოცხადების გარანტიებით.”

167. მთავრობამ განაცხადა, რომ განმცხადებლის წინასწარი პატიმრობა, რომელიც მოსამართლემ ბრძანა 2003 წლის 25 ოქტომბერს, განპირობებული იყო მისი, როგორც იუკოსის ხელმძღვანელის სტატუსით. ხსენებული თანამდებობის გამოყენებით მას შეეძლო გავლენა მოეხდინა მოწმეებსა და პროცესის სხვა მონაწილეებზე და გაენადგურებინა ან გადაემალა მტკიცებულებები და ამგვარად ხელი შეეშალა სასამართლო პროცესის ნორმალურ რეჟიმში მიმდინარეობისათვის, ან გაეგრძელებინა დანაშაულებრივი საქმიანობა. შემდგომ პატიმრობის ბრძანებებში სასამართლო დაყრდნო სხვადასხვა მიზეზებს, რომლებიც აუცილებელს ხდიდა განმცხადებლის პატიმრობას და გაამყარა ისინი შესაბამისი ფაქტებით. მთავრობა უთითებდა თუ როდის და რომელ საფუძველზე დაყრდნობით იქნა გაგრძელებული საგამოძიებო და სასამართლო სამართალწარმოების განმავლობაში განმცხადებლის წინასწარი პატიმრობა. ჯამში ხსენებული გრძელდებოდა 1 წელი, 6 თვე და 21 დღე. საქმეში არსებული მასალების მოცულობის გათვალისწინებით (434 ტომი) განმცხადებლის პატიმრობა არ

აჭარბებდა მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილ “გონივრული ვადის” მოთხოვნას.

168. რაც შეეხება ადვოკატის ალტერნატიულ ღონისძიებებს, მთავრობამ აღიარა, რომ 2003 წლის 25 ოქტომბერს ადვოკატმა თხოვნით მიმართა სასამართლოს გაეთავისუფლებინა განმცხადებელი გირაოს სანაცვლოდ, თუმცა მას არ დაუსახელებია შესაბამისი თანხა. ბასმანის რაიონულმა სასამართლომ დაადგინა, რომ არ არსებობდა რაიმე მიზეზი, რომელიც გაამართლებდა მოთხოვნილი ღონისძიების შეფარდებას. 2003 წლის 22 დეკემბრის პროცესზე ადვოკატებს არ შეუთავაზებიათ გირაო.

169. იმ ფაქტს, რომ განმცხადებელთან ერთად თანაბრადღებული, ბ-ნი კრაინოვი გათავისუფლდა სასამართლო სამართალწარმოების განმავლობაში, მთავრობის აზრით არანაირი კავშირი არ ჰქონდა განმცხადებელთან. სასამართლოებს უნდა შეეფასებინათ თითოეულის ინდივიდუალური საქმე განცალკევებულად; განიხილა რა ეროვნულმა სასამართლომ ბ-ნი კრაინოვის სიტუაცია და მის წინააღმდეგ წარდგენილი ბრალდებები (რომლებიც გაცილებით ნაკლებად სერიოზული იყო ვიდრე განმცხადებლის ბრალდებები), სასამართლომ შესაბამისად შეაფასა საფრთხეები და გადაწყვიტა მისი გათავისუფლება.

170. რაც შეეხება ქ-ნი არტიუხოვას ხელნაწერის გამოყენებას პატიმრობასთან დაკავშირებულ სამართალწარმოებაში, მთავრობამ შემდეგი კომენტარი გააკეთა. მთავრობამ დაადასტურა, რომ ქ-ნი არტიუხოვასგან წინასწარი პატიმრობის ციხეში განმცხადებელთან შეხვედრის შემდგომ ამოღებული დოკუმენტები ჩამატებულ იქნა საქმის მასალებში და მათ დაეყრდნო სასამართლო, როგორც იმის მტკიცებულებას, რომ განმცხადებელი მიზნად ისახავდა მოწმეებზე ზეწოლის განხორციელებას. თუმცა ქ-ნმა არტიუხოვამ დაარღვია კანონმდებლობა და შესაბამისად ამის შემდგომ ვეღარ ისარგებლებდა ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობასთან დაკავშირებული პრივილეგიებით. მთავრობის სიტყვებით, განმცხადებლის “წერილობითი დირექტივები” *de facto* მიზნად ისახავდა ჩვენებებისა და სხვა მტკიცებულებების გაყალბებას, რაც ნამდვილად არ წარმოადგენს დაცვის მხარის ჩვეულ ფუნქციას.

171. მთავრობა უთითებდა წინასწარი პატიმრობის კანონის 34-ე მუხლზე, რომლის თანახმადაც ციხის ადმინისტრაციის წარმომადგენელს უფლება ჰქონდა გაეჩხრიკა განმცხადებლის ადვოკატი. მთავრობის სიტყვებით, წინასწარი პატიმრობის ადმინისტრაციას გააჩნდა საკმარისი მიზეზები, რათა ევარაუდა, რომ ქ-ნი არტიუხოვას და განმცხადებლის მეორე ადვოკატ ბ-ნი შმიდტს (რომელიც გაჩხრიკეს 2004 წლის 11 მარტს), თან ჰქონდათ “მასალები, რომლებიც შეიცავდა ისეთ ინფორმაციას, რომელსაც შეეძლო ხელი შეეშალა სისხლის სამართლის საქმეში ჭეშმარიტების დადგენისათვის და გაეადვილებინა დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენა”. ციხის ადმინისტრაციის თანამშრომლების მიერ ქ-ნი არტიუხოვასა და ბ-ნი შმიდტისაგან ამოღებული ხელნაწერები, წარმოადგენდა “აკრძალულ ნივთებს” წინასწარი პატიმრობის კანონის 34-ე მუხლის მნიშვნელობით.

172. მთავრობამ დაადასტურა, რომ ბადრაგის ოფიცერი ყოველთვის ახლოს იმყოფებოდა განმცხადებელთან სასამართლო დარბაზში. ხსენებული პრაქტიკა ნებადართული იყო იუსტიციის სამინისტროს მიერ. ბადრაგის ოფიცრის ფუნქციაში შედიოდა განმცხადებლის მეთვალყურეობა, განმცხადებელსა და სხვა პირებს შორის წერილების, ხელნაწერების და სხვა ნივთების მიღებისა და გადაცემისათვის ხელის შეშლა. სასამართლო მოსმენისას შესვენებების დროს, განმცხადებელს უფლება ჰქონდა ელაპარაკა თავის ადვოკატებთან; თუმცა ბადრაგის ოფიცერი ყოველთვის ახლო მახლო იდგა. შესაბამისი ნორმები არ ადგენდნენ სასამართლო დარბაზში რაიმე სახის მინიმალურ დისტანციას ბრალდებულსა და ბადრაგის ოფიცერს შორის.

ბ. განმცხადებლის კომენტარები

173. განმცხადებლის მტკიცებით 2003 წლის 25 ოქტომბერს განხორციელებული მისი პირველი დაპატიმრებიდან დაწყებული, მისთვის გირაოს შეფარდებაზე უარის თქმასთან დაკავშირებული დასაბუთება არ აკმაყოფილებდნენ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის “შესაბამის და საკმარის” სტანდარტებს. კერძოდ, პატიმრობის ბრძანებები პასუხს არ იძლეოდა განმცხადებლის მიერ წარდგენილ შემდეგ არგუმენტაციასთან დაკავშირებით: რომ არ არსებობდა რაიმე სახის მტკიცებულება, რომ მას გააჩნდა მიზეზი მიმალვისათვის, რომ იგი არ მიმალულა მაშინ, როდესაც მისი კოლეგები დააკავეს და დააპატიმრეს ხოლო მისი ოფისები კი გაჩხრიკეს; რომ მან საჯაროდ განაცხადა, რომ ერჩივნა დამორჩილებოდა გამოძიებას და ეპასუხა კითხვებზე ვიდრე იძულებით წასულიყო გადასახლებაში საზღვარგარეთ; რომ სახელმწიფომ დაარღვია, როგორც ეორვნული კანონმდებლობის ასევე კონვენციისეული სამართლით დადგენილი მოთხოვნები მაშინ როდესაც ვერ ახსნა თუ რატომ იყო შეუსაბამო ნაკლებად მძიმე აღკვეთის ღონისძიებები.

174. 2003 წლის 25 ნოემბერს წინასწარი გამოძიების დამთავრების შემდგომ განმცხადებლის წინასწარი პატიმრობა (მაშინ როდესაც უკვე სახეზე აღარ იყო განმცხადებლის მიერ მოწმეებზე ზეწოლის განხორციელების საფრთხე), ასევე ეწინააღმდეგებოდა მე-5 მუხლის მე-3 პუნქტს.

175. რაც შეეხება პატიმრობის მეორე ბრძანებას (2003 წლის 23 დეკემბერს) სასამართლომ ვერ დააკმაყოფილა კანონით დადგენილი მოთხოვნა, რომ გადაესინჯა პატიმრობის აუცილებლობა, საქმეზე წინასასამართლო ეტაპის დამთავრების შემდგომ. სასამართლომ ასევე ვერ შეძლო ეპასუხა დაცვის მხარის ძლიერი არგუმენტებისათვის, რომ გირაო აღკვეთის შესაბამისი ფორმა იყო. განმცხადებელთან ერთად თანაბრად დებული ბ-ნი კრაინოვი თავისუფლებაში იმყოფებოდა და განმცხადებელი თვლიდა, რომ მას სხვაგვარად არ უნდა მოჰყოლობდნენ. განმცხადებელი თანახმა იყო დამორჩილებოდა შინაპატიმრობის მკაცრ პირობებს, თუმცა სასამართლოს არ განუხილავს ამის შესაძლებლობა რომელიმე მის გადაწყვეტილებაში.

176. რაც შეეხებას ქ-ნი არტიუხოვას ხელნაწერს, განმცხადებელმა შემდეგი არგუმენტაცია წარადგინა. მისი სიტყვებით მთავრობა აცხადებდა, რომ შესაბამისი ხელნაწერი მიაწოდებდა იმაზე, რომ ქ-ნი არტიუხოვას დავალებული ჰქონდა განეხორციელებინა ქმედებები მტკიცებულებების გასაყალბებლად. თუმცა, განმცხადებელი, ხელნაწერის ტექსტზე დაყრდნობით,

თვლიდა, რომ ასეთი განმარტება თვითნებობა იყო. ხელნაწერი მიაწვდებოდა იმ ნაბიჯებზე, რომელიც გონივრულობის ფარგლებში უნდა გადაედგა ადვოკატს საქმის მომზადებისას და იმ საკითხების წარმოჩენისას, რომლებზეც მას უნდა ემუშავა თავისი პროფესიული ვალდებულებების განხორციელებისას.

177. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ ქ-ნი არტიუხოვას ჩხრეკა არაკანონიერი იყო და არღვევდა ადვოკატისა და კლიენტის პრივილეგიებულ ურთიერთობას. ქ-ნი არტიუხოვას ჩხრეკის ოქმი მიაწვდებოდა იმაზე, რომ ჩხრეკა განხორციელდა წინასწარი პატიმრობის კანონის 34-ე მუხლის საფუძველზე. ხსენებული მუხლის თანახმად ჩხრეკის ჩატარება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუკი არსებობს საკმარისი საფუძველი იმის სავარაუდოდ, რომ ინდივიდები ცდილობენ ფარულად შეიტანონ ან გამოტანონ ციხიდან აკრძალული ნივთები, ნივთიერება ან საკვები. ქ-ნი არტიუხოვას ჩხრეკის შემდგომ შედგენილ ოქმში, ასახული იყო, რომ მორიგე ოფიცერმა დაინახა “თუ როგორ გაუცვალეს რამოდენიმეჯერ განმცხადებელმა და მისმა ადვოკატმა ერთმანეთს გარკვეული ჩანაწერები, რომელშიც დრო და დრო აკეთებდნენ ხოლმე ჩანიშვნებს”. ამგვარად სახეზე იყო სამართლებრივი საფუძველი ქ-ნი არტიუხოვას ჩხრეკის ჩასატარებლად, რადგანაც ოქმში არ ყოფილა გაკეთებული არანაირი მინიშნება იმასთან დაკავშირებით, რომ ციხის ოფიცერმა დაინახა აკრძალული ნივთების, ნივთიერების თუ საკვების გადაცემის მცდელობა.

178. მოსმენისას პროკურორი ამტკიცებდა, რომ ხელნაწერი დაწერა განმცხადებელმა. მაგალითად 2003 წლის 22 დეკემბერს პროკურორი ამტკიცებდა: “ახალი ინფორმაცია მოვიპოვეთ, რომლის თანახმადაც ბ-ნმა ხოდორკოვსკიმ ხელნაწერი გადასცა ქ-ნ არტიუხოვას, რომლითაც იგი თავის ინსტრუქციებს აძლევს თავისუფლებაში მყოფ თანამზრახველებს ზეგავლენა მოახდინონ მოწმეებზე, რომლებმაც ჩვენება მისცეს მის წინააღმდეგ”. თუმცა, ხელნაწერი არ დაუწერია განმცხადებელს, როგორც ამას პროკურორი ამტკიცებდა, და ეს ფაქტი ნათლად დაადასტურა 3 დამოუკიდებელი ექსპერტის დასკვნამ.

179. რაც შეეხება 2004 წლის 20 მაისის და 8 ივნისის პატიმრობის ბრძანებებს, განმცხადებელმა აღნიშნა, რომ ეს ბრძანებები არ შეიცავდა რაიმე დასაბუთებას და ამის გამო ეწინააღმდეგებოდა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტს.

180. 2004 წლის 1 ნოემბერს მესხანსკის რაიონულმა სასამართლომ ბრძანა განმცხადებლის პატიმრობის გახანგრძლივება შემდგომი 3 თვით. თავის გადაწყვეტილებაში მიუხედავად იმისა, რომ მას ეკისრა ვალდებულება გადაესინჯა წინასწარი პატიმრობის გამოყენების შესაბამისობა, სასამართლო განსაკუთრებულად დაეყრდნო ადრე მიღებულ გადაწყვეტილებებს, რომლითაც განმცხადებელს უარი ეთქვა გირაოზე. სასამართლომ მხოლოდ ფორმალურად განიხილა ის საკითხები, რომელიც მას უნდა განეხილა. კიდევ ერთხელ არ ყოფილა წარმოდგენილი დასაბუთებული ანალიზი თუ რატომ არ შეიძლებოდა აღკვეთის ნაკლებად მძიმე ღონისძიების გამოყენება. კერძოდ არ ყოფილა განხილული ის ფაქტი, რომ მიმალვის საფრთხე უცილობლად მცირდებოდა პატიმრობის პერიოდის გაგრძელებით, რომ სასამართლო სამართალწარმოება

მიმდინარეობდა და რომ საკმარისი აღარ იყო განმცხადებლის წინააღმდეგ არსებულ საფუძვლიან ეჭვზე დაყრდნობა. შემდგომ გადაწყვეტილებაში, მესხანსკის სასამართლომ ბრძანა, რომ განმცხადებელი პატიმრობაში უნდა დარჩენილიყო შემდგომი 3 თვის განმავლობაში, გადაწყვეტილებაში ჩაწერა სტერეოტიპული დასაბუთება და პასუხი ვერ გასცა განმცხადებლის არგუმენტებს.

გ. სასამართლოს შეფასება

181. სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებლის წინასწარი პატიმრობა გრძელდებოდა 2003 წლის 25 ოქტომბრიდან 2005 წლის 31 მაისამდე, ანუ 1 წელი, 7 თვე და 6 დღე. საქმის სირთულიდან და სამართალწარმოების ხასიათიდან გამომდინარე ხსენებული პერიოდი, თავისთავად არ ჩანს არაგონივრულად. თუმცა, ის საკითხი გონივრულია თუ არა პატიმრობის ვადა არ შეიძლება შეფასდეს *in abstracto*. სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს თუ როგორ დაასაბუთეს ეროვნულმა სასამართლოებმა ხსენებული პერიოდი.

1. ზოგადი პრინციპები

182. სასამართლო იმეორებს, რომ დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული პირი ყოველთვის უნდა დარჩეს თავისუფლებაში სასამართლო სამართალწარმოების განმავლობაში, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც სახელმწიფოს შეუძლია წარმოიჩინოს, რომ არსებობს “შესაბამისი და საკმარისი” მიზეზები, განგრძობადი პატიმრობის გასამართლებლად (იხ. კლასიკური მაგალითის სახით *Wemhoff v. Germany*, 1968 წლის 27 ივნისი, Series A no. 7, § 12; *Yagci and Sargin v. Turkey*, 1995 წლის 8 ივნისი, Series A no. 319-A, § 52).

183. კონვენციის მე-5 მუხლის თანახმად, პრეზუმპცია თავისუფლების სასარგებლოდ უნდა მოქმედებდეს. როგორც ეს სასამართლომ მრავალჯერ განაცხადა, მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი არ აძლევს სასამართლო ორგანოებს არჩევანის უფლებას ან სასამართლო პროცესის დაუყოვნებლივ გამართვის უფლებასთან ან სასამართლო სამართალწარმოების განმავლობაში მის პირობით გათავისუფლებასთან დაკავშირებით. მსჯავრდებამდე, ბრალდებული პირი უდანაშაულოდ მიიჩნევა და ამ დებულების მიზანი არის პირის პატიმრობიდან გათავისუფლების მოთხოვნა მაშინვე, როგორც კი პატიმრობისათვის აღარ არსებობს საფუძველი (იხ. მაგალითად. *Castravet v. Moldova*, no. 23393/05, § 30, 2007 წლის 13 მარტი; *McKay v. the United Kingdom* [GC], no. 543/03, § 41, ECHR 2006-...; *Jablonski v. Poland*, no. 33492/96, § 83, 2000 წლის 21 დეკემბერი; და *Neumeister v. Austria*, 1968 წლის 27 ივნისი, Series A no. 8, § 4).

184. კონვენციასთან დაკავშირებული პრეცედენტული სამართალი, ითვალისწინებს 4 უმნიშვნელოვანეს მიზეზს, რომლის გამოც პირს შესაძლოა უარი ეთქვას გირაოზე (ან ნებისმიერ სხვა აღკვეთის ღონისძიებაზე, რომელიც არ უკავშირდება თავისუფლების აღკვეთას): იმის საფრთხე, რომ ბრალდებული არ გამოცხადდება სასამართლოში (იხ. *Stögmüller v. Austria*, 1969 წლის 10 ნოემბერი, Series A no. 9, § 15), იმის საფრთხე, რომ გათავისუფლების შემთხვევაში ხელს შეუშლის მართლმსაჯულების ჯეროვნად აღსრულებას (იხ. *Wemhoff*-ის ზემოხსენებული საქმე, § 14) ან ჩაიდენს ხელახალ დანაშაულს

(იხ. *Matznetter v. Austria*, 1969 წლის 10 ნოემბერი, Series A no. 10, § 9) ან გამოიწვევს საზოგადოებრივ არეულობას (იხ. *Letellier v. France*, 1991 წლის 26 ივნისი, Series A no. 207, § 51).

185. გარდა ამისა, სასამართლომ გაიმეორა, რომ პატიმრობასთან დაკავშირებულ საქმეებში დაპატიმრებულ პირზე მტკიცების ტვირთის დაკისრება უთანაბრდება კონვენციის მე-5 მუხლის დარღვევას, კერძოდ კი ეს ეხება იმ დებულებას, რომელიც პატიმრობას მოიაზრებს თავისუფლების უფლებიდან გამონაკლის გადახვევად, რომლის გამოყენებაც ნებადართულია ამომწურავად რეგლამენტირებულ და მკაცრად განსაზღვრულ შემთხვევებში (*Rokhlina v. Russia*, no. 54071/00, § 67, 2005 წლის 7 აპრილი, და *Ilykov v. Bulgaria*, no. 33977/96, §§ 84-85, 2001 წლის 26 ივლისი). ეროვნულმა სასამართლო ორგანოებმა უნდა განიხილონ ყველა ფაქტი, რომლებიც მეტყველებენ იმასთან დაკავშირებით არსებობს თუ არა საზოგადოებრივი ინტერესი, რომელიც ამართლებს, უდანაშაულობის პრეზუმპციის მხედველობაში მიღებით, პირადი თავისუფლების პატივისცემის პრინციპიდან გადახვევას, და ამავე დროს ეროვნულმა სასამართლომ ისინი უნდა ასახოს გადაწყვეტილებებში. არგუმენტები გათავისუფლების სასარგებლოდ და საპირისპიროდ არ უნდა იყოს “ზოგადი და აბსტრაქტული” (*Clooth v. Belgium*, 1991 წლის 12 დეკემბერი, § 44, Series A no. 225), არამედ უნდა შეიცავდეს მითითებას კონკრეტულ ფაქტებსა და განმცხადებლის პიროვნებასთან დაკავშირებულ გარემოებებზე, რომლებიც ამართლებს მის პატიმრობას (იხ. *Panchenko v. Russia*, no. 45100/98, § 107, 2005 წლის 8 თებერვალი). მაგალითად მიმალვის საფრთხის ვარაუდი არ შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ მოსალოდნელი სასჯელის სიმძიმის საფუძველზე; ეს საფრთხე უნდა შეფასდეს სხვა ადეკვატურ ფაქტორებზე მითითებით, რომლებმაც შეიძლება ან დაადასტურონ მიმალვის საფრთხის არსებობა ან იმდენად შეამცირონ მისი მნიშვნელობა, რომ ვერ გაამართლოს წინასწარი პატიმრობა. კერძოდ ხსენებულ კონტექსტში, გათვალისწინებულ უნდა იქნეს შესაბამისი პირის პიროვნება, მისი ეთიკა, ქონება, მისი კავშირები სახელმწიფოსთან, რომელშიც მას ედება ბრალი და მისი საერთაშორისო კონტაქტები (*W. v. Switzerland*, 1993 წლის 26 იანვარი, სერია A no. 254-A, § 33, შემდგომი მითითებებით).

186. სასამართლო ასევე ადასტურებს, რომ გარკვეული საფრთხეების არსებობა, რომელსაც შეუძლია ხელი შეუშალოს სამართალწარმოების ჯეროვნად წარმართვას (თუნდაც იმ შემთხვევაში როდესაც საფრთხე საკმარისად არის დადგენილი) არ ნიშნავს აუცილებლად იმას, რომ ეჭვიმტანილი უნდა იქნეს დაპატიმრებული. ხელისუფლების ეროვნულმა ორგანოებმა უნდა განიხილონ ნაკლებად მძიმე აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობა ან “სულ მცირე უნდა ეცადონ, რომ თავიანთ გადაწყვეტილებებში ახსნან თუ რატომ ვერ უზრუნველყოფდა ასეთი ალტერნატივები, იმას, რომ სასამართლო პროცესი წარმართულიყო ჯეროვნად” (იხ. *Mishketkul and Others v. Russia*, no. 36911/02, § 57, 2007 წლის 24 მაისი; იხ. ასევე *Sulaoja v. Estonia*, no. 55939/00, § 64, 2005 წლის 15 თებერვალი, და *Jabłoński v. Poland*, no. 33492/96, § 83, 2000 წლის 21 დეკემბერი).

187. ბოლოს, სასამართლო იმეორებს, რომ იმისათვის, რათა შეაფასოს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების “შესაბამისობა” და

“საკმარისობა” (ე.ი. მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად განხორციელებული პატიმრობა), იგი იყენებს დინამიურ მიდგომას. მაგალითად რაც შეეხება იმის პოტენციურ საფრთხეს, რომ ბრალდებული ჩაერევა საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის პროცესში “დროის გასვლასთან ერთად, ხსენებული საფუძველი აშკარაა, რომ უფრო და უფრო მცირდება” (იხ. *Panchenko* ზემოხსენებული საქმე, § 103; იხ. ასევე *Muller v. France*, 1997 წლის 17 მარტი, § 40, *Reports* 1997-II; და *Debboub alias Hussein Ali v. France*, no. 37786/97, § 44, 1999 წლის 9 ნოემბერი) და სრულად ქარწყლდება კიდევაც დროის გასვლასთან ერთად (*Letellier v. France*, 1991 წლის 26 ივნისი, § 39, სერია A no. 207).

2. ხსენებული პრინციპების გამოყენება წინამდებარე საქმეში

188. სასამართლო აღგენს, რომ განმცხადებელი დააპატიმრეს, როგორც დანაშაულში ეჭვმიტანილი 2003 წლის 25 ოქტომბერს. პატიმრობის პირველ ბრძანებაში, ბასმანის რაიონულმა სასამართლომ მიუთითა სამ კონკრეტულ საფრთხეზე, რომელსაც გამოიწვევდა განმცხადებლის გათავისუფლება, კერძოდ კი განმცხადებლის მიმალვის საფრთხე, მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელებაში ჩარევის საფრთხე და დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების საფრთხე. ეროვნულმა სასამართლოებმა მიუთითეს შემდეგ ფაქტებზე, რომლებიც ადასტურებდნენ ასეთი საფრთხეების არსებობას: განმცხადებელს ემუქრებოდა გრძელვადიანი საპატიმრო სასჯელი, სავარაუდოდ იგი ჩაბმული იყო ორგანიზებულ დანაშაულში დიდი ხნის განმავლობაში, იგი ძალიან გავლენიანი პიროვნება იყო, მას ჰქონდა თანხები საზღვარგარეთ და საზღვარგარეთ სამოგზაურო პასპორტი, მისმა სავარაუდო თანამზრახველებმა დატოვეს რუსეთი, ხოლო განმცხადებელი კი ისევ აკონტროლებდა იმ კომპანიებს, რომელშიც პოტენციური მოწმეები აგრძელებდნენ მუშაობას. გარდა ამისა სასამართლომ მიუთითა განმცხადებლის პიროვნებაზე (თუმცა არ გაუკეთებია განმარტება თუ განმცხადებლის რომელი კონკრეტული თვისებები ზრდიდა მიმალვის შესაძლებლობას, მოწმეებზე ზეწოლის განხორციელების შანსს და სხვ.)

189. სასამართლო აღიარებს, რომ რაიონული სასამართლოს ლოგიკა არ იყო უშეცდომო (იხ. მაგალითად შემდეგი საქმეები *Lind v. Russia*, no. 25664/05, § 81, 2007 წლის 6 დეკემბერი, შემდგომი მითითებები საქმეზე *Korshunov v. Russia*, no. 38971/06, § 51, 2007 წლის 25 ოქტომბერი, სადაც სასამართლომ გააკრიტიკა რუსეთის სასამართლოები ერთი და იგივე არგუმენტებზე ზოგადად დაყრდნობასთან დაკავშირებით, როგორც ეს მოხდა ამ საქმეში). თუმცა სასამართლო, თვლის, რომ აღკვეთის ღონისძიების არჩევისას პირველ ეტაპზე, ეროვნულ სასამართლოებს შეუძლიათ დაეყრდნონ შედარებით მყიფე არგუმენტებს (როგორიც არის წაყენებული ბრალდების სიმძიმე, ბრალდებულის ადგილი საზოგადოებაში, შერაცხული დანაშაულის ხასიათი და სხვ.). გარდა ამისა, ამ საქმის განსაკუთრებულობა, როდესაც განმცხადებელი იყო ქვეყანაში ერთ ერთი ყველაზე მდიდარი პირი და არაოფიციალურად, პოლიტიკურად გავლენიანი პირი, არ უნდა უგულებელგვეოთ. სასამართლომ უწყის იმის შესახებ, რომ პოტენციური საფრთხის არსებობა, მაგალითად მიმალვის საფრთხე ან დანაშაულის ხელახლა ჩადენის საფრთხე არ შეიძლება იმავე დამაჯერებლობით იქნეს წარმოდგენილი, როგორც უკვე მომხდარი ფაქტის დადასტურება. ხსენებული *a fortiori* ნამდვილად ასეა სისხლის სამართლებრივი გამოძიების დასაწყისში,

როდესაც საგამოძიებო ხელისუფლების ორგანოებს გააჩნიათ ეჭვმიტანილთან მიმართებაში, მის კავშირებსა და საქმის გარემოებებთან დაკავშირებით ნაკლები ინფორმაცია. სწორედ ეს ხსნის თუ რატომ არის სასამართლოს მიერ პირველ ეტაპზე დაპატიმრების განხილვასთან დაკავშირებული სტანდარტები ასე მოქნილი (ხსენებულთან მიმართებაში იხ. არსებით განხილვაზე ნაწილობრივ დაშვებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება განმცხადებელთან ერთად თანაბრადღებულის საქმეზე *Lebedev v. Russia*, no. 4483/04, 2004 წლის 25 ნოემბერი; იხ. ასევე იუკოსის ერთ ერთი მთავარი ხელმძღვანელის საქმე, *Aleksanyan v. Russia*, no. 46468/06, §§ 184-190, 2008 წლის 22 დეკემბერი; იხ. ასევე საქმე *Aleksandr Makarov v. Russia*, no. 15217/07, § 125, 2009 წლის 12 მარტი). ხსენებული სტანდარტის გამოყენების შემდგომ, სასამართლო ადგენს, რომ რაიონული სასამართლო არ შემცდარა მტკიცებულებების შეფასებაში, მაგრამ მის წინაშე წარმოდგენილი ელემენტების კუმულაციური ეფექტის გათვალისწინებით, იგი მივიდა გონივრულ გადაწყვეტილებამდე განმცხადებლის მიერ გამოწვეულ პოტენციურ საფრთხესთან დაკავშირებით.

190. რაც შეეხება აღკვეთის ღონისძიების შესაძლო ალტერნატიულ ღონისძიებებს, სამწუხაროა, რომ რაიონულმა სასამართლომ არ იმსჯელა დეტალურად ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით და განსაკუთრებით კი არ განმარტა თუ რატომ იყო შეუძლებელი გირაოს გამოყენება, შინაპატიმრობა და სხვ. თუმცა სასამართლო აცნობიერებს, რომ რუსეთის სასამართლოები პირველად იხილავდნენ მისი პატიმრობის საკითხს და სავარაუდოდ გამოძიებას ძალიან ცოტა დრო ჰქონდა, რათა მოემზადებინა ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით დეტალური არგუმენტაცია და განსაკუთრებით შეეფასებინა განმცხადებლის ქონება და განესაზღვრა გირაოს გონივრული ოდენობა. ასეთ გარემოებებში სასამართლო მზად არის გაითვალისწინოს ბასმანის რაიონული სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების ფორმულირების გაბედული ხასიათი, რომელიც მოიაზრებდა ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ალტერნატიული აღკვეთის ღონისძიების ნაგულისხმევ უარყოფას.

191. ჯამში, სასამართლო მზად არის აღიაროს, რომ ზემოხსენებული არგუმენტების კომბინაციას შეუძლია გაამართლოს დანაშაულში ბრალდებულის სახით განმცხადებლის დაპატიმრება გარკვეული ხნით. წამოიჭრება კითხვა იმასთან დაკავშირებით საკმარისი იყო თუ არა სასამართლოს მიერ წარმოდგენილი არგუმენტები, რომლებიც ამართლებდნენ განმცხადებლის ციხეში პატიმრობის მთელ პერიოდს.

192. პირველ რიგში, სასამართლო აღნიშნავს, რომ ორი შემდგომი პატიმრობის ბრძანება, გამართლებული იყო ძირითადად იმავე საფრთხეებზე მითითებით, რომლებიც მოცემული იყო პირველ ბრძანებაში. თუმცა განმცხადებლის პირადი სიტუაცია, ხსენებული პერიოდის განმავლობაში შეიცვალა: მან შეწყვიტა მენეჯერული ფუნქციების განხორციელება იუკოსის ჯგუფში და გამოძიებლის წინაშე წარადგინა მისი სამეზავრო პასპორტები. გარდა ამისა ამ დროისათვის მისი წინასასამართლო პატიმრობა უკვე დასრულდა. გამოძიების დახურვამ გამორიცხა ვირტუალურად მატერიალური და დოკუმენტური მტკიცებულებების დაზიანება და მნიშვნელოვნად შეამცირა განმცხადებლის შესაძლებლობა ზეწოლა მოეხდინა მოწმეებზე, რომლებიც უკვე დაკითხული ჰყავდა გამოძიებას (იხ. *Aleksanyan v. Russia* ზემოხსენებული

საქმე პუნქტი 191). მიუხედავად ხსენებულისა, სასამართლო მზად არის მიიჩნიოს, რომ მტკიცებულებების დაზიანების საფრთხე გარკვეული ხნის განმავლობაში არსებობდა სამართალწარმოების დაწყების შემდგომ, თუნდაც იმ მომენტამდე სანამ მოწმეები ჩვენებას მისცემდნენ სასამართლოს. გარდა ხსენებულისა, ფაქტების მოძიებასთან დაკავშირებით საკუთარი დამხმარე როლის გათვალისწინებით, სასამართლო უშვებს, რომ განმცხადებელი მდიდარ და გავლენიან პირად რჩებოდა და მას ჰქონდა საერთაშორისო კავშირები და საზღვარგარეთ არსებული ქონება, რაც მას გაუადვილებდა სხვა ქვეყანაში ცხოვრებას.

193. ხსენებულის გათვალისწინებით სასამართლო გაკვირვებულია იმ ფაქტით, რომ 2004 წლის 20 მაისის პატიმრობის ბრძანება, ისევე როგორც 2004 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება, რომლითაც 2004 წლის 20 მაისის ბრძანება ძალაში იქნა დატოვებული, არ ყოფილა გამყარებული რაიმე სახის დასაბუთებით. სასამართლო იმეორებს, რომ სწორედ ამ გადაწყვეტილებებში მოცემული დასაბუთების საფუძველზე და განმცხადებლის მიერ სააპელაციო საჩივრებში მოხსენებული ფაქტების გათვალისწინებით, უნდა მიიღოს სასამართლო გადაწყვეტილება ადგილი ჰქონდა თუ არა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევას (იხ. მაგალითად. *Weinsztal v. Poland*, no. 43748/98, § 50, 30 2006 წლის 30 მაისი). პრინციპში სასამართლო არ უნდა გამოიცნოს თუ რა მიზეზები იმალებოდა პატიმრობის კონკრეტული გადაწყვეტილების უკან – ხსენებული მიზეზები უნდა იქნეს წარმოდგენილი პატიმრობის ბრძანებაში, განსაკუთრებით კი იმ მომენტში როდესაც საქმე გამოძიების ეტაპიდან გადადის სასამართლო ეტაპზე. 2004 წლის 20 მაისის და 8 ივნისის პატიმრობის ბრძანებებში რაიმე დასაბუთების არ არსებობის გამო, სასამართლო ადგენს, რომ განმცხადებლის პატიმრობის ხსენებული გახანგრძლივება გაუმართლებელი იყო.

194. მეორე რიგში, სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებლის პატიმრობის მთელი პერიოდის განმავლობაში, არც რაიონულ სასამართლოს და არც საქალაქო სასამართლოს არ უზრუნიათ იმაზე, რომ აეხსნათ თუ რატომ იყო შეუძლებელი გირაოს გამოყენება ან შინაპატიმრობის შეფარდება განმცხადებლისათვის, ან რატომ ვერ მიიღებდა სასამართლო “პირად თავდებობას”.

195. ხსენებულ საკითხებთან დაკავშირებით არ არის წარმოდგენილი არანაირი სტანდარტული დასაბუთება და სასამართლო მზად არის მოითმინოს გამოძიების პირველ ეტაპზე ალტერნატიული ღონისძიებების ნაგულისხმევი უარყოფა. თუმცა იმ დროის განმავლობაში, რომელიც გავიდა განმცხადებლის დაკავებიდან, ხელისუფლების ორგანოებს უნდა ჰქონოდათ საკმარისი დრო, რათა მათ შეფასებინათ არსებული ალტერნატივები, და უზრუნველყოთ პრაქტიკული ღონისძიებები მათი განხორციელებისათვის, თუკი ასეთი საერთოდ იყო, ან წარმოედგინათ უფრო დეტალური არგუმენტები, თუ რატომ ვერ იქნებოდა გამოყენებული ალტერნატიული ღონისძიებები. ხსენებული ნაცვლად რუსეთის სასამართლოებმა მარტივად განმარტეს, რომ განმცხადებლის გათავისუფლება დაუშვებელი იყო. 2004 წლის 19 მარტის გადაწყვეტილებაში რაიონული სასამართლოს მითითება იმ ფაქტზე, რომ 109-ე მუხლი არ ითვალისწინებს პირად თავდებობას შეუსაბამო იყო: 109-ე მუხლი ეხება წინასწარი პატიმრობის გაგრძელებას და ბუნებრივია, რომ იგი არ

ასხენებს აღკვეთის სხვა ღონისძიებებს. 109-ე მუხლზე მითითება მხოლოდ წარმოაჩენს იმას, რომ სასამართლოს სერიოზულად არ განუხილავს რომელიმე აღკვეთის ღონისძიების გამოყენება, პატიმრობის გარდა.

196. გარდა ამისა ხსენებული საქმის კონტექსტი არ იყო იმგვარი, რომ განმცხადებლისათვის აშკარად “არ შეიძლებოდა გირაოს შეფარდება”. სასამართლო იმეორებს მის მიერვე საქმეში *McKay v. the United Kingdom* [GC], no. 543/03, § 46, ECHR 2006-X დადგენილ სტანდარტს “სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ჯერ არ შეხებია წინასწარი პატიმრობის ყველა ზღრუელ ეტაპს [მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის “გონივრული ხანგრძლივობის” მოთხოვნის კონტექსტში]” სავარაუდოდ იმიტომ, რომ საქმეების უმრავლესობაში ეჭვის არსებობა იძლევა საკმარის საფუძველს დაპატიმრებისათვის და გირაოს გამოყენების ნებისმიერი შეუძლებლობა არ გამხდარა სერიოზული დავის საგანი”. სასამართლო აღიარებს, რომ გარკვეულ გარემოებებში, მაგალითად როდესაც ეჭვმიტანილი, ძალადობრივი დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი ჯგუფის წევრია ან სავარაუდოდ ტერორიზმთან დაკავშირებულ საქმეებში, “გირაოს გამოყენების შეუძლებლობა” თავისთავად ცხადი შეიძლება იყოს (იხ., *mutatis mutandis*, საქმე *Galushvili v. Georgia*, no. 40008/04, §§ 6 et seq., 2008 წლის 17 ივლისი; იხ. ასევე *Kusyk v. Poland*, no. 7347/02, § 37, 2006 წლის 24 ოქტომბერი, და *Celejewski v. Poland*, no. 17584/04, §§ 35-37, 2006 წლის 4 მაისი) თუმცა ასეთ გარემოებებშიც კი პატიმრობა არ უნდა იქნეს ავტომატურად გამოყენებული. თუმცა, ხსენებული მიდგომა არ შეიძლება გამოვიყენოთ წინამდებარე საქმეში. განმცხადებელი ბრალდებული იყო არაძალადობრივი დანაშაულების ჩადენაში; იგი არ იყო ნასამართლევი და მუდმივად ცხოვრობდა თავის ოჯახთან ერთად მოსკოვში, სადაც მას გააჩნდა ძირითადი ბიზნეს ინტერესები.

197. ჯამში, ეროვნულ სასამართლოებს უნდა გაეთვალისწინებინათ შესაძლებელი იყო თუ არა ნაკლებად მძიმე აღკვეთის ღონისძიებების გამოყენება და შეედლოთ თუ არა მათ შემცირებინათ ან საერთოდ გაექარწყლებინათ მიმალვის საფრთხე, დანაშაულის ხელახლა ჩადენის საფრთხე ან მართლმსაჯულების განხორციელებაში ჩარევის საფრთხე. ხელისუფლების ორგანოების მხრიდან ხსენებულის განუხორციელებლობა, სერიოზულ დარტყმას აყენებს მთავრობის მტკიცებას, რომ განმცხადებელი პატიმრობაში უნდა ყოფილიყო განსახილველი პერიოდის განმავლობაში.

198. მესამე რიგში, სასამართლო გაოცებულია რაიონული სასამართლოს მიერ პატიმრობის შეფარდებასთან დაკავშირებით გამოყენებული არაკვალიფიციური დასაბუთებით, რომელიც ეხებოდა განმცხადებლის ადვოკატის, ქნი არტიუხოვას ჩხრეკის შედეგად ამოღებულ ხელნაწერს. ხსენებულთან დაკავშირებით სასამართლო იმეორებს, რომ ადვოკატისა და კლიენტის კომუნიკაციის კონფიდენციალურობა თანაბრად მნიშვნელოვანია როგორც კონვენციის მე-6 მუხლის 1 და მე-3(გ) პუნქტის ასევე მე-5 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების კონტექსტში (იხ. *Castravet* –ის ზემოხსენებული საქმე; იხ. ასევე *mutatis mutandis*, *Sakhnovskiy v. Russia* [GC], no. 21272/03, § 97, 2010 წლის 2 ნოემბერი; იხ. ასევე სასამართლოს მიერ გამოტანილი დასკვნა კონვენციის მე-8 მუხლთან დაკავშირებით საქმეში *Campbell v. the United Kingdom*, 1992 წლის 25 მარტი, § 48, Series A no. 233). პრივილეგირებულ მასალებთან დაკავშირებით

განხორციელებული ნებისმიერი ჩარევა და *a fortiori* სამართალწარმოებისას ასეთი მასალის გამოყენება ბრალდებულის წინააღმდეგ, როგორც პატიმრობასთან დაკავშირებული სამართალწარმოებისას, ასევე ძირითად სასამართლო განხილვაზე, გამონაკლისის სახით უნდა განხორციელდეს და გამართლებული იყოს აუცილებელი საჭიროებით. ხსენებული საჭიროება კი ყოველთვის უნდა დაექვემდებაროს სასამართლოს მხრიდან უმკაცრეს გადამოწმებას.

199. როგორც ეს 2003 წლის 23 დეკემბრის პატიმრობის ბრძანებიდან, ისევე როგორც გამოძიების მიერ ინციდენტთან დაკავშირებით შედგენილი მოხსენებიდან, ჩანს (იხ. ზემოთ 42-ე პუნქტი), ქ-ნი არტიუხოვას მიერ განმცხადებელთან შეხვედრისას შედგენილი ხელნაწერი ეხებოდა განმცხადებლის წინააღმდეგ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეს. ნებისმიერი დამოუკიდებელი დამკვირვებლის მიერ ხსენებული ხელნაწერი უნდა მიჩნეულიყო პრივილეგირებულ მასალად სულ მცირე *a priori* (იხ., *mutatis mutandis*, ადვოკატების ოფისების ჩხრეკის კონტექსტში იხ. საქმეები *Iliya Stefanov v. Bulgaria*, no. 65755/01, § 41, 2008 წლის 22 მაისი, და *Niemietz v. Germany*, 1992 წლის 16 დეკემბერი, § 37, Series A no. 251-B).

200. ნებისმიერი საწინააღმდეგო მოსაზრება უნდა დაფუძნებულიყო გარკვეულ ინფორმაციაზე, რომელიც შეეხებოდა ხელნაწერის ან ქ-ნ არტიუხოვასა და განმცხადებელს შორის წარმოებული საუბრის შინაარსს. თუმცა, მთავრობა არ აღიარებს, რომ ხელისუფლების ორგანოებმა იცოდნენ პაემნის ოთახში წარმოებული საუბრის შინაარსი. არც განმცხადებლის და არც მისი ადვოკატის საქციელი შეხვედრის დროს, არ წარმოშობდა საფუძვლიან ეჭვს იმასთან დაკავშირებით, რომ ირღვეოდა მათი საუბრის კონფიდენციალურობა. ასევე საეჭვოა ციხის ადმინისტრაციის პირებს ჰქონდათ თუ არა ეროვნული კანონმდებლობის თანახმად იმის უფლებამოსილება, რომ გაეჩხრიკათ ადვოკატი რაიმე გარემოებების არსებობისას. სასამართლო იმეორებს, რომ დანაშაულში ბრალდებული პირისათვის, წინასწარი პატიმრობის ციხეში დაკისრებული ნებისმიერი შეზღუდვა, მათ შორის ადვოკატთან ურთიერთობასთან დაკავშირებული შეზღუდვა, გათვალისწინებული უნდა იყოს ეროვნული კანონმდებლობით და საკმარისად ნათელი უნდა იყოს (იხ., *mutatis mutandis*, *Nolan and K. v. Russia*, no. 2512/04, §§ 98-99, 2009 წლის 12 თებერვალი, იხ. ასევე შემდგომი მითითებები, იხ. ასევე რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც იგივე საკითხს ეხება). მთავრობას არ მიუთითებია რუსეთის კანონმდებლობაში არსებულ რაიმე საფუძველზე, რომელიც ადვოკატს უკრძალავდა ეწარმოებინა და შეენახა ჩანაწერები კლიენტთან შეხვედრის დროს, ან უკრძალავდა კლიენტს, რომ ეკარნახა ინსტრუქციები ადვოკატისათვის ან შეესწავლა ადვოკატის მიერ მომზადებული მასალები. წინასწარი პატიმრობის კანონის სხვადასხვა დებულება, რომელიც ეხებოდა პატიმრის ‘კორესპონდენციის’ მონიტორინგს და “იმ მნახველების” ჩხრეკას, რომლებსაც თან ჰქონდათ “აკრძალული ნივთები”, არ ეხება ბრალდებულისა და მისი ადვოკატის შეხვედრებს.

201. სასამართლო ასკვნის, რომ ქ-ნი არტიუხოვას ხელნაწერი თავისი შინაარსითა და მიზნით უნდა ჩაითვალოს პრივილეგირებულ მასალად, რომ ხელისუფლების ორგანოებს არ გააჩნდათ საფუძვლიანი მიზეზი იმის სავარაუდოდ, რომ ადვოკატისა და კლიენტის პრივილეგია, ბოროტად იქნა გამოყენებული და რომ ხელნაწერი, ქ-ნი არტიუხოვასაგან, მოპოვებულ იქნა

განზრახ და თვითნებურად. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ხელნაწერის ჩამორთმევა წარმოადგენდა ქ-ნი არტიუხოვას პროფესიული საიდუმლოებისა და განმცხადებლის ეფექტიანი სამართლებრივი დახმარების უფლების დარღვევას, ეროვნულმა სასამართლომ ხელნაწერი მიიღო მტკიცებულებად და გამოიყენა იგი პატიმრობის მეორე ბრძანების დასასაბუთებლად, ამ მტკიცებულების დასაშვებობასთან ან მის სანდოობასთან დაკავშირებით რაიმე მსჯელობის გამართვის გარეშე. ხსენებულის ფონზე ის საკითხი, შეიცავდა თუ არა ხელნაწერი განმცხადებლის ადვოკატისათვის მიცემულ რაიმე არაკანონიერი სახის ინსტრუქციას, იმდენად მნიშვნელოვანი არ არის.

202. დასკვნის სახით სასამართლო ადგენს, რომ წინამდებარე საქმეში სამართალწარმოება, რომლის შედეგადაც პატიმრობა გაუგრძელდა განმცხადებელს, შეიცავდა მრავალ ხარვეზს: რუსეთის სასამართლოებმა ორჯერ არ დაასაბუთეს განმცხადებლისათვის პატიმრობის გაგრძელებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები, ისინი დაეყრდნენ ადვოკატისა და კლიენტის კომუნიკაციის პრივილეგიის დარღვევით მოპოვებულ მასალებს და არასოდეს განუხილავთ სერიოზულად აღკვეთის სხვა ღონისძიების შეფარდების საკითხი. ასეთ გარემოებებში, სასამართლო ასკვნის, რომ განმცხადებლის განგრძობადი პატიმრობა, არ იყო გამართლებული საფუძვლიანი არგუმენტაციით, რომელიც გადაძალავდა პრეზუმპციას თავისუფლების სასარგებლოდ. ამიტომ, ყოველივე ხსენებულის გამო, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევას.

VI. კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის სავარაუდო დარღვევა, პატიმრობასთან დაკავშირებული სამართალწარმოებისას არსებული პროცესუალური ხარვეზების გამო

203. განმცხადებელი ჩიოდა სხვადასხვა ხარვეზთან დაკავშირებით, რომლებსაც ადგილი ჰქონდა პატიმრობასთან დაკავშირებული სამართალწარმოებისას. კერძოდ იგი უთითებდა 2003 წლის 25 ოქტომბრის, 2003 წლის 22-23 დეკემბრის, 2004 წლის 20 მაისის, 8 და 16 ივნისის პატიმრობის ბრძანებებზე და მიიჩნევდა რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი, რომლის თანახმადაც:

“დაკავებით ან დაპატიმრებით თავისუფლებადაკვეთილ ყველა პირს უფლება აქვს სასამართლო პროცესზე, რომლითაც სასამართლოს მიერ სწრაფად გადაწყდება დაპატიმრების კანონიერება და გაიცემა ბრძანება გათავისუფლებაზე, თუ დაპატიმრება არ არის კანონიერი.”

ა. მთავრობის კომენტარები

204. მთავრობა ამტკიცებდა, რომ რადგანაც განმცხადებლისათვის პატიმრობის შეფარდება და გაგრძელება განხორციელდა ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, იგი აკმაყოფილებდა კონვენციის მე-5 მუხლის მოთხოვნებს. კერძოდ, სასამართლოებმა მიიღეს კანონიერი და სამართლიანი გადაწყვეტილება პროცესის დახურვასთან დაკავშირებით სამართალწარმოების პირველ ეტაპზე; სასამართლო სამართალწარმოების ეტაპზე, პატიმრობასთან დაკავშირებული მოსმენა ღია რეჟიმში წარიმართა.

205. მთავრობა ამტკიცებდა, რომ დაცვის მხარეს საკმარისი დრო ჰქონდა გაცნობოდა საქმის მასალებს და მოემზადებინა დაცვის პოზიცია 2003 წლის 22 დეკემბრის პატიმრობასთან დაკავშირებული მოსმენისათვის. დაცვის მხარეს ეცნობა მოსმენის თარიღი 2003 წლის 19 დეკემბერს, გარდა ამისა დაცვის მხარეს მიეცა 2 საათი 2003 წლის 22 დეკემბრის მოსმენის დროს, რათა გაცნობოდა საქმის მასალებს და განმცხადებელსა და ადვოკატს ჰქონოდათ საუბრის შესაძლებლობა. როგორც ეს მოსმენის ოქმიდან ნათლად ჩანს, განმცხადებლის ადვოკატები შესანიშნავად იცნობდნენ ბრალდების მიერ წარმოდგენილ ყველა დოკუმენტს. მოსმენის მეორე დღეს ანუ 2003 წლის 23 დეკემბერს, დაცვის მხარეს მიეცა დამატებით საათნახევარი, რათა დაცვის მხარის წარმომადგენლები გაცნობოდნენ გამოძიების მიერ წარმოდგენილ დამატებით დოკუმენტებს. მთავრობამ ჩამოთვალა 15 დოკუმენტი რომლებიც შეადგენდნენ გამოძიების მიერ პატიმრობის მოთხოვნასთან დაკავშირებით წარდგენილი მასალების “უმთავრეს ნაწილს”. მთავრობის თანახმად დაცვის მხარეს მიეცა ხელმისაწვდომობა სხენებულ დოკუმენტებზე მოსმენამდე საკმარისი დროით ადრე. ის ფაქტი, რომ დაცვის მხარემ შეძლო გათავისუფლებასთან დაკავშირებული შუამდგომლობის ფორმულირება 2003 წლის 23 დეკემბერს, ნათლად მიანიშნებს, რომ იგი სრულყოფილად იყო მომზადებული მოსმენისათვის.

206. მთავრობა ასევე ამტკიცებდა, რომ განმცხადებელს პრეტენზია არ გამოუთქვამს სასამართლოს წინაშე იმასთან დაკავშირებით, რომ არასკარისი დრო ჰქონდა თავის ადვოკატებთან შესახვედრად. ერთ ერთმა მისმა ადვოკატმა პრეტენზია გამოთქვა სააპელაციო საჩივარში, რომ განმცხადებელმა ვერ შეძლო შეხვედროდა ადვოკატებს წინასწარი პატიმრობის ციხეში, რომელშიც იგი იყო მოთავსებული. თუმცა, მას ამის შესაძლებლობა მიეცა სასამართლო დარბაზში. ზოგადად რომ ვთქვათ, განსახილველი პერიოდის განმავლობაში, განმცხადებელი 505 ჯერ შეხვდა თავის ადვოკატებს და ამ შეხვედრების საერთო ხანგრძლივობა იყო 906 საათი. განმცხადებელი ადვოკატებს ხვდებოდა თითქმის ყოველდღე, გარდა დასვენების დღეებისა. ამასთანავე განმცხადებელს 36 ჯერ ჰქონდა შესაძლებლობა შეხვედროდა თავის ნათესავებს, 40 საათის საერთო ხანგრძლივობით. წინასწარი პატიმრობის ციხის უფროსმა უარი განუცხადა განმცხადებელს თავის ადვოკატებთან ქ-ნ მ-სა და ბ-ნ პრ-სთან შეხვედრაზე, რადგანაც *de facto* ისინი არ იყვნენ ჩაბმულნი განმცხადებლის სამართლებრივ წარმომდგენლებად პირველი ინსტანციის სასამართლოსა თუ სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში.

207. რაც შეეხება სასამართლო განხილვის პერიოდში პატიმრობასთან დაკავშირებულ სამართალწარმოებას მთავრობა ამტკიცებდა შემდეგს: სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, გამოძიებისაგან საქმის მიღების შემდგომ, სასამართლომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება სასამართლო განხილვის პერიოდში ბრალდებულის აღკვეთის ღონისძიების შესახებ. საპროცესო კოდექსი არ მოითხოვს, რომ ბრალდებული ან მისი ადვოკატი აუცილებლად უნდა დაესწრონ სამართალწარმოების ამ ეტაპს. 2004 წლის 20 მაისს, სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება გაეგრძელებინა განმცხადებლის პატიმრობა. სხენებული გადაწყვეტილება ემყარებოდა საქმეში არსებულ მასალებს. ამასთანავე, არც განმცხადებელს და არც მის ადვოკატებს არ მოუთხოვიათ სასამართლოსათვის აღკვეთის ღონისძიების

შეცვლა ან გაუქმება. მთავრობა ირწმუნებოდა, რომ სასამართლოს არ შეუფარდება აღკვეთის ღონისძიება და არც გაუგრძელება იგი, არამედ მხოლოდ მიიღო გადაწყვეტილება, რომ შეფარდებული ღონისძიება დარჩენილიყო ძალაში.

208. მთავრობა მიუთითებდა იმ ფაქტზე, რომ 2004 წლის 8 ივნისს, საქმეზე წინასწარი მოსმენის შედეგად, სასამართლომ რამოდენიმე ბრძანება გასცა. სხვა საკითხებთან ერთად, სასამართლომ გადაწყვიტა, რომ არ არსებობდა რაიმე საფუძველი განმცხადებლის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების შეცვლასთან დაკავშირებით. ხსენებული არ იყო განმცხადებლის პატიმრობის ფორმალური გაგრძელება, არამედ წარმოადგენდა მხოლოდ ადრე მიღებული გადაწყვეტილების დადასტურებას. ამასთანავე, განმცხადებელს ყოველთვის შეეძლო ხსენებული გადაწყვეტილების გასაჩივრება.

209. რაც შეეხება განმცხადებლის ადვოკატის, ქ-ნი მოსკალენკოს, არყოფნას 2004 წლის 21 ივნისისა და 29 ივლისის სააპელაციო მოსმენაზე, მთავრობამ დაადასტურა, რომ სინამდვილეში არც იგი და არც განმცხადებელი არ დასწრებიან მოსმენებს. თუმცა, განმცხადებელს არ გამოუთქვამს სურვილი თავის სააპელაციო საჩივარში, რომ პირადად დასწრებოდა სააპელაციო საჩივრის განხილვას, თუმცა კანონმდებლობა (საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის მე-2 პუნქტი) მოითხოვდა ნათლად დაფიქსირებული სურვილის არსებობას სააპელაციო საჩივარში. ხსენებული ასევე ეხება ქ-ნი მოსკალენკოს მიერ შეტანილ სააპელაციო საჩივარს – მას არ მოუთხოვია თავის საჩივარში, სააპელაციო მოსმენაზე დასწრება. მიუხედავად ხსენებულისა, ქ-ნი მოსკალენკოს აცნობეს პირველი სააპელაციო მოსმენის შესახებ ფაქსით გაგზავნილი უწყებით. ფაქსი მიიღო ადვოკატის ოფისში მომუშავე ერთ ერთმა ადვოკატმა. მოსმენის დღეს სააპელაციო სასამართლომ მიიღო წერილი ქ-ნი მოსკალენკოს ოფისიდან, რომლითაც სასამართლოს ეცნობა, რომ ადვოკატი იმყოფებოდა საქმიანი ვიზიტით სტრასბურგში. გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ მოსკალენკოს არ წარუდგენია რაიმე სახის წერილობითი მოთხოვნა სააპელაციო მოსმენაზე დასწრებასთან ან მის გადადებასთან დაკავშირებით, მოსმენის გამართვა გადაწყდა მისი მონაწილეობის გარეშე. რაც შეეხება 2004 წლის 29 ივლისის სააპელაციო მოსმენას, მთავრობა უთითებდა იმ ფაქტზე, რომ ქ-ნი მოსკალენკოს ეცნობა მოსმენის გამართვის შესახებ ტელეფონით. ხელისუფლების ორგანოებისათვის უცნობი იყო მიზეზი, თუ რატომ არ დაესწრო ქ-ნი მოსკალენკო მეორე მოსმენას. ამავე დროს, განმცხადებლის სხვა ადვოკატები ესწრებოდნენ მოსმენას, სახელდობრ კი ქ-ნი ლიპსტერი, ქ-ნი ლვოვა და ბ-ნი რიკვინი.

ბ. განმცხადებლის კომენტარები

210. თავის პრეტენზიებში განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ პატიმრობასთან დაკავშირებული მოსმენა არ შეესაბამებოდა მინიმალურ პროცესუალურ მოთხოვნებს. უფრო კონკრეტულად კი პატიმრობის მეორე ბრძანების გაცემამდე გენერალურმა პროკურატურამ მოითხოვა მისი პატიმრობის ვადის გაგრძელება 2003 წლის 16 დეკემბრის შუამდგომლობით; განმცხადებლის ადვოკატებს კი აცნობეს 2003 წლის 19 დეკემბრის, პარაკევი დღის საღამოს, რომ მოსმენა გაიმართებოდა 2003 წლის 22 დეკემბერს. გენერალური პროკურატურის მოთხოვნა 300 გვერდზე მეტი იყო. განმცხადებლის

ადვოკატებს არ მიუღიათ გამოძიების შუამდგომლობის ასლი გირაოსთან დაკავშირებული მოსმენის მეორე დღემდე, ანუ 2003 წლის 23 დეკემბრამდე.

211. თავდაპირველად რაიონულმა სასამართლომ მიანიშნა იმაზე, რომ მას სურდა სამართალწარმოების გამართვა წინასწარი პატიმრობის ციხეში. სასამართლომ უარყო მოსმენის საჯაროდ გამართვა. სასამართლომ უარყო განმცხადებლის მოთხოვნა შედარებით მოკლე ხნით მოსმენის 2003 წლის 24 დეკემბრამდე გადადებასთან დაკავშირებით. ბ-მა პაღვამ, განმცხადებლის სახელით, განმარტა, რომ მან ვერ შეძლო შეხვედროდა თავის კლიენტს და არ გააჩნდა საკმარისი შესაძლებლობა განეხილა პროკურორის მოთხოვნა. ქ-ნმა მოსკალენკომ ასევე განმცხადებლის სახელით განმარტა, რომ მასთან მიმართებაში კიდევ უფრო აუცილებელი იყო მოსმენის გადადება, რადგანაც განმცხადებელმა იგი დაიქირავა სწორედ იმ დღეს. განმცხადებელმა თავად მიმართა სასამართლოს და მოითხოვა მოსმენის გადადება, რათა მას მისცემოდა შესაძლებლობა კონსულტაციები გაეწყო თავის ადვოკატებთან და განეხილა გამოძიების მასალები. მოსამართლემ უარყო მოსმენის გადადება 2003 წლის 24 დეკემბრამდე და მოსმენის მხოლოდ 2 საათიან გადადებაზე დათანხმდა. მოსამართლეს არ დაუსაბუთებია ეს გადაწყვეტილება. ძალიან მცირე დროით მოსმენის გადადებამ არ მისცა შესაძლებლობა განმცხადებელს კონფიდენციალურ გარემოში კონსულტაციები გაეწყო ადვოკატებთან, არც მის ადვოკატებს მისცემიათ შესაძლებლობა განეხილათ გამოძიების მასალები.

212. განმცხადებელს, თანასწორობის პრინციპის დარღვევით, არ მიეცა შესაძლებლობა მოემზადებინა წერილობითი არგუმენტაცია გამოძიების მიერ წარდგენილ ძალიან დიდ და დეტალურ არგუმენტაციასა და დოკუმენტაციაზე. ამის გამო, ქ-ნი მოსკალენკოს მიერ სასამართლოსათვის წარდგენილი წერილობითი არგუმენტაცია არასრულყოფილი იყო.

213. განმცხადებელი ასევე ამტკიცებდა, რომ მთავრობას არ გაუხდია სადაოდ მისი პრეტენზია, რომ მოსმენის 2 საათიანი გადადების პერიოდში მას ადვოკატებთან საუბარი უხდებოდა ბადრაგისა და რაიონული სასამართლოს თანამშრომლების თანდასწრებით. ხსენებულ სიძნელებებს ართულებდა კიდევ ის ფაქტი, რომ განმცხადებელი რკინის გალიაში იყო მოთავსებული.

214. რაც შეეხება 2004 წლის 20 მაისის მოსმენას, განმცხადებელმა განაცხადა, რომ ხსენებული მოსმენა ეწინააღმდეგებოდა ეროვნულ კანონმდებლობას და რომ მისი ადვოკატები არყოფნა ნათლად ნიშნავდა იმას, რომ სამართალწარმოება არ იყო შეჯიბრებითობის პრინციპზე დაფუძნებული. განმცხადებელი თვლიდა, რომ 2004 წლის 20 მაისის მოსმენა ხვდებოდა მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის მოქმედების სფეროში, ხოლო მთავრობა კი თვლიდა საწინააღმდეგოს. რაც შეეხება 21 ივნისისა და 29 ივლისის მოსმენებს, განმცხადებელმა განაცხადა, რომ მისი ადვოკატის არყოფნა ნათლად მიანიშნებდა იმაზე, რომ ეს მოსმენები შეუსაბამო იყო შეჯიბრებითობის პრინციპის მოთხოვნის დაცვით წარმართული სამართალწარმოების მოთხოვნასთან.

215. უფრო მეტიც, განმცხადებელმა განაცხადა, რომ მას სურდა, რომ მოსმენისას მისი ინტერესები წარმოედგინა მის ადვოკატს. საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 22 მარტის გადაწყვეტილების თანახმად პატიმრის

დასწრება პატიმრობასთან დაკავშირებულ მოსმენაზე მოითხოვებოდა ყველა გარემოებისას, მიუხედავად იმისა სასამართლო უფარდებდა, უგრძელებდა პირს პატიმრობას თუ ადასტურებდა პატიმრობის კანონიერებას. 2004 წლის 21 ივნისს (2004 წლის 20 მაისის პატიმრობის ბრძანებასთან დაკავშირებული სააპელაციო მოსმენა) განმცხადებლის ადვოკატი, ქნი მოსკალენკო არ ესწრებოდა სააპელაციო მოსმენას, რადგანაც იგი 2 დღიანი სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა სტრასბურგში. სასამართლოს ეცნობა ხსენებული ფაქტის შესახებ, მაგრამ მიუხედავად ამისა სასამართლომ გამართა მოსმენა ადვოკატის გარეშე. მთავრობამ წარმოადგინა ქნი მოსკალენკოს ოფისიდან მიღებული შეტყობინება, რომლის თანახმადაც ეროვნულ სასამართლოს ეცნობა, რომ ადვოკატი იმყოფებოდა სტრასბურგში. ის მოსაზრება, რომ მინიჭებული რწმუნებულებით ქნ მოსკალენკოსთან არ ყოფილა დადებული ადვოკატსა და კლიენტს შორის დადებული შეთანხმება, არასწორია. გარდა ამისა, ხელმომწერის ვინაობა რწმუნებულებაზე ბუნდოდ ჩანდა და ხსენებული პირის ვინაობა არ წარმოუდგენია სასამართლოს. ეროვნულმა სასამართლომ განაგრძო ქნი მოსკალენკოს საჩივრის განხილვა მის და განმცხადებლის დაუსწრებლად, მაგრამ ამ მოსმენას ესწრებოდა პროკურორი, რომელმაც წარადგინა ზეპირი არგუმენტები. ხსენებული გარემოებების გათვალისწინებით, განმცხადებელი ჩიოდა, რომ მოსმენა შეუსაბამო იყო საჯაროობის პრინციპსა და თანასწორობის პრინციპთან.

216. 2004 წლის 19 ივლისს, ქნი მოსკალენკო მივიდა მოსკოვის საქალაქო სასამართლოში და წარადგინა რწმუნებულება. მოსკოვის საქალაქო სასამართლომ გადადო ქნი მოსკალენკოს საჩივრის მოსმენა 2004 წლის 8 ივნისის საპატიმრო ბრძანებასთან დაკავშირებით. მოსმენა განახლდა 2004 წლის 29 ივლისს, მაგრამ წარიმართა ადვოკატ მოსკალენკოსა და განმცხადებლის მონაწილეობის გარეშე მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ სასამართლოს ეცნობა ქნი მოსკალენკოს ჰოსპიტალიზაციის ფაქტის შესახებ. მოსკოვის საქალაქო სასამართლომ მოისმინა პროკურორის მიერ წარმოდგენილი ზეპირი არგუმენტები. შესაბამისად, განმცხადებელმა განაცხადა, რომ მოსმენა აშკარად შეუსაბამო იყო შეჯიბრებითობის და მხარეთა თანასწორობის პრინციპებთან.

217. განმცხადებელი ასევე ამტკიცებდა, რომ 2004 წლის 20 მაისის და 8 ივნისის პატიმრობის ბრძანებები არ იყო დასაბუთებული. განმცხადებლისათვის აქსიომას წარმოადგენდა, რომ იმისათვის რათა მას შეძლებოდა ეფექტიანი სააპელაციო საჩივრის წარდგენა, მას უნდა სცოდნოდა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასაბუთება.

218. რაც შეეხება სასამართლოს 2004 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილებას, განმცხადებელმა შემდეგი არგუმენტაცია წარმოადგინა. მესჩანსკის რაიონულმა სასამართლომ უარყო განმცხადებლის გათავისუფლების მოთხოვნა და განაცხადა, რომ მას სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის 255-ე მუხლის თანახმად არ გააჩნდა იურისდიქცია, რომ შეეცვალა ბასმანის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც განმცხადებელი უნდა დარჩენილიყო პატიმრობაში. თუმცა კოდექსის 255-ე მუხლი ნათლად იძლეოდა იმის უფლებას, რომ საქმის განმხილველ სასამართლოს აერჩია ან შეეცვალა ადკვეთის დონისძიება. გარდა ამისა, საკონსტიტუციო სასამართლომ ნათლად განმარტა თავის 2005

წლის 22 მარტის დადგენილებაში, რომ ეროვნულ სასამართლოებს მუდმივად აკისრიათ ვალდებულება, წინასასამართლო პერიოდში, განსაზღვრონ ადკვეთის შესაბამისი ღონისძიება. იმ შემთხვევაშიც კი თუ საპროცესო კოდექსისა და საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილების საწინააღმდეგოდ სახეზე იყო იურისდიქციის საკითხთან დაკავშირებული ბარიერი, ასეთი შეზღუდვა წინააღმდეგობაში მოვიდოდა მე-5 მუხლის 1-ელ პუნქტთან (*Jecius v Lithuania*, no. 34578/97, 2000 წლის 31 ივლისი, § 60-63). განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ 2004 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილება ეწინააღმდეგებოდა კონვენციის მე-5 მუხლს.

გ. სასამართლოს შეფასება

219. სასამართლომ მრავალჯერ განმარტა, რომ მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი უზრუნველყოფს კონკრეტულ მინიმალურ პროცესუალურ გარანტიებს პატიმრობისათვის, რომლითაც მან უნდა ისარგებლოს იმ სასამართლო სამართალწარმოებისას, რომელზეც სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს პატიმრობის გამოყენება არ გამოყენების საკითხი, პატიმრობის გაგრძელებისა და გაუქმების საკითხი. ხსენებულთან დაკავშირებული პრეცედენტული სამართლის მოკლე მიმოხილვა იქნა გაკეთებული ზემოხსენებულ *Lebedev* ის საქმეში §75, რომელიც ძირითადად ეხებოდა ანალოგიურ პატიმრობასთან დაკავშირებულ სამართალწარმოებას, ასე რომ სასამართლო არ გაიმეორებს მათ.

1. 2003 წლის 25 ოქტომბრის პატიმრობასთან დაკავშირებული მოსმენა

220. იმდენად რამდენადაც საკითხი ეხება პატიმრობასთან დაკავშირებულ პირველ ორ ბრძანებას, განმცხადებელი ჩიოდა იმასთან დაკავშირებით, რომ ისინი გაიმართა დახურულ რეჟიმში. სასამართლო იმეორებს, რომ პრეცედენტულ სამართალში არ მოიძიება რაიმე არგუმენტი, რომელიც გაამყარებდა განმცხადებლის პრეტენზიას იმასთან დაკავშირებით, რომ წინასწარი პატიმრობის შეფარდებასთან დაკავშირებული სამართალწარმოება აუცილებლად საჯაროდ უნდა გაიმართოს (იხ. *Reinprecht v. Austria*, no. 67175/01, 2005 წლის 15 ნოემბერი; იხ. ასევე *Lebedev v. Russia*, ზემოხსენებული საქმე, § 82). ამიტომაც პატიმრობასთან დაკავშირებული სამართალწარმოება არ წამოჭრის რაიმე საკითხს კონვენციის ქოლგის ქვეშ.

221. განმცხადებლის მეორე პრეტენზია პატიმრობის საკითხთან დაკავშირებულ მოსმენასთან მიმართებაში ეხებოდა იმ ფაქტს, რომ განმცხადებლის ადვოკატს ძალიან მცირე დრო ჰქონდა წერილობითი კომენტარების მოსამზადებლად. ხსენებული სიტუაცია შეიძლება სამწუხარო იყოს, მაგრამ დაცვას არ აყენებს მნიშვნელოვნად უარეს მდგომარეობაში გამოძიებასთან შედარებით (იხ., *mutatis mutandis*, *Sanchez-Reisse v. Switzerland*, ზემოხსენებული საქმე, § 51), რადგანაც დაცვას სულ მცირე შეეძლო წარედგინა თავისი არგუმენტები ზეპირად. პატიმრობასთან დაკავშირებული პირველი მოსმენის ხასიათი იმგვარად წარიმართა, რომ საქმის მასალების განხილვისა და არგუმენტების მომზადებისათვის განკუთვნილი დრო მინიმუმამდე იყო შემცირებული და ხსენებული საშუალებას არ აძლევდა სასამართლოს შესაძლებლობას 'სწრაფად' გამოეტანა გადაწყვეტილება, როგორც ამას მოითხოვს მე-5 მუხლი.

222. განმცხადებელი ასევე აცხადებდა, რომ ორი ინსტანციის სასამართლომ ვერ უპასუხა მის მიერ წარდგენილ არგუმენტებს, რომლებიც მეტყველებდნენ პირობით გათავისუფლების სასარგებლოდ. საქმეში (*Nikolova v. Bulgaria* [GC] (no. 31195/96, ECHR 1999-II)) სასამართლომ დაასკვნა, რომ ეროვნულ სასამართლოებს არ უნდა უგულებელყოთ დაცვის ხმარის მიერ წარმოდგენილი არგუმენტები იმდენად რამდენადაც ისინი ეხებოდა “კონკრეტულ ფაქტებს ... რომელთაც შეეძლოთ საეჭვოდ გაეხადათ ‘თავისუფლების აღკვეთასთან მიმართებით ...კანონიერებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი პირობების არსებობა’”. მეორეს მხრივ უფლება დასაბუთებულ გადაწყვეტილებაზე არ არის აბსოლუტური ხასიათის: ხსენებული გარანტია “არ შეიძლება გავიგოთ იმგვარად, რომ იგი ითხოვს დეტალურ პასუხს ყველა არგუმენტზე (*Van de Hurk v. the Netherlands*, 19 April 1994, Series A no. 288, § 61)”. სასამართლოს აზრით თუკი გავითვალისწინებთ რომ სამართალწარმოება ადრეულ ეტაპზე იყო, სასამართლოს მიერ გარემოებების მოკლე ანალიზის, არ ხდის ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილებას შეუსაბამოს ან თვითნებურს.

223. ჯამში, უნდა ითქვას, რომ პატიმრობის პირველ ბრძანებასთან დაკავშირებული მოსმენა განმცხადებლის საქმეში შესაბამისობაში იყო იმ მინიმალურ პროცესუალურ მოთხოვნებთან, რომლებიც მოცულია კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით.

2. 2003 წლის 22-23 დეკემბრის პატიმრობასთან დაკავშირებული მოსმენა

224. რაც შეეხება პატიმრობის მეორე ბრძანებასთან დაკავშირებულ მოსმენას (2003 წლის 22-23 დეკემბერს), ისიც დახურულ რეჟიმში წარიმართა. სასამართლო იმეორებს, რომ თავისთავად ის ფაქტი, რომ სხდომა დახურულად წარიმართა არ მოდის წინააღმდეგობაში კონვენციის მე-5 მუხლის მოთხოვნებთან. გარდა ამისა 2003 წლის 23 დეკემბრის ბრძანება დადასტურდა 2004 წლის 15 იანვარს სააპელაციო სასამართლოს მიერ საჯარო მოსმენაზე. ამიტომაც სასამართლომ ვერ აღმოაჩინა რაიმე სახის უსამართლობა სამართალწარმოების ხსენებულ ასპექტთან დაკავშირებით. თუმცა სხვა ასპექტები იმსახურებს უფრო ყურადღებით განხილვას.

ა) ხელმისაწვდომობა გამოძიების მასალებზე

225. განმცხადებელი ჩიოდა, რომ დაცვის მხარემ სრულად მიიღო გამოძიების მიერ პატიმრობის გამოყენებასთან დაკავშირებული შუამდგომლობის ასლი (დაახლოებით 300 გვერდის სიდიდის) მოსმენის მხოლოდ მეორე დღეს. სასამართლოს მიერ ამ დოკუმენტისა და გამოძიების მიერ შეტანილი დამატებითი მასალების გაცნობისათვის მოსმენის პირველ დღეს მიცემული დრო (1 საათი) აშკარად არასაკმარისი იყო.

226. სასამართლო იმეორებს, რომ *Lamy v. Belgium* ის საქმეში სასამართლომ დაადგინა მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის დარღვევა, რადგანაც დაცვის მხარეს არ გააჩნდა ხელმისაწვდომობა დოკუმენტებზე, რაც განმცხადებელს მისცემდა პატიმრობის გასაჩივრების შესაძლებლობას (1989 წლის 30 მარტის გადაწყვეტილება, § 29, Series A, no. 151). საქმეში *Garcia Alva v. Germany*

(no. 23541/94, § 42, 2001 წლის 13 თებერვალი) სასამართლომ დაადგინა, რომ “პატიმრობის კანონიერების შეფასებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, შესაბამისი წესით ხელმისაწვდომი უნდა იყოს ბრალდებულის ადვოკატისათვის.” ხსენებულ კონტექსტში გამჟღავნების ვალდებულება არ არის იგივე რაც კონვენციის მე-6 მუხლში; თუმცა “მნიშვნელოვანი მასალები” ხელმისაწვდომი უნდა იყოს დაცვის მხარისათვის მოსმენის გამართვამდე გარკვეული ხნით ადრე.

227. წინამდებარე საქმეში მთავრობა სადაოს არ ხდიდა განმცხადებლის მტკიცებას, რომ გამოძიების მიერ პატიმრობის მოსმენაზე წარმოდგენილი მასალები აჭარბებდა 300 გვერდს. გარდა ამისა, მთავრობა არაპირდაპირ ადასტურებდა ასევე, რომ მაშინ, როდესაც დაცვის მხარემ შეიტყო 2003 წლის 19 დეკემბერს, პარასკევ დღეს პროკურატურის შუამდგომლობის შესახებ, დაცვას არ უნახავს მასალები მოსმენის დღემდე (2003 წლის 22 დეკემბრის ორშაბათამდე). შაბათ-კვირას შეხვედრები არ შეიძლებოდა ციხეში, და ადვოკატებს კლიენტთან კონსულტაციის შესაძლებლობა მიეცათ მხოლოდ სასამართლო ოთახში. ბოლოს, უდაოა, რომ გამოძიებამ წარადგინა დამატებითი მასალები მოსმენის მეორე დღეს ხოლო დაცვის მხარეს კი ამ დოკუმენტების შესასწავლად მიეცა მხოლოდ 1 საათიანი შესვენება.

228. სასამართლო აცხადებს, რომ მთავრობის არგუმენტების შესაბამისად, დაცვის მხარეს მიეწოდა ინფორმაცია გამოძიების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შინაარსთან დაკავშირებით, მაგალითად განმცხადებლის მიერ მიცემული ჩვენებები ადასტურებს ამას. მიუხედავად ხსენებულისა ადვოკატისათვის ძნელია დაიცვას მისი კლიენტის ინტერესები მაშინ, როდესაც ადვოკატს ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს თუ რა შეიძლება იყოს ის მასალები, რომლებსაც გამოძიება ეყრდნობა და რომლებიც მან წარადგინა სასამართლოს წინაშე. გარდა ამისა, როგორც ეს მთავრობის არგუმენტებიდან ჩანს, საქმის მასალები მოიცავდა ასევე სხვა დოკუმენტებსაც, რომლებზეც დაცვის მხარეს არ მიუწვდებოდა ხელი ადრეულ ეტაპზე.

229. სასამართლო ასევე ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ განმცხადებლის ინტერესებს წარმოადგენდა გამოცდილი ადვოკატების ჯგუფი და რომ მოსმენა გრძელდებოდა 2 დღის განმავლობაში. მომეტებული დამაჯერებლობით მეორე დღის ბოლოს დაცვას ეცნობა გამოძიების მიერ წარდგენილი მთავარი არგუმენტების შესახებ და შეიტყო გამოძიების მიერ წარდგენილი მასალების შინაარსი. გარდა ამისა ასევე გასაგებია, რომ 300 გვერდიან პატიმრობის მოთხოვნაში ყველა დოკუმენტი ძალიან მნიშვნელოვანი ყოფილიყო. თუმცა იმისათვის, რათა გამოვარკვიოთ ასე იყო ეს თუ არა, დაცვის გუნდს უნდა ემუშავა ძალიან დიდი ზეწოლის ქვეშ. დროის ხსენებული სიმცირის ახსნა არ შეიძლება სიტუაციის განსაკუთრებულობიდან გამომდინარე. მაშინ როდესაც პატიმრობასთან დაკავშირებულ სამართალწარმოებასთან მიმართებაში სასამართლო მზად იყო რომ შეეწყნარებინა გარკვეული წინდაუხედაობა (იხ. სასამართლოს ანალიზი 2003 წლის 25 ოქტომბრის პატიმრობის შეფარდებასთან დაკავშირებულ სამართალწარმოებასთან მიმართებით) შეუძლებელია შემდგომ პატიმრობის ბრძანებებთან დაკავშირებით თვალის დახუჭვა, განსაკუთრებით წინამდებარე საქმეში, სადაც წინასწარი გამოძიება

დახურულ რეჟიმში მიმდინარეობდა და საქმე მზად იყო სასამართლოში წარსამართად.

ბ) რა პირობებში უწევდა განმცხადებელს თავის ადვოკატებთან კომუნიკაცია

230. განმცხადებელი ასევე აცხადებდა, რომ პატიმრობასთან დაკავშირებული მოსმენისას, დაცვის ადვოკატებს განმცხადებელთან საუბრის შესაძლებლობა ჰქონდათ მხოლოდ ბადრაგის ოფიცრის თანდასწრებით და ისიც გისოსებს მიღმა. მთავრობას სადაო არ გაუხდია ხსენებული პრეტენზია. მთავრობა ამტკიცებდა, რომ ხსენებული წარმოდგენდა სტანდარტული უსაფრთხოების ღონისძიებების ნაწილს, რომლის მიღებაც ხდებოდა ყოველ სასამართლო სხდომაზე იუსტიციის სამინისტროს ინსტრუქციების შესაბამისად.

231. სასამართლო აღნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის კანონმდებლობა ითვალისწინებდა, რომ ციხის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს არ ჰქონდათ უფლება მოესმინათ პატიმარსა და მის ადვოკატს შორის განხორციელებული საუბარი ციხეში შეხვედრის დროს, არანაირი ასეთი დებულება არ არსებობდა, რომელიც აკრძალავდა სასამართლო დარბაზში ბრალდებულსა და მის ადვოკატს შორის წარმოებული საუბრის მიყურადებას. სულ მცირე, ხსენებულთან დაკავშირებით მთავრობას არ მიუთითებია რაიმე წესებზე ან ინსტრუქციებზე. ხსენებულის საპირისპიროდ მთავრობის მიერ მითითებული ნორმები არ ითვალისწინებდნენ მინიმალურ მანძილს ბრალდებულსა და ბადრაგის ოფიცერს შორის და ხსენებულს ბადრაგის დისკრეციაში ტოვებდნენ. სასამართლოსათვის ცნობილი არ არის უსაფრთხოების რაიმე მოსაზრებების შესახებ, რომლებიც გაამართლებდნენ ადვოკატსა და კლიენტს შორის წარმოებული საუბრის კონფიდენციალურობის ზოგადი წესიდან გადახვევას. სასამართლო თვლის, რომ ასეთ სიტუაციაში, როდესაც სასამართლო დარბაზში ადვოკატსა და მის კლიენტს შორის წარმოებული საუბარი შეიძლება მოისმინოს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელმა, მიუხედავად საუბრის შინაარსისა, ხსენებულმა შესაძლოა გამოიწვიოს კონვენციის დარღვევა.

232. ევექტიანი სამართლებრივი დახმარება წარმოუდგენელია ადვოკატსა და კლიენტს შორის განხორციელებული კომუნიკაციის კონფიდენციალურობის დაცვის გარეშე, რაც თავის მხრივ “ხელს უწყობს ადვოკატსა და კლიენტს შორის წარმოებულ ღია და გახსნილ კომუნიკაციას” (see *Castravet v. Moldova*, no. 23393/05, § 49, 13 March 2007). უფრო მეტიც, “ადვოკატსა და კლიენტს შორის წარმოებული კომუნიკაციის კონფიდენციალურობა აუცილებლად არ მოითხოვს მიყურადებას ან კომუნიკაციაში ჩარევას.” საფუძვლიანი ვარაუდი, რომელიც გონივრულ საფუძვლებს ემყარება, რომ ადვოკატისა და კლიენტის საუბარი ისმინებოდა, შეიძლება საკმარისი აღმოჩნდეს სასამართლოს აზრით იმისათვის, რომ ადვოკატის მიერ გაწეული დახმარების ევექტიანობა შეიზღუდოს (იხ. §51). წინამდებარე საქმეში განმცხადებელს ყველა მიზეზი გააჩნდა იმისათვის, რათა ევარაუდა, რომ ადვოკატთან მისი საუბარი შეიძლება ვინმეს მოესმინა. ხსენებული კი სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა საპატიმრო სამართალწარმოებასთან დაკავშირებით განხორციელებულ ევექტიან სამართლებრივ დახმარებას.

გ) სააპელაციო სამართალწარმოების ეფექტი

233. და ბოლოს, სასამართლოს არ შეუძლია ყურადღება არ მიაქციოს იმ ფაქტს, რომ 2003 წლის 23 დეკემბრის პატიმრობის ბრძანება დაადასტურა სააპელაციო სასამართლომ 2004 წლის 15 იანვარს. ხსენებულ დღეს დაცვამ კარგად უწყოდა გამოძიების მიერ პატიმრობის შეფარდებასთან დაკავშირებული შუამდგომლობის შინაარსი და მომეტებული დამაჯერებლობით ადვოკატები შეხედნენ თავიანთ კლიენტს ნორმალურ პირობებში. თუმცა, სასამართლო თვლის, რომ ხსენებულმა ვერ გამოასწორა ის ხარვეზები/შეცდომები, რომლებიც დაშვებულ იქნა ბასმანის რაიონულ სასამართლოში. *Lebedev*-ის გადაწყვეტილებაში სასამართლომ აღნიშნა, რომ პატიმრობის ბრძანება, რომელიც ბევრ პროცესუალურ ხარვეზს შეიცავდა, ძალაში შევიდა დაუყოვნებლივ, ხოლო სააპელაციო სასამართლოს კი დასჭირდა 20 დღე მის გადასასინჯად. ხსენებული დროის მონაკვეთის გათვალისწინებით, სტრასბურგის სასამართლომ უარი განაცხადა მიეღო ხარვეზებით გაჯერებული პატიმრობის ბრძანების რეტროაქტიული გამართლება. იგივე ლოგიკა გამოიყენება აქაც. შესაბამისი გაჭიანურებების გათვალისწინებით (2 კვირაზე მეტი) 2004 წლის 15 იანვრის სააპელაციო მოსმენამ ვერ აღმოფხვრა, სულ მცირე რეტროაქტიულად, ის ხარვეზები, რომლებიც წარმოჩინდა 2004 წლის 23 დეკემბრის ბრძანებაში.

დ) დასკვნა

234. სასამართლო აღნიშნავს, რომ 2003 წლის 22-23 დეკემბრის მოსმენას თან ახლდა პატიმრობის გაგრძელებასთან დაკავშირებით გვიან წარმოდგენილი მოთხოვნა და ადვოკატების შესაძლებლობის არ მიცემა, რომ ისინი თავისუფლად დაკავშირებოდნენ თავიანთ კლიენტს. ხსენებულმა ფაქტებმა ერთობლიობაში მნიშვნელოვნად უარეს მდგომარეობაში ჩააყენა დაცვის მხარე ვიდრე გამოძიება. ასეთ გარემოებებში სასამართლო ასკვნის, რომ განმცხადებლის პატიმრობის სასამართლო წესით გადასინჯვა, არ იყო შესაბამისობაში კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილ მინიმალურ პროცესუალურ მოთხოვნებთან.

3. 2004 წლის 20 მაისი პატიმრობასთან დაკავშირებული მოსმენა

235. სასამართლო აღნიშნავს, რომ 2004 წლის 20 მაისის პატიმრობასთან დაკავშირებული მოსმენა ჩატარდა როგორც განმცხადებლის, ასევე მისი ადვოკატების და ბრალდების მხარის წარმომადგენლის დაუსწრებლად. სასამართლო აღნიშნავს, რომ ხსენებული დროისათვის საკონსტიტუციო სასამართლოს თავის 132-0 გადაწყვეტილებაში უკვე განმარტებული ჰქონდა საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისი დებულებები და ხსენებული განმარტების თანახმად ბრალდებულს უფლება ჰქონდა მონაწილეობა მიეღო იმ მოსმენაში, რომელზეც შესაძლებელი იყო მიღებულიყო მისი შემდგომი პატიმრობის გადაწყვეტილება. ხსენებული მიდგომა მოგვიანებით დაადასტურა საკონსტიტუციო სასამართლომ 4-P 2005 წლის გადაწყვეტილებაში (ხელისუფლების ორივე შესაბამისი ორგანო დასახელებულია ზემოთ “შესაბამისი ეროვნული სამართლის” ნაწილში). მთავრობა აცხადებდა, რომ

2004 წლის 20 მაისს ხსენებული ინტერპრეტაცია არ იყო ცნობილი მესხანკის რაიონული სასამართლოსათვის, რადგანაც საკონსტიტუციო სასამართლოს 8 აპრილის გადაწყვეტილება ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნდა მხოლოდ 2004 წლის 9 ივნისს. თუმცა, ხსენებული არგუმენტი შეუსაბამოა სასამართლოსათვის კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტთან დაკავშირებული ანალიზის განხორციელებისას. ძალიან მნიშვნელოვანი არ არის თუ როდის გახდა ხელისუფლების ორგანოებისათვის ცნობილი რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიცია ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით, რადგანაც განსახილველი სიტუაცია ნებისმიერ შემთხვევაში ეწინააღმდეგებოდა კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტს. სასამართლო აღნიშნავს, რომ 2004 წლის 20 მაისის მოსმენის შედეგად რაიონულმა სასამართლომ გააგრძელა განმცხადებლის პატიმრობა 6 თვით, მას შემდგომ რაც განსახილველად მიიღო საქმის მასალები სასამართლოსაგან. ასეთ გარემოებებში განმცხადებელს უნდა მისცემოდა შესაძლებლობა დაეცვა თავისი პოზიცია, როგორც პირადად, ასევე სულ მცირე ადვოკატების მეშვეობით, თუკი ამ ორივე გარანტიის შესაძლებლობა არ მიეცემოდა. როგორც ეს საქმის მასალებიდან ჩანს, განმცხადებელს არ მიეცა ამის შესაძლებლობა უცნობი მიზეზების გამო. სასამართლო ასკვნის, რომ ხსენებულის გამო ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის დარღვევას.

4. 2004 წლის 8 ივნისის პატიმრობის ბრძანება

236. როგორც ჩანს, 2004 წლის 8 ივნისის მოსმენაზე, განმცხადებელი და მისი ადვოკატები ესწრებოდნენ და შეძლეს თავიანთი არგუმენტების წარდგენა. სასამართლომ ვერ აღმოაჩინა რაიმე სხვა დარღვევა, რომელიც ხსენებულ მოსმენას “არასამართლიანს” გახდიდა კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის მნიშვნელობით. ის ფაქტი, რომ რაიონულმა სასამართლომ არ დაასაბუთა მოსმენის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება, რომლითაც განმცხადებელს გაუგრძელდა პატიმრობა, შეფასდა მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის ჭრილში. სასამართლო ადგენს, რომ 2004 წლის 8 ივნისის მოსმენა შესაბამისობაში იყო კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტთან.

5. 2004 წლის 16 ივნისის გათავისუფლებასთან დაკავშირებული შუამდგომლობა

237. 2004 წლის 16 ივნისს განმცხადებელმა მესხანსკის რაიონულ სასამართლოში წარადგინა შუამდგომლობა მისი გათავისუფლების მოთხოვნით, თუმცა სასამართლომ უარყო ეს შუამდგომლობა. მესხანსკის რაიონულმა სასამართლომ 2004 წლის 20 მაისსა და 8 ივნისს განხორციელებული სასამართლო გამოძიების შედეგად დაადგინა, რომ იგი არ იყო კომპეტენტური, რომ გადაესინჯა ბასმანის რაიონული სასამართლოს მიერ შეფარებული და გახანგრძლივებული პატიმრობის კანონიერება.

238. სასამართლო აღნიშნავს, რომ მართლაც რაიონულ სასამართლოს არ გააჩნდა იმის კომპეტენცია, რომ რეტროაქტიულად გადაესინჯა პატიმრობის ადრე მიღებული გადაწყვეტილებები, რისი კომპეტენციაც გააჩნდა სააპელაციო სასამართლოს. თუმცა არაფერი უშლიდა ხელს რაიონულ სასამართლოს, რომ მას შეეფასებინა განმცხადებლის განგრძობადი და მომავალი პატიმრობის საჭიროების საკითხი, რადგანაც ის მიზეზები,

რომლებიც შესაძლოა პირველ ეტაპზე ამართლებდნენ პატიმრობას, აღარ არსებობდა უკვე. ამასთანავე გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ორი ადრე მიღებული გადაწყვეტილება არ იყო რაიმე სახით დასაბუთებული.

239. სსენებულთან მიმართებით, სასამართლო ადგენს, რომ არანაირი შეზღუდვა განგრძობადი პატიმრობის გადასინჯვასთან მიმართებაში, არ გამომდინარეობს შესაბამისი კანონმდებლობიდან (იხ. საპროცესო კანონმდებლობის 255-ე მუხლი, რომელიც მოცემულია ზემოთ “შესაბამისი ეროვნული სამართლის” ნაწილში). საპროცესო კოდექსი არ ადგენს თუ რამდენად ხშირად უნდა დაუბრუნდეს საქმის განმხილველი სასამართლო წინასწარი პატიმრობის საკითხის განხილვას. პრინციპში დაცვას შეუძლია წარადგინოს გათავისუფლებასთან დაკავშირებული იმდენი შუამდგომლობა, რამდენიც მას სურს.

240. კონვენცია არეგულირებს მხოლოდ “გონივრულ ინტერვალებში” პატიმრობის გადასინჯვას (იხ. *mutatis mutandis*, *Musiał v. Poland* [GC], no. 24557/94, § 43, ECHR 1999-II). თუმცა ასეთი ინტერვალები არ ყოფილა დადგენილი ეროვნული კანონმდებლობით და ამიტომაც განმცხადებელს არ ჰქონდა წარმოდგენა თუ როდის იქნებოდა შესაბამისი გათავისუფლებასთან დაკავშირებით, ახალი შუამდგომლობის წარდგენა. რუსეთის კანონმდებლობის თანახმად, სასამართლო უფლებამოსილი იყო სასამართლო განხილვის პერიოდში პატიმრობა შეეფარდებინა ბრალდებულისათვის 6 თვემდე ვადით, მაგრამ სსენებული დებულება არ შეიძლება ლოგიკურად ისე განიმარტოს, რომ აწესებს 6 თვიან სავალდებულო პატიმრობას. მე-5 მუხლის 1(გ) პუნქტის საფუძველზე განხორციელებული პატიმრობა ასეთი ხანგრძლივი დროის განმავლობაში, როდესაც შეუძლებელია პატიმრობის კანონიერების გადასინჯვა, წინააღმდეგობაში მოვა კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტთან, განსაკუთრებით კი ისეთ გარემოებებში, როგორც ეს წინამდებარე საქმეშია, როდესაც პატიმრობის წინა 2 ბრძანება (2004 წლის 20 მაისის და 8 ივნისის) აშკარად ხარვეზებს შეიცავდა და საერთოდ არ იძლეოდა დასაბუთებას განგრძობად პატიმრობასთან დაკავშირებით.

241. სასამართლო ასკვნის, რომ ასეთ გარემოებებში, მესჩანსკის რაიონულ სასამართლოს უნდა განეხილა 2004 წლის 16 ივნისით დათარიღებული განმცხადებლის შუამდგომლობა გათავისუფლებასთან დაკავშირებით, სულ მცირე იმ ნაწილში, რომელიც ეხებოდა განგრძობადი პატიმრობის გამოყენების საჭიროებას. სსენებულის განუხორციელებლობით, რაიონულმა სასამართლომ დაარღვია კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით განმცხადებლისათვის უზრუნველყოფილი უფლება.

6. დასკვნები

242. სასამართლო ადგენს, რომ 2003 წლის 25 ოქტომბრისა და 2004 წლის 8 ივნისის პატიმრობათან დაკავშირებული მოსმენები, შესაბამისობაში იყო მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით მოთხოვნილ მინიმალურ პროცესუალურ გარანტიებთან. რაც შეეხება 2003 წლის 22-23 დეკემბრის, 2004 წლის 20 მაისისა და 16 ივნისის მოსმენებს, ხელისუფლების ორგანოებმა ვერ უზრუნველყვეს განმცხადებელი მისი პატიმრობის კანონიერების ადეკვატური გადასინჯვით. სსენებულიდან გამომდინარე დაირღვა მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი.

VII. კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის დარღვევა საპატიმრო ბრძანებების სააპელაციო გადასინჯვების გაჭიანურებასთან დაკავშირებით

243. განმცხადებელი ასევე ჩივის რომ მოსკოვის საქალაქო სასამართლოს ძალიან დიდი დრო დასჭირდა, რომ განეხილა დაპატიმრებასთან (2003 წლის 25 ოქტომბერი) და პატიმრობის ორჯერ გაგრძელებასთან (2003 წლის 23 დეკემბერი და 2004 წლის 19 მარტი) დაკავშირებით შეტანილი სააპელაციო საჩივრები. იგი ეყრდნობოდა კონვენციის ზემოხსენებულ მე-5 მუხლის მე-4 პუნქტს.

ა. მხარეთა კომენტარები

244. მთავრობის აზრით ადგილი არ ჰქონდა განმცხადებლების მიერ პატიმრობის ბრძანებებთან დაკავშირებით წარდგენილი საჩივრების გაჭიანურებით განხილვას და ხსენებულის მნიშვნელოვან მიზეზს წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ სააპელაციო საჩივრები ყოველთვის ეგზავნებოდა ხოლმე კომენტარებისათვის გამოძიებას. სასამართლო სამართალწარმოების განმავლობაში, პატიმრობის გაგრძელებასთან დაკავშირებით განმცხადებლის მიერ წარდგენილი სააპელაციო საჩივრები, ყოველთვის იხილებოდა ხოლმე სასამართლოს მიერ მათი მიღებიდან 1 თვეზე ნაკლებ ვადაში, ანუ ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ ვადებში. 4 შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ საჩივარი განიხილა მიღებიდან 10 დან 20 დღემდე ვადაში, 2 შემთხვევაში გაჭიანურება უფრო დიდი ხნით გაგრძელდა, მაგრამ ხსენებული გამართლებული იყო იყო შესაბამისი გარემოებებით.

245. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, ადგილი ჰქონდა სააპელაციო მოსმენების მნიშვნელოვანი გაჭიანურებით ჩატარებას პატიმრობის პირველ, მეორე და მესამე ბრძანებებთან დაკავშირებით წარდგენილი საჩივრების განხილვისას. განმცხადებლის თანახმად, პატიმრობის პირველ 3 ბრძანებასთან დაკავშირებით დაცვის მხარის სააპელაციო საჩივრების განხილვა გრძელდებოდა 17, 23 და 54 დღე.

ბ. სასამართლოს შეფასება

246. სასამართლო იმეორებს, რომ მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად პატიმარს უფლება აქვს ისარგებლოს სამართალწარმოებით, რომლითაც მისი პატიმრობის კანონიერების საკითხი სწრაფად გადაწყდება. სასამართლო უკვე შეეხო რუსეთის წინააღმდეგ წარმოებულ საქმეებში, საპატიმრო ღონისძიებების შეფარდებასთან დაკავშირებით, სააპელაციო გადასინჯვების გაჭიანურების პრობლემას, მათ შორის, ზემოხსენებულ *Lebedev*-ის საქმეში (პუნქტი 95). იმის განსაზღვრისას გათავისუფლებასთან დაკავშირებული შუამდგომლობა “სწრაფად” იქნა თუ არა განხილული, სასამართლო იყენებს იმავე მიდგომას, როგორც გონივრული ვადის გარანტიასთან მიმართებაში, რომელიც მოცემულია მე-5 მუხლის მე-3 და მე-6 მუხლის 1 პუნქტებში: ანუ ხსენებული უნდა განისაზღვროს ინდივიდუალური საქმის გარემოებების კრილში. ის რაც მიიღება მხედველობაში არის ხელისუფლების ორგანოების

გულმოდგინება, განმცხადებლის გამო გამოწვეული გაჭიანურება, რასთან დაკავშირებითაც სახელმწიფოს არ შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა (cf. საქმეები *Rehbock v. Slovenia*, no. 29462/95, §§ 82-88, ECHR 2000-XII); *Jablonski v. Poland*, no. 33492/96, §§ 91-94, 2000 წლის 21 დეკემბერი; and *G.B. v. Switzerland*, no. 27426/95, §§ 34-39, 2000 წლის 30 ნოემბერი).

1. 2003 წლის 25 ოქტომბრისა და 23 დეკემბრის პატიმრობის ბრძანებების გადასინჯვის სისწრაფე

247. წინამდებარე საქმესთან დაკავშირებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებელი გაჭიანურებასთან დაკავშირებული დროის ათვლას იწვებდა ბასმანის რაიონული სასამართლოს მიერ პატიმრობის ბრძანების გაცემის დღიდან. თუმცა უფრო შესაფერისია, რომ ხსენებული ვადა გამოვითვალოთ დაცვის მხარის მიერ სააპელაციო საჩივრის შეტანის დღიდან, რადგანაც ამ მომენტამდე არსებულ პერიოდებზე არ შეიძლება პასუხისმგებლობა დაეკისროთ სახელმწიფოს. ხსენებულიდან კი გამომდინარეობს, რომ რაც შეეხება პატიმრობის პირველ 2 ბრძანებას, მთავრობა პასუხისმგებელია 5 და 16 დღიან გაჭიანურებაზე. სასამართლო აღნიშნავს, რომ მან უნდა განიხილოს თუ რამდენად სწრაფად ჩატარდა სააპელაციო სამართალწარმოება დაბალი ინსტანციის სასამართლოების მიერ პატიმრობის შეფარდებასთან დაკავშირებით წარდგენილ საჩივრებზე. ასეთ გარემოებებში სასამართლო ასკვნის, რომ 5 და 16 დღიანი გაჭიანურება არ არღვევს მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული “სისწრაფის” მოთხოვნას.

2. 2004 წლის 19 მარტის პატიმრობის ბრძანების გადასინჯვის სისწრაფე

248. რაც შეეხება მესამე გაჭიანურებას, რომელიც გრძელდებოდა 1 თვე და 9 დღე (ანუ 2004 წლის 2 აპრილიდან, თარიღი, როდესაც ბოლოს სააპელაციო საჩივარი იქნა წარდგენილი, 2004 წლის 12 მაისამდე, თარიღი, როდესაც გაიმართა სააპელაციო მოსმენა) მთავრობამ ხსენებული გაჭიანურება ახსნა გამოძიებისაგან წერილობითი მტკიცებულებების მოპოვების საჭიროებით. მთავრობას არ წარმოუდგენია რაიმე სხვა ობიექტური მიზეზი, რომელსაც შეეძლო გამოეწვია სააპელაციო საჩივრის განხილვის გადადება. ხსენებულ გარემოებებში სასამართლო თვლის, რომ შესაბამისი მესამე პატიმრობის ბრძანებასთან დაკავშირებული სააპელაციო მოსმენის გაჭიანურება გადაჭარბებული იყო (იხ. ზემოთ მოცემული ლეგედევის საქმე §102, სადაც ანალოგიურ გარემოებებში სასამართლომ 27 დღე ჩათვალა დარღვევად). ამგვარად სასამართლო ასკვნის, რომ ხსენებულის გამო ადგილი ჰქონდა მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის დარღვევას.

VIII. კონვენციის მე-18 მუხლის საგარაუდო დარღვევა

249. კონვენციის მე-18 მუხლზე დაყრდნობით განმცხადებელი ჩიოდა, რომ მის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლებრივი დევნას სახელმწიფო იყენებდა მისი პოლიტიკური დასამარებისა და კომპანიის ქონების მისაკუთრებისათვის. კონვენციის მე-18 მუხლის თანახმად:

“ხსენებულ უფლებათა და თავისუფლებათა კონვენციით დაშვებული შეზღუდვები გამოიყენება მხოლოდ და მხოლოდ მათთვის გათვალისწინებული მიზნებისათვის.”

ა. მხარეთა კომენტარები

250. მთავრობა ამტკიცებდა, რომ განმცხადებლის იმასთან დაკავშირებული პრეტენზიები, რომ მის წინააღმდეგ წარმოებული სისხლის სამართალწარმოება პოლიტიკურად იყო მოტივირებული, არ იყო გამყარებული რაიმე საქმის მასალებით. მთავრობა უთითებდა განმცხადებლის საქმეში გამოტანილ განაჩენზე იმის დასადასტურებლად, რომ განმცხადებლის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებები სერიოზული და დასაბუთებული ხასიათის იყო. მთავრობა ასევე აღწერდა იმ მოვლენებს, რომლებიც წინ უსწრებდა გამოძიების დაწყებას იუკოსის მენეჯმენტის წინააღმდეგ, განსაკუთრებით კი აპატივის საქმესთან დაკავშირებით.

251. განმცხადებელი კვალავაც ამტკიცებდა რომ მის წინააღმდეგ განხორციელებული სისხლის სამართლებრივი დევნა პოლიტიკურად იყო მოტივირებული. განმცხადებელი აცხადებდა, რომ ზემოხსენებული მასალები ნათლად ადასტურებდა მე-18 მუხლის საწინააღმდეგო მიზნებს. განმცხადებელმა, სულ მცირე, სასამართლოს წარუდგინა “*prima facie* მტკიცებულებები, რომლებიც უთითებდნენ ამ დებულების დარღვევაზე” (*Oates v. Poland* (dec.), no. 35036/97, 2000 წლის 11 მაისი), მთავრობას კი ხსენებულთან დაკავშირებით არანაირი კომენტარი არ გაუკეთებია. ის ფაქტი, რომ იგი მსჯავრდებული იყო, არანაირად არ გამორიცხავდა იმას, რომ ბრალდების წაყენებისას სახელმწიფო არაჯეროვანი მოტივებით ხელმძღვანელობდა. გარდა ამისა კონვენციასთან დაკავშირებული სამართლის თანახმად, მნიშვნელობა არ ჰქონდა არსებობდა თუ არა მტკიცებულებები, რომლებიც ამართლებდა სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებას, თუკი ფაქტიურად ბრალდების წაყენება მოხდა “სხვა მიზნებიდან გამომდინარე” (იხ. *Gusinskiy v. Russia*, no. 70726/01, 2004 წლის 19 მაისი). მართლაც, ის ფაქტი, რომ მას შეეფარდა ხანგრძლივი პატიმრობა, ამყარებდა პოლიტიკური მოტივაციის მოსაზრებას. მე-18 მუხლთან დაკავშირებული მოსამზადებელი მასალები (*travaux préparatoires*) მიაჩნებდნენ, რომ ხსენებული დებულების შემქმნელებს სურდათ უზრუნველყოთ, რომ ინდივიდი დაცული იქნებოდა ისეთი შეზღუდვის დაწესებისაგან, რომელიც მომდინარეობდა სახელმწიფოს სურვილისაგან დაეცვა საკუთარი თავი “იმ პოლიტიკური ტენდენციის შესაბამისად, რომელსაც იგი წარმოადგენდა” და სახელმწიფოს სურვილის შესაბამისად ემოქმედა “ოპოზიციის საწინააღმდეგოდ, რომელსაც იგი საშიშად მიიჩნევდა”. განმცხადებელი კვალავაც ამტკიცებდა, რომ მის დაკავებასა და შემდგომ დაპატიმრებას 25 ოქტომბერს, 2003 წლის 7 დეკემბრის დუმის არჩევნებამდე რამოდენიმე კვირით ადრე და სიბნეფტისა და იუკოსის გაერთიანებამდე ცოტა ხნით ადრე, ხელმძღვანელობდა სახელმწიფო იმ მიზნით, რომ განეხორციელებინა ქმედებები ოპოზიციის წინააღმდეგ, რომელსაც იგი “საშიშად” მიიჩნევდა, ხსენებული კი ეწინააღმდეგებოდა მე-18 მუხლს.

252. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ ხსენებული ქმედებები ქვეყნის ხელმძღვანელობას მიაჩნდა ერთგულების დარღვევად და ქვეყნის ეკონომიკური უშიშროებისათვის საფრთხის შემცველად. საპასუხო ღონისძიების სახით ხელისუფლების ორგანოებმა განახორციელეს მასირებული შეტევა განმცხადებელსა და მის კომპანიაზე, კოლეგებსა და მეგობრებზე.

253. თავისი პრეტენზიების გასამყარებლად, განმცხადებელმა წარმოადგინა მოხსენებები საერთაშორისო და რუსული მედიიდან, სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციიდან, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მოხსენება “იუკოსის ხელმძღვანელების დაკავებასა და გამოძიებასთან დაკავშირებულ გარემოებებთან” (გამოქვეყნებულია 2004 წლის 29 ნოემბერს ქ-ნი ლეუთეუსერ-სჩნარენბერგის, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სპეციალური მომხსენებლის მიერ), შეერთებული შტატების სენატის რეზოლუცია ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით, ევროპის პარლამენტის მოხსენებები, გაერთიანებული სამეფოს თემთა პალატის მოხსენებები, გაერთიანებული სამეფოს სასამართლოების გადაწყვეტილებები რუსეთში იუკოსის ყოფილი რამოდენიმე მენეჯერის ექსტრადირების საქმეებში და კვიპროსის, ნიდერლანდების და შვეიცარიის სასამართლოების გადაწყვეტილებები, რომლებიც მოწმობდნენ, რომ განმცხადებლის წინააღმდეგ აღძრული სამართალწარმოება პოლიტიკურად იყო მოტივირებული. კერძოდ, განმცხადებელი უთითებდა შვეიცარიის ფედერალური ტრიბუნალის სიტყვებზე, რომელმაც 2007 წლის აგვისტოში დაადგინა, რომ ფაქტების ერთობლიობაში ანალიზი “ნათლად ამყარებს იმ ეჭვს, რომ სისხლის სამართლებრივი დევნა მართლაც გამოიყენებოდა სათავეში მყოფი ძალების მიერ, როგორც ინსტრუმენტი იმისათვის, რომ მოეშოთ მდიდარი “ოლიგარქების” კლასი და გაენეიტრალდებინა პოტენციური ან ცნობილი პოლიტიკური ოპონენტები”. განმცხადებელი ასევე იშველიებდა რუსეთის მაღალი თანამდებობის პირების მიერ გაკეთებულ განცხადებებს, რომლებმაც დაადასტურეს, რომ “იუკოსის საქმეს” პოლიტიკური სუნი ასდოდა (ბ-ნი გრეფი, ბ-ნი ილარიონოვი, ბ-ნი შუვალოვი, ბ-ნი მირონოვი, ბ-ნი კასიანოვი და სხვ.). განმცხადებელმა წარმოადგინა იუკოსის რამოდენიმე ყოფილი მენეჯერის მოწმეთა ჩვენებები. განმცხადებელი ასევე უთითებდა თავის არგუმენტაციაზე, რომელიც მან წარადგინა საქმეზე *Khodorkovskiy v. Russia* (no. 2), no. 11082/06, რომელიც შეიცავს მისი პოლიტიკური აქტივობებისა და ბიზნეს პროექტების უფრო დეტალურ ანალიზს.

ბ. სასამართლოს შეფასება

254. სასამართლო იმეორებს, რომ მან უკვე დაადგინა, რომ სულ მცირე ერთ კონრეტულ საკითხთან მიმართებით, ხელისუფლების ორგანოები ხელმძღვანელობდნენ არასათანადო მიზნებით. მაგალითად, სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებელი დააკავეს ნოვოსიბირსკში არა როგორც მოწმე, არამედ როგორც ეჭვმიტანილი. თუმცა განმცხადებლის პრეტენზია მე-18 მუხლის შესაბამისად, განსხვავდება მე-5 მუხლთან დაკავშირებული პრეტენზიისაგან. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ იუკოსის მენეჯერების, და მის, წინააღმდეგ აღძრული მთლიანი გამოძიება პოლიტიკურად და ეკონომიკურად იყო მოტივირებული. ხსენებულთან მიმართებით სასამართლო იმეორებს, რომ “კონვენციის მე-18 მუხლს არ გააჩნია ავტონომიური როლი. იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს კონვენციის მხოლოდ სხვა მუხლებთან კავშირში” (*Gusinskiy v. Russia*, no. 70276/01, § 75, ECHR 2004-IV). ხსენებულიდან გამომდინარე სასამართლო განიხილავს განმცხადებლის პრეტენზიებს კონვენციის მე-18 მუხლთან მიმართებაში მისივე მე-5 მუხლთან დაკავშირებულ პრეტენზიებთან ერთად, რომლებიც ზემოთ არის მოცემული.

255. სასამართლო იმეორებს, რომ კონვენციის მთლიანი სტრუქტურა ემყარება იმ ზოგად იდეას, რომ საჯარო ხელისუფლების ორგანოები, წევრ სახელმწიფოებში მოქმედებენ კეთილსინდისიერად. სინამდვილეში, ნებისმიერ საჯარო პოლიტიკას ან ინდივიდუალურ ღონისძიებას შეიძლება გააჩნდეს “ფარული მიზნები” და ამით ბათილდება კეთილსინდისიერების პრეზუმპცია. თუმცა განმცხადებელმა, რომელიც ამტკიცებს, რომ მისი უფლებები და თავისუფლებები შეიზღუდა არაჯეროვანი მიზნებიდან გამომდინარე, დამაჯერებლად უნდა წარმოაჩინოს, რომ ხელისუფლების ორგანოების რეალური მიზანი ის არ იყო რასაც ხელისუფლების ორგანოები აცხადებდნენ (ან გონივრულად იქნეს ნავარაუდევო კონტექსტიდან გამომდინარე). მხოლოდ ეჭვი, რომ ხელისუფლების ორგანოებმა გამოიყენეს ხელთარსებული ძალაუფლება გარკვეული სხვა მიზნებისათვის ვიდრე ისინია განსაზღვრული კონვენციაში, არ არის საკმარისი იმისათვის, რომ დავადასტუროთ მე-18 მუხლის დარღვევა.

256. როდესაც ხდება მე-18 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით პრეტენზიის წარმოდგენა, სასამართლო იყენებს მტკიცების ძალიან მკაცრ სტანდარტს, შედეგად, არსებობს მხოლოდ მცირე ოდენობის საქმეები, სადაც კონვენციის ამ დებულების დარღვევა იქნა დადგენილი. ამგვარად, საქმეში *Gusinskiy v. Russia* (no. 70276/01, § 73–78, ECHR 2004-... (ამონარიდები) სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლის თავისუფლება შეიზღუდა, *inter alia* სხვა მიზნით, და არა იმ მიზნებიდან ერთ ერთით, რომლებიც მოცემულია მე-5 მუხლში. ხსენებულ საქმეში სასამართლომ თავისი არგუმენტაცია დააყრდნო პატიმარსა და პრესის ფედერალურ მინისტრს შორის დადებულ ხელშეკრულებას. ხსენებული ხელშეკრულებიდან ნათლად ჩანდა, რომ განმცხადებლის დაპატიმრება მოხდა იმ მიზნით, რომ ეიძულებინათ იგი თავისი მედია კომპანია მიეყიდა სახელმწიფოსათვის. საქმეში *Cebotari v. Moldova* (no. 35615/06, §§ 46 et seq., 2007 წლის 13 ნოემბერი) სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-18 მუხლის დარღვევა ისეთ კონტექსტში, სადაც განმცხადებლის დაკავება აშკარად უკავშირდებოდა სასამართლოს წინაშე წარმოდგენილ განაცხადს. თუმცა ასეთი საქმეები იშვიათობაა (იხ.საწინააღმდეგო მაგალითი საქმეში *Sisojeva and Others v. Latvia* [GC], no. 60654/00, § 129, ECHR 2007-II). განსაკუთრებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში არაფერი ამყარებს განმცხადებლის მოსაზრებას, რომ მაშინ როდესაც არასათანდო მოტივის არსებობის *prima facie* შემთხვევა დადგინდება, მტკიცების ტვირთი გადადის მთავრობაზე. სასამართლო თვლის, რომ ასეთ კონტექსტში მტკიცების ტვირთი უნდა დაეკისროს განმცხადებელს.

257. წინამდებარე საქმეში “არასათანადო მოტივთან” დაკავშირებული თავისი პრეტენზიების გასამყარებლად განმცხადებელი უთითებდა სხვადასხვა წყაროზე. პირველ რიგში, იგი სთავაზობდა სასამართლოს, რათა მას გაენიხილა მის ბიზნესსა და პოლიტიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული ფაქტები, ისევე როგორც ის მთავარი პოლიტიკური მიმართულებები, რომელსაც ასორციელებდა პრეზიდენტის ადმინისტრაცია ხსენებულ პერიოდში. და მართლაც, ხსენებული ფაქტების იგნორირება დაუშვებელია. კერძოდ, სასამართლო აღიარებს, რომ განმცხადებელს გააჩნდა პოლიტიკური ამბიციები, რომლებიც სავარაუდოდ წინააღმდეგობაში მოდიოდა ადმინისტრაციის მიერ გატარებულ პოლიტიკურ კურსთან, რომ

განმცხადებელს, როგორც მდიდარ და გავლენიან პირს, შეეძლო გამხდარიყო სერიოზული პოლიტიკური მოთამაშე და თანაც იგი მხარს უჭერდა ოპოზიციურ პარტიებს და რომ სწორედაც რომ სახელმწიფოს კუთვნილმა კომპანიამ იხიერა ყველაზე მეტად განმცხადებლის ინდუსტრიული იმპერიის დაშლის შედეგად.

258. მეორეს მხრივ ნებისმიერ პირს შეეძლო ანალოგიური პრეტენზიების განცხადება. სინამდვილეში შეუძლებელი იქნებოდა განმცხადებლის პროფილის მქონე ბრალდებულის წინააღმდეგ გამოძიების წარმოება შორს მიმავალი პოლიტიკური შედეგების გარეშე. ის ფაქტი, რომ ბრალდებულის პოლიტიკურ ოპონენტებს ან ბიზნეს კონკურენტებს შეეძლოთ პირდაპირ ან არაპირდაპირ ეხიერათ განმცხადებლის ციხეში ჩასმით, ხელი არ უნდა შეეშალა ხელისუფლების ორგანოებისათვის, რათა მათ ეწარმოებინათ გამოძიება ასეთი პირის წინააღმდეგ თუკი სერიოზული ბრალდებები იქნებოდა წაყენებული მის მიმართ. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ მაღალი პოლიტიკური სტატუსი არ იძლევა იმუნიტეტს. სასამართლო დარწმუნებულია, რომ განმცხადებლის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებები ნიშნავდა “გონივრულ ეჭვს” კონვენციის მე-5 მუხლის 1(გ) ქვეპუნქტის მნიშვნელობით.

259. მიუხედავად ამისა, ზემოხსენებული ფაქტორების კომბინაციამ გამოიწვია ის, რომ ბევრმა ადამიანმა დაიჯერა, რომ განმცხადებლის გამოძიება მოტივირებული იყო პოლიტიკური სცენიდან მისი წასვლის და მისი ქონების დაპატრონების სურვილით. განმცხადებელი ეყრდნობოდა ხსენებულ მოსაზრებებს; კერძოდ იგი ეყრდნობოდა პოლიტიკური ინსტიტუტების რეზოლუციებს, არასამთავრობო ორგანიზაციების, სხვადასხვა საჯარო ფიგურის განცხადებებსა და სხვ. სასამართლომ განიხილა ხსენებული მოსაზრებები. თუმცა, სასამართლო კვლავაც უთითებს, რომ პოლიტიკური პროცესი და გასამართლების პროცესი, ფუნდამენტურად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ყოველთვის გაცილებით ადვილია პოლიტიკოსისათვის, რომ მან დაიკავოს გარკვეული პოზიცია, ვიდრე ეს შეუძლია მოსამართლეს, რადგანაც მოსამართლემ თავისი გადაწყვეტილება დააფუძვნა მხოლოდ სამართლებრივ მტკიცებულებებზე.

260. და ბოლოს, სასამართლო უბრუნდება რამოდენიმე ევროპული ქვეყნის სასამართლოების წინაშე განხორციელებულ სამართალწარმოებას, რომელიც ეხებოდათ იუკოსის ყოფილ მენეჯერებსა და იუკოსის ქონებას. სასამართლოების ხსენებული დასკვნები ალბათ ყველაზე ძლიერი არგუმენტებია იმისათვის, რომ განმცხადებელმა გაამყაროს კონვენციის მე-18 მუხლთან დაკავშირებული თავისი პრეტენზიები. თუმცა ხსენებული სასამართლოების წინაშე წარდგენილი მტკიცებულებები და სამართლებრივი არგუმენტები, შესაძლოა განსხვავებული იყოს სტრასბურგის სასამართლოს წინაშე წარმოდგენილი არგუმენტებისაგან, სასამართლო იმეორებს, რომ მის მიერ მე-18 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებული მტკიცების სტანდარტი ძალიან მაღალია და შესაძლებელია განსხვავდებოდეს ეროვნული დონეზე გამოყენებული სტანდარტისაგან. სასამართლო უშვებს, რომ განმცხადებლის საქმე შესაძლოა წარმოშობდეს გარკვეულ ეჭვს ხელისუფლების ორგანოების რეალურ მიზნებთან დაკავშირებით და რომ ეჭვის დონე შესაძლოა საკმარისი იყოს ეროვნული სასამართლოებისათვის, რათა მათ უარი განაცხადონ ექსტრადიციისაზე, უარყონ სამართლებრივი დახმარების მოთხოვნა სხვა

სახელმწიფოსაგან, გამოსცენ რუსეთის მთავრობის ინტერესების საწინააღმდეგო სასამართლო გადაწყვეტილებები, გაეცათ მატერიალური ზიანის ანაზღაურება და სხვ. თუმცა ხსენებული საკმარისი არ არის სტრასბურგის სასამართლოსათვის, რათა დაასკვნას, რომ მოპასუხე სახელმწიფოს ყველა სამართლებრივი მექანიზმი წინამდებარე საქმეში *ab initio* არასათანადო მიზნით იყო გამოყენებული, რომ დასაწყისიდან დამთავრებამდე ხელისუფლების ორგანოები მოქმედებდნენ არაკეთილსინდისიერად და აშკარად უგულებელყოფდნენ კონვენციას. ხსენებული ძალიან სერიოზული პრეტენზიაა, რომელიც მოითხოვს შეჭველ და პირდაპირ მტკიცებულებებს. ასეთი სახის მტკიცებულებები ზემოხსენებული *Gusinskiy*-ს საქმისაგან განსხვავებით არ მოიპოვება წინამდებარე საქმეში.

261. ხსენებულ გარემოებებში, სასამართლო ადგენს, რომ წინამდებარე საქმეში ადგილი ჰქონდა მე-18 მუხლის დარღვევას.

IX. კონვენციის 41-ე და 46-ე მუხლების გამოყენება

IX. კონვენციის 41-ე და 46-ე მუხლების გამოყენება

1. კონვენციის 41-ე მუხლის თანახმად:

“თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკერელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.”

კონვენციის 46-ე მუხლის თანახმად:

1. მაღალი ხელშემკერელი მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, დაემორჩილონ სასამართლოს საბოლოო განჩინებას ნებისმიერ საქმეზე, რომლის მხარეებიც ისინი არიან.
2. სასამართლოს საბოლოო განჩინება გადაეცემა მინისტრთა კომიტეტს, რომელიც ზედამხედველობს მის აღსრულებას

ა. ზიანი

263. განმცხადებელი არ მოითხოვდა რაიმე სახის მატერიალური ზიანის ანაზღაურებას, თუმცა მისი სიტყვებით, მისი მატერიალური დანაკარგები, რაც შედეგად მოყვა მის წინააღმდეგ სისხლის სამართალწარმოების აღძვრას ძალიან მნიშვნელოვანი იყო. რაც შეეხება მორალურ ზიანს, განმცხადებელი მოითხოვდა 10 000 ევროს, რომელსაც იგი უწოდებდა როგორც “აშკარად მოკალებულ” პრეტენზიას. მთავრობა ირწმუნებოდა, რომ ხსენებული მოთხოვნაც კი გადაჭარბებული იყო და, რომ თუკი სასამართლო დაადგენდა კონვენციის რაიმე სახის დარღვევას, თავად ამ დარღვევის დადგენაც კი საკმარისი იქნებოდა.

264. სასამართლო ადგენს, რომ მან წინამდებარე საქმეში დაადგინა კონვენციის მე-3 და მე-5 მუხლის რამოდენიმე დარღვევა. ხსენებულმა

დარღვევებმა გამოიწვია მისი გარკვეული სტრესი და დათრგუნვა, რომლის კომპენსირებაც არ შეიძლება მოხდეს მხოლოდ დარღვევის აღიარებით. სასამართლომ მოახდინა რა შეფასება თანასწორობის საფუძველზე, მან განმცხადებელს მიანიჭა მოთხოვნილი თანხა 10 000 ევროს ოდენობით სამართლიანი დაკმაყოფილებისათვის, პლიუს ნებისმიერი გადასახადი, რომლითაც შეიძლება დაიბეგროს განმცხადებლის მიერ მისაღები თანხა.

ბ. ხარჯები და გაწეული დანახარჯები

265. განმცხადებელი მოითხოვდა 14 543 ევროს ხარჯებისა და გაწეული დანახარჯებისათვის, რომელთა გაღებაც მას მოუხდა სამართალწარმოებაში მისი ერთ ერთი ადვოკატის ქ-ნი მოსკალენკოს მონაწილეობასთან დაკავშირებით. განმცხადებელმა წარმოადგინა შეთანხმების ასლი განმცხადებლის ცოლს, ქ-ნ ხოდორკოვსკაიასა და ქ-ნ მოსკალენკოს შორის, რომელიც ეხებოდა განმცხადებლის ინტერესების წარმოდგენას ევროპული სასამართლოს წინაშე ისევე როგორც რამოდენიმე ქვითარი, რომელიც მოწმობდა ქ-ნი მოსკალენკოსათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესაბამისი თანხების გადახდას. ქ-ნი მოსკალენკოსათვის განმცხადებლის მიერ, გაწეული მომსახურებისათვის გადასახდელი თანხა შეადგენდა 500000 რუსულ რუბლს (რაც ხელშეკრულების დადების დროისათვის უტოლდებოდა 14543 ევროს).

266. მთავრობა აცხადებდა, რომ განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი თანხები დაუსაბუთებელი იყო.

267. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების გათვალისწინებით, რომლებიც ეხებოდა კონვენციასთან დაკავშირებულ საკითხებს, ისევე როგორც სასამართლოს მიერ ამ საქმესთან დაკავშირებით განხორციელებულ სამართალწარმოებას, სასამართლო ადგენს, რომ განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი თანხები მათი ოდენობიდან გამომდინარე გაღებულ იყო გონივრულად. ასეთ გარემოებებში სასამართლო თვლის გონივრულად, რომ განმცხადებელს სრულად მიანიჭოს მოთხოვნილი თანხა ხარჯებისა და გაწეული დანახარჯებისათვის, რომლებიც მან გაიღო სამართლებრივი წარმომადგენლის დახმარებისათვის, სახელდობრ კი 14 543 ევრო, პლიუს ნებისმიერი გადასახადი, რომლითაც შეიძლება დაიბეგროს განმცხადებელი.

გ. საურავი

268. სასამართლო შესაფერისად თვლის, რომ საურავი განისაზღვროს ევროპის ცენტრალური ბანკის მიერ დადგენილი მინიმალური ნიხრით, რასაც უნდა დაემატოს თანხის 3%.

დ. კონკრეტული ინდივიდუალური ღონისძიებები

269. კონვენციის 46-ე მუხლთან დაკავშირებული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად, განმცხადებელმა დასასრულს მოითხოვა სასამართლოსაგან, რათა მას მიეთითებინა რუსეთის მთავრობისათვის გარკვეული ინდივიდუალური ღონისძიებები, როგორც ეს

სასამართლომ განახორციელა რამოდენიმე ადრე განხილულ საქმეში. კერძოდ, განმცხადებელმა თხოვნით მიმართა სასამართლოს, რათა მას მოეწოდებინა მთავრობისათვის იმის უზრუნველყოფა რომ განმცხადებელი არ ყოფილიყო მოთავსებული გაღიაში შემდგომი სამართალწარმოების განმავლობაში და რომ საერთაშორისო დამკვირვებლებს მისცემოდათ უფლება მოენახულებინათ განმცხადებელი ციხეში, ხოლო საჭიროების შემთხვევაში კი გამოეძიებინათ მისი პატიმრობის პირობები. მთავრობას არ გაუკეთებია ხსენებულტან დაკავშირებით რაიმე კონკრეტული კომენტარი.

270. ხსენებულთან მიმართებაში სასამართლო იმეორებს, რომ მისი გადაწყვეტილებები ძირითადად დეკლარაციული ხასიათისაა და რომ ზოგადად სწორედ სახელმწიფოს პრეროგატივას შეადგენს აირჩიოს და ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის ზედამხედველობას დაუქვემდებაროს ის საშუალებები, რომელსაც იგი განახორციელებს ეროვნულ დონეზე კონვენციის 46-ე მუხლით დაკისრებული ვალდებულებების შესასრულებლად. სასამართლო განსახორციელებელ ღონისძიებებს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში უთითებს მაგალითად, როდესაც მას სურს, რომ ბოლო მოეღოს სისტემურ პრობლემას როგორც ეს მოხდა საქმეში *Broniowski v. Poland* [GC] (no. 31443/96, § 194, ECHR 2004-V) ან ბოლო მოუღოს განგრძობად სიტუაციას, როგორც ეს მოხდა საქმეში *Hasan and Eylem Zengin v. Turkey* (no. 1448/04, § 84, ECHR 2007-XI; იხ. ასევე *L. v. Lithuania*, no. 27527/03, § 74, ECHR 2007-X). სხვა გამონაკლის შემთხვევებში დადგენილი დარღვევის ხასიათი შეიძლება იმგვარი იყოს, რომ არ ტოვებდეს განსახორციელებელი ღონისძიებებს შორის არჩევანის გაკეთების უფლებას და ხსენებულთან დაკავშირებით სასამართლომ შესაძლოა გადაწყვიტოს მხოლოდ ერთი ასეთი ღონისძიების მითითება (იხ. *Assanidze* - ის ზემოხსენებული საქმე; იხ. ასევე *Abbasov v. Azerbaijan*, no. 24271/05, §§ 35 et seq., 2008 წლის 17 იანვარი, და *Aleksanyan v. Russia*, no. 46468/06, § 240, 2008 წლის 22 დეკემბერი). და ბოლოს, გარკვეულ სიტუაციებში სასამართლომ მოპასუხე მთავრობას მიუთითა, თუ როგორ შეეძლო მას განმცხადებლის საქმეში დადგენილი დარღვევას გამოსწორება, მაგალითად იმ სამართალწარმოების განახლებით, რომელიც ფუნდამენტურად არასამართლიანად ჩატარდა (*Maksimov v. Azerbaijan*, no. 38228/05, § 46, 2009 წლის 8 ოქტომბერი) ან განმცხადებლის საპენსიო უფლებების კონკრეტულ საპენსიო ფონდში გადამისამართება (*Karanović v. Bosnia and Herzegovina*, no. 39462/03, §§ 28 et seq., 2007 წლის 20 ნოემბერი).

271. წინამდებარე საქმესთან დაკავშირებით, სასამართლო თვლის, რომ განმცხადებლის მოთხოვნა კონკრეტული ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებით, არ მიეკუთვნება არც ერთ ზემოხსენებულ კატეგორიას. განმცხადებელი არ სთხოვდა სასამართლოს მთავრობისათვის იმის მითითებას, თუ როგორ შეიძლებოდა გამოსწორებულიყო წარსულში მომხდარი დარღვევები, არამედ სთხოვდა სასამართლოს, რომ აღეკვეთა ანალოგიური ტიპის სამომავლო დარღვევები. თუმცა, სასამართლოს უწინარესი როლია ფაქტების განხილვა და არა სამომავლო ვარაუდები, განსაკუთრებით თუკი სამომავლო ვარაუდები დამოკიდებული იქნება მრავალ ფაქტორზე და შესაბამისად სპეკულაციური იქნება. სასამართლო თვლის, რომ წინამდებარე საქმის გარემოებები განსხვავდება ზემოხსენებული *Broniowski*, *Hasan and Eylem Zengin* ან *Aleksanyan*-ის საქმეებისაგან. სასამართლო თვლის რომ

წინამდებარე საქმეში არ არსებობს მოპასუხე მთავრობისათვის კონვენციის 46-ე მუხლის შესაბამისად კონკრეტული ღონისძიებების მითითების საჭიროება, გარდა იმ ღონისძიებისა, რომელიც ეხება სამართლიანი დაკმაყოფილების სახით მიკუთვნებული თანხის გადახდას. ხსენებული ღონისძიებების განსაზღვრის პრეროგატივა იმ არსებითი დარღვევების პარალელურად, რომელიც სასამართლომ გამოავლინა წინამდებარე საქმეში, რჩება მინისტრთა კომიტეტის დისკრეციაში.

ხსენებული მიზეზებიდან გამომდინარე, სასამართლო ერთხმად

1. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი პატიმრობის იმ პირობების გამო, რომელშიც განმცხადებელი იმყოფებოდა IZ-77/1 იზოლატორში 2003 წლის 25 ოქტომბრიდან 27 ოქტომბრამდე;
2. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი პატიმრობის იმ პირობების გამო, რომელშიც განმცხადებელი იმყოფებოდა IZ-99/1 2003 წლის 27 ოქტომბრიდან 2005 წლის 8 აგვისტომდე;
3. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი პატიმრობის იმ პირობების გამო, რომელშიც განმცხადებელი იმყოფებოდა IZ-77/1 2005 წლის 8 აგვისტოდან 2005 წლის 9 ოქტომბრამდე;
4. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი სასამართლო სამართალწარმოების განმავლობაში სასამართლო დარბაზში არსებული პირობების გამო;
5. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის 1(ბ) პუნქტი განმცხადებლის 2003 წლის 25 ოქტომბერს განმცხადებლის ნოვოსიბირსკში დაკავების გამო;
6. ადგენს, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-5 მუხლის 1(გ) პუნქტი;
7. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი იმის გამო, რომ განმცხადებლის განგრძობადი პატიმრობა არ იყო გამართლებული მნიშვნელოვანი მიზეზებით, რომლებიც გადაწონიდნენ თავისუფლების პრეზუმპციას;
8. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი იმ პროცედურის გამო, რომლის შედეგადაც განმცხადებელს პატიმრობა შეეფარდა 2003 წლის 25 ოქტომბერს;
9. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი იმ პროცედურის გამო, რომლითაც გაგრძელდა განმცხადებლის პატიმრობა 2003 წლის 22-23 დეკემბერს;
10. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი იმ პროცედურის გამო, რომლის შედეგადაც გაგრძელდა განმცხადებლის პატიმრობა 2004 წლის 20 მაისს;

11. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი იმ პროცედურის გამო, რომლის შედეგადაც გაგრძელდა განმცხადებლის პატიმრობა 2004 წლის 8 ივნისს;
12. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი იმ პროცედურის გამო, რომლის შედეგადაც გაგრძელდა განმცხადებლის პატიმრობა 2004 წლის 16 ივნისს;
13. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი 2003 წლის 25 ოქტომბერს და 23 დეკემბერს განხორციელებული პატიმრობის ბრძანებების გადასინჯვის სისწრაფის გამო;
14. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი 2004 წლის 19 მარტს განხორციელებული პატიმრობის ბრძანებების გადასინჯვის სისწრაფის გამო;
15. ადგენს, რომ არ დაირღვა კონვენციის მე-18 მუხლი;

16. ადგენს

- ა) რომ მოპასუხე სახელმწიფომ იმ მომენტიდან 3 თვის ვადაში, როდესაც წინამდებარე გადაწყვეტილება საბოლოო გახდება კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, განმცხადებელს, გადახდის დღისათვის არსებული კურსით რუსულ რუბლებში, უნდა გადაუხადოს შემდეგი თანხები;
 - (i) მორალური ზიანისათვის 10 000 ევრო (ათი ათასი ევრო) პლიუს ნებისმიერი გადასახადი, რომლითაც შეიძლება დაიბეგროს ხსენებული თანხა;
 - (ii) ხარჯებისა და გაწეული დანახარჯებისათვის 14 543 ევრო (თოთხმეტი ათას ხუთას ორმოცდაერთი ევრო) პლიუს ნებისმიერი გადასახადი, რომლითაც შეიძლება დაიბეგროს ხსენებული თანხა;
 - ბ) რომ ზემოხსენებული 3 თვიანი ვადის გასვლის შემდგომ გადახდის დღემდე საურავი უნდა იქნეს გადახდილი იმ მოცულობით, რაც უტოლდება ევროპული ბანკის სესხისათვის განკუთვნილ მინიმალურ პროცენტს, რომელსაც უნდა დაემატოს სამ პროცენტიანი განაკვეთი
17. უარყოფს განმცხადებლის მოთხოვნას კონვენციის 46-ე მუხლის შესაბამისად სახელმწიფოსათვის კონკრეტული ღონისძიებების მითითებასთან დაკავშირებით;

შესრულებულია ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, და გაცხადებულია წერილობითი სახით 2011 წლის 31 მაისს სასამართლოს რეგლამენტის 77-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად

რეგისტრატორი

KHODORKOVSKIY v. RUSSIA JUDGMENT

82
თავმჯდომარე